პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ღამის მორიგეს 18—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34;
ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 18—80
ექსპედიციის 5—48.

ოთხშაბათი, 8 სექტემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 204 (1749)

დ ღ ი უ რ ი

- ბრიანი წინააღმდეგია დუნა ის კონფედერაციის.
- პოლონეთის კერძო წისქვილზე მომუშავეთა გაფიცვა მუშების გამარჯვებით დამთავრდა.
- სამხრეთ-სლავიის მთავრობამ აკრძალა ანრი ბარბიუსის წიგნი „ჯალათები", რომელიც მიმართული იყო თეთრი ტერორის წინააღმდეგ.
- ბირმინგამის (ინგლისში- რაიონის მუნიციპალიტეტის დამატებითი არჩევნებში გავიდა მუშათა პარტიის კანდიდატი.
- ინგლისის გაზეთებმა უკომენტარიოთ გადაბეჭდეს საბჭოთა მთავრობის ნოტა ჩან-ძო-ლინის მიმართ.

„კომუნისტი"
გრძელდება ხელის მოწერა
სექტემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პროსპ. № 34, ტელეფ. № 10—49

დღეს, ოთხშაბათს, 8 სექტემბრს
საღამოს 7 საათზე შესდგება
საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
საქ. ცაკის მდივანი თოდრია

სადაა საყოველთაო და მემაღაროეთა გაფიცვა?

(„პრავდას" მოწინავე წერილი)

ერთხელვე მიღებული ჩვეულების მიხედვით, ინგლისის ტრედ-იუნიონების ყოველწლიური კონგრესი სექტემბრის დასაწყისში იხსნება. ამავე ჩვეულების მიხედვით, არავითარ მოვლენას, რომელიც წინ უსწრებს ყრილობას, არ შეუძლია შესცვალოს მრავალი თვის წინედ დასახული დღის წესრიგი, ვინაიდან სტატუტები ყველაზე მაღლა დგანან. ფორმისადმი ასეთი პატივისცემა, ერთგულება და ტრადიციის სათაყვანო კერპად დასახვა, უაღრესად სასარგებლოა ინგლისის პროფმოძრაობის ხელმძღვანელთათვის, ვინაიდან ისინი დაინტერესებული არიან იმაში, რომ ცოცხალი, წინმსწრაფი ცხოვრება ჩაახრჩონ ძველ, უშინაარსო გამოფიტულ ფორმულებში.

ყრილობა იკრიბება სექტემბერში, ე. ი. საყოველთაო გაფიცვის ჩაშლის 4 თვის შემდეგ, სწორედ იმ დროს, როცა მემაღაროენი თავიანთ ბრძოლის მეხუთე თვეში გადავიდენ. პროფესიონალურ მოძრაობის უმაღლეს ორგანოს თითქოს ჯამი უნდა გაეკეთებია საყოველთაო გაფიცვისათვის. შემდეგ იმ ორგანიზაციის ყრილობას, რომლის 23 პროც. გაფიცულია, თითქოს უნდა ეფიქრა იმაზე, თუ როგორ უშველოს თავის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან რაზმს. მაგრამ **ყრილობის დღის წესრიგში არავითარი ამის მსგავსი არაა.** ყრილობა,—გენერალურ საბჭოს პროგრამის თანახმად, განიხილავს ყოველგვარ საკითხებს, გარდა მნიშვნელოვან საჭირბოროტო საკითხებისა. ყრილობა განიხილავს ისეთ საქმეებს, რომელთა განხილვა შეიძლებოდა ორი წლის წინედ, ან ორი წლის შემდეგ. მართლაც, ყრილობის პროგრამა შეიცავს ტრედ-იუნიონების კონგრესის წესდებას, ადმინისტრატიულ, კულტურულ განმანათლებელი მუშაობის, საერთაშორისო პროფმოძრაობის საკითხებს.

ამით ეძიებთ თქვენ იმას, რაც ყველაზე უფრო აინტერესებს ამჟამად ინგლისის და საერთაშორისო პროლეტარიატს: სამთამადნო მუშათა გაფიცვის საკითხი სრულიად არაა შეტანილი ყრილობის იმ პროგრამაში, რომელიც გენსაბჭოს აქვს დასახული; საყოველთაო გაფიცვის შესახებ კი ჯერ-ჯერობით დუმილს არჩევენ ბელადები.

„დეილი ჰერალდი", მუშათა პარტიისა და გენერალურ საბჭოს ოფიციალური ორგანო ამ შემთხვევაში ამშვიდებს არა იმდენად მუშებს, რამდენადაც ბურჟუაზიას.

ეს „მუშური" ორგანო 23 აგვისტოს ნომერში სწერს:

„არც დღის წესრიგი, არც გენსაბჭოს მოხსენება არ შეიცავს ისეთ რამეს, რაიც იძლეოდეს საბაბს ველოდეთ, რომ ეს კონგრესი, რომელიც ბორნემუტში გაიხსნება 2 კვირის შემდეგ მისტერ არტეს პიუს თავმჯდომარეობით, მღელვარე ხასიათის იქნება, ვინაიდან საყოველთაო გაფიცვის, ან როგორც მას ოფიციალურად უწოდებენ, ეროვნული გაფიცვის მუხლი, არ იქნება განხილული".

შემდეგ „დეილი ჰერალდი" სცდილობს ახსნას, თუ რატომ მოხდა, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და მწვავე საკითხი გამოტოვებულ იქნა ყრილობის პროგრამიდან.

„როგორც ცნობილია, სწერს გენსაბჭოს ეს ღირსეული ორგანო, დაწესებულება, რომელმაც ბრძანება გასცა გაფიცვის შესახებ, იყო ალმასკომის კონფერენცია. ამიტომ მოხსენებაც ამ დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს. გენერალურ საბჭოსა და მემაღაროეთა ფედერაციის შორის შეთანხმებით გადადებულ იქნა ალმასკომის კონფერენცია იმის გამო, რომ სამთამადნო მუშათა საქმეს ზიანი არ მიყენებოდა დისკუსიის გამართვით იმ დროს, როცა ლოკაუტი კვლავ გრძელდება".

ყველაფერი აშკარა და ნათელია. გენსაბჭო დაემუქრა მემაღაროებს, რომ თუ ისინი აღძრავენ გაფიცვის საკითხს, გენსაბჭო მათ წინააღმდეგ გამოვა და ამით აიძულებს მათ, „შეთანხმებაზე" ხელის მოწერას. რომ მემაღაროებისათვის თვალი აეხვიათ, გენსაბჭოს პოლიტიკანები, რომლის მარჯვენამ იცის, რას აკეთებს მარცხენა, შეჰპირდენ მემაღაროებს ნივთიერი დახმარების აღმოჩენას. ხელშეკრულობა, როგორც ცნობილია, ალმასკომების კონფერენციამდე—25 ივნისს იქნა დადებული, ამასთანავე ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა „ერთ-ერთის კრიტიკაზე უარის თქმას" და ბელადების მთლიანი ფრონტის აღდგენას. იმ დროს, როცა სამთამადნო მუშათა ფედერაცია ასრულებდა გაფიცულთათვის ამ უაღრესად საზიანო შეთანხმებას, გენსაბჭომ ერთი თავისი „მემარცხენე" წევრის—ბრომლის საშუალებით გამოაქვეყნა კონფერენციისათვის დამზადებული ანგარიში, რომელიც მთლიანად იყო მიმართული მემაღაროეთა წინააღმდეგ. ეხლა, კონგრესის წინ, გენსაბჭომ კვლავ მოიგონა ეს შეთანხმება, რომ თავიდან აიცილოს მისი მოქმედებით გამოწვეული მღელვარება. მაგრამ გენსაბჭო აქ არ დაკმაყოფილდა სამთამადნო მუშათა დაშინებით, მან მშიერ მემაღაროებს შორიდან დაანახვა ნამცხვრები იმით, რომ გამოუშვა მოწოდება ფულის შეგროვების შესახებ და მიმართა ამსტერდამის ინტერნაციონალს და მის სექციებს დახმარების ალმოჩენის შესახებ. კვლავ ისე, როგორც ალმასკომების კონფერენციას წინ, გენსაბჭო ნივთიერი დახმარების ალმოჩენის დაპირებით აღწევს მშვიდობიანობას და დროებით ამნისტიას იმ იმედით, რომ რამოდენიმე კვირის შემდეგ ალმასკომების კონფერენციაზე, რომელსაც მათი კაცები დაესწრებიან, გამცემლური ტაქტიკა ჰპოვებს სრულ დადასტურებას.

გენსაბჭოს ყველა ეს ხრიკები მიმართულია იმისაკენ, რომ პირი დაუმუწოს მემაღაროეთა მრავალრიცხოვან წარმომადგენლებს კონგრესზე და გენსაბჭოს მოქმედების მხილების საშუალება არ მისცეს. შესაძლოა, რომ ამ ხრიკებმა, განსაკუთრებით გენსაბჭოს მუქარამ, რომ იგი აშკარად გამოვა მემაღაროეთა გაფიცვის წინააღმდეგ, აიძულოს სამთამადნო მუშათა მრავალრიცხოვანი დელეგაცია, რომ თავი შეიკავოს გენსაბჭოს კრიტიკიდან და გაკიცხვიდან. ასეთი ტაქტიკა დამღუპველი იქნებოდა მემაღაროებისათვის. მართალია, ეს იქნებოდა თანმიმდევრობა იმის შემდეგ, რაც ივნისში ალმასკომების კონფერენციის წინ დადებულ იქნა შეთანხმება, მაგრამ ამასთანავე ეს იქნებოდა თვითმკვლელობის თანმიმდევრობა.

თუ ყრილობას გამოვაკლებთ მემაღაროეთა გაფიცვას და საყოველთაო გაფიცვას, მაშინ ყრილობა $^9/_{10}$-ით კარგავს თავის მნიშვნელობას. კიდევ მეტი, მას უარყოფითი გავლენა ექნება, ვინაიდან საქმის ვითარება მოითხოვს გარკვეულ ხაზს და გადამჭრელ ტაქტიკას. ეხლანდელი გენსაბჭო, ერთხელვე შესდგა გამცემლობისა და კაპიტულიაციის გზაზე და იძულებული გახდება, რომ ამ გზით წავიდეს ყველა იმ საკითხების გადაწყვეტის დროს, რომლებიც ბრიტანეთის მუშათა მოძრაობას ეხებიან. თუ გადავათვალიერებთ ყველა იმ რეზოლიუციებს, რომლებიც ამ კონგრესის წინ იქნენ გამოტანილი, წინდაწინვე, მათემატიკური სისწორით შეიძლება იმის წინასწარმეტყველობა, რომ ყრილობა თავისი უმრავლესობის სახით, არა თუ ნაბიჯს არ გადადგამს წინ სკარბოროსთან შედარებით, არამედ რამდენიმე ნაბიჯით დაიხევს უკან. ამას მოწმობენ ის კომენტარიები, რომელნიც თან აქვთ დართული გენსაბჭოს ანგარიშში დაბეჭდილ რეზოლიუციებს.

საკმაოა ავილოთ ანგარიშის ის ნაწილი, რომელიც ეხება მუშათა საერთაშორისო მოძრაობას. ამ ნაწილში სრულიად უკომენტარიოდ არის მოყვანილი ინგლის-რუსეთის კომიტეტის მუშაობის შედეგები და ამსტერდამის ინტერნაციონალის ზოგიერთი გადაწყვეტილებანი; ამასთანავე, ანგარიშში მხოლოდ გაკვრით არის მოხსენებული ინგლის-რუსეთის კომიტეტის ორი უკანასკნელი სხდომა პარიზსა და ბერლინში.

დამახასიათებელია აგრეთვე ისიც, რომ ყრილობის მუშაობის პროგრამაში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი პროფკავშირთა უფლებების დაცვაზე, ეს საკითხი კი უაღრესად დიდი მნიშვნელობის საკითხია. უკანასკნელი რამდენიმე კვირით ხომ ჩატარდა კონსერვატიული პარტიისა და პარლამენტის შეტევით ტრედ-იუნიონების ელიმენტარულ უფლებათა წინააღმდეგ. მზადდება შემზღუდავი კანონი მუშათა წინააღმდეგ, და გენსაბჭომ არ ინება ამის შეტანა თავის მოხსენებაში და მისადმი ყრილობის ყურადღების მიქცევა.

ანგარიშში, რასაკვირველია, შეიძლება მოვნახოთ ადგილობრივ ორგანიზაციების მთელი რიგი რეზოლიუციები, განსაკუთრებით მთლიანობის საკითხის შესახებ, რომელნიც ნაბიჯის წინ გადადგმას წარმოუდგენენ სკარბოროში მომხდარ ყრილობასთან შედარებით, მაგრამ ეს რეზოლიუციები იცავენ გენსაბჭოს ინტერესებს. გენსაბჭო ისეთ სახეს იღებს, თითქოს არაფერი მომხდარა. მას სურს ქონდეს ისეთი ყრილობა, რომელიც იქნება კეთილგანმზრახველი, მშვიდი, წყნარი და არ დაარღვევს მის მყუდროებას. ამ თვალსაზრისით არის შედგენილი მუშაობის პროგრამა და ამავე თვალსაზრისით არის შედგენილი გენერალურ საბჭოს მოხსენება ბორნემუტის ყრილობისათვის.

ნიშნავს ეს იმას თუ არა, რომ გენსაბჭო შესძლებს ყრილობის ასეთ ფარგლებში მომწყვდევას? საეჭვოა. როგორც არ უნდა დაიმალოს თავი გენსაბჭომ, როგორი მანევრები, ტრიუკები და ხრიკებიც არ უნდა იხმაროს, როგორც არ უნდა აუქციოს გვერდი პასუხისმგებლობას, მემაღაროეთა საყოველთაო გაფიცვა მაინც გამოყოფს თავს ყოველ ჭუჭრუტანიდან.

მოინახება საკმაო რიცხვი დელეგატებისა, განსაკუთრებით უმცირესობის მოძრაობიდან, რომლებიც საგნებსა და პიროვნებებს თავის საკუთარ სახელს უწოდებენ და რომლებიც თავიდან აიშორებენ ყოველგვარ ფორმალობას და ზღუდეებს და დასვამენ საკითხს საყოველთაო გაფიცვისა და მემაღაროეთა გაფიცვის შესახებ.

როგორ შეიძლება დუმილი ამ მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაზე? როგორ შეიძლება გვერდი ჩაუარო ინგლისისა და საბჭოთა პროფკავშირების ურთიერთობას? მხოლოდ მთლად დამპალ პროფბიუროკრატებს შეუძლიათ იფიქრონ, საკმაოა მნიშვნელობას მოკლებული ფრაზები, რომ თავი განთავისუფლონ ყველა იმ საკითხებისაგან, რომლებიც წამოჭრილია ინგლისის მუშათა მოძრაობის წინაშე. გენსაბჭომ მეტად კარგად შეამზადა ყრილობა: ყველაფერი გათვალისწინებულია და ყველაფერი გაკეთებული სათანადო წესების მიხედვით. მაგრამ გენსაბჭომ დაივიწყა, რომ საყოველთაო გაფიცვა და მემაღაროეთა გაფიცვა ვერ ეტევა ძველ ფარგლებში და ძველ ტრადიციებში. გენსაბჭომ დაივიწყა, როგორ სწრაფად სწარმოებს ასეთ ეპოქებში მასის პოლიტიკური აღზრდა. აი, რატომ ვიცით ჩვენ, რომ ეს ყრილობა თავისი უმრავლესობით გენსაბჭოს გაჰყვება და ამის გამო აშკარა უარყოფით შედეგებს მოიტანს, ვიცით, რომ გენსაბჭოს შემადგენლობა პოლიტიკურად ოდნავად არ შეიცვლება, რომ ეს შემადგენლობა უკვე წინასწარ გადაწყვეტილია, რომ ეხლანდელი პოლიტიკანები მოახერხებენ კიდევ რამდენიმე წელი იჯდენ ინგლისის პროლეტარიატის ზურგზე,—მაგრამ ჩვენ მიუხედავად ამისა მაინც ვამბობთ: სიმართლეს საყოველთაო გაფიცვისა და მემაღაროეთა გაფიცვის შესახებ ვერავინ ვერ დამალავს; ვერავინ ვერ შესძლებს, რომ გაამთელოს ის ნაპრალი, რომელიც არსებობს მუშათა მოძრაობის რეფორმისტულ და რევოლიუციონურ ფრთებს შორის; ვერავინ ვერ ამოავსებს იმ უფსკრულს, რომელიც ამოთხრილ იქმნა საყოველთაო გაფიცვისა და მემაღაროეთა გაფიცვის დროს, მუშათა კლასისა და ბურჟუაზიის შორის; ვერავინ ვერ გასწყვეტს იმ მტკიცე კავშირს, რომელიც დამყარდა გაფიცვის დროს ინგლისის მუშებსა და საბჭოთა კავშირს შორის: ინგლისის მუშათა კლასი გადაალაჯებს თავზე თავის რეაქციონურ ბელადებს და მათ რეზოლიუციებს და დახუთულ რეფორმისტულ ჰაერიდან ფართო საბჭოთა გზაზე გამოვა.

ა. ლოზოვსკი.

მოსკოვი, 7 სექტ. გადმოცემულია ტელეგრაფით.

ჩიჩერინმა გადასცა ნოტა ჩინეთის რესპუბლიკის რწმუნებულს ჩან-ინ-ფუს

ბორნემუტში გაიხსნა ინგლისის პროფკავშირების კონგრესი

მოღალატე პიუ მუშებს მოთმინებისაკენ მოუწოდებს

ესპანეთის ჯარში დაიწყო არეულობა

სირია-პალესტინის კომიტეტი ერთა ლიგისაგან მოითხოვს სირიის ეროვნულ სახელმწიფოთ გამოცხადებას

არეულობა ჩინეთში და საბჭოთა კავშირი

ჩიჩერინის ნოტა ჩინეთის მთავრობისადმი

მოსკოვი, 7 სექტემბერი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ჩიჩერინმა ჩინეთის რესპუბლიკის რწმუნებულს მოსკოვში ჩან-ინ-ფუს მიმართა ნოტით, რომელშიც ნათქვამია:

„მიუხედავათ ჩინეთის მთავრობისადმი მიცემულ გაფრთხილებისა, რაც აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის ნოტაში 31 აგვისტოს თარიღით აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის სამმართველოსადმი აღმოსავლეთ ჩინეთის სამი პროვინციის ხელისუფალთა მიერ წარდგენილ კანონშეუწონელ მოთხოვნილებების გამო, აღნიშნულ ხელისუფალთათვის აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზის სამმართველოების გადაცემის და აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის სასწავლო განყოფილების ლიკვიდაციის შესახებ, საბჭოთა მთავრობას არა თუ არ მიუღია სათანადო პასუხი ჩინეთის მთავრობისაგან, არამედ აქვს დამატებითი ცნობები ჩინეთის აღმოსავლეთის სამი პროვინციის ხელისუფალთა კანონშეუწონელ მოქმედებების შესახებ.

აღნიშნავს რა აღშფოთებით ადგილობრივ ჩინურ ხელისუფალთა უმაგალითო მოქმედებას, რომელიც არა მარტო არღვევს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის რესპუბლიკის ურთიერთ დამოკიდებულებას, არამედ, რომელიც ყოვლად დაუშვებელია ნორმალურ დიპლომატიურ დამოკიდებულებაში მყოფ ორ სახელმწიფოს შორის, საკავშირო მთავრობა მიუთითებს, რომ შეუძლებელია ჩინეთის მთავრობას არ ქონდეს შეგნებული სამი აღმოსავლური პროვინციის ხელისუფალთა ასეთი საქციელის დაუშვებლობა, რაც სერიოზულ დაბრკოლებებს ჰქმნის ნორმალურ დიპლომატიურ დამოკიდებულებისათვის საბჭოთა კავშირთან, და ამით მთელი პასუხისმგებლობა საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გართულებისათვის ეცემა ჩინეთის მთავრობას.

კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა მზად არის დაკვირვებით განიხილოს ყველა სადავო საკითხები, რომლებიც გამომდინარეობენ ორივე სახელმწიფოს შორის არსებულ შეთანხმებიდან; ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის მთავრობა მოელის ჩინეთის მთავრობისაგან გადამჭრელი სასწრაფო ზომების მიღებას მისი უფლებების ზემო აღნიშნულ დარღვევის აღსაკვეთად და იმ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად რომელსაც შეუძლია ორივე სახელმწიფოსათვის არა სასიამოვნო გავლენა იქონიოს მათ ურთიერთ დამოკიდებულებაზე მომავალში.

საბჭოთა კავშირის მთავრობა გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ჩინეთის მთავრობა, ორივე სახელმწიფოს შორის ნორმალურ ურთიერთ დამოკიდებულების შემდგომი განვითარებისა და დაცვის მიზნით არ დააყოვნებს თავის პასუხს და საჭირო ზომების მიღებას კონფლიქტის სალიკვიდაციოთ.

ხანიანი აიღეს კანტონის ჯარებმა

პეკინი, 7 სექტემბერი. სარწმუნო ცნობებით—**კანტონის ჯარებმა 6 სექტემბერს დილით დაიკავეს ხანიანი** იქ დარჩენილი უ-პეი-ფუს ჯარის ნაწილი დაატყვევეს. კანტონის ჯარები განაგრძობენ გარშემოვლას, რომლის მიზანიც არის პეკინ-ხანკოუს რკინისგზის გადაჭრა ხანკოუს ჩრდილოეთით.

იტყობინებიან, რომ **უ-პეი-ფუს გენერლების შორის მოხდა განხეთქილება. უმრავლესობა ზავის დადების მომხრეა. უ-პეი-ფუ — კი მოითხოვს ომის გაგრძელებას.**

უ-პეი-ფუს მდგომარეობა

ლონდონი, 6 სექტემბერი. „მორნინგ პოსტ"-ი სწერს, რომ უ-პეი-ფუს მდგომარეობა არ არის უიმედო და აღნიშნავს, რომ უ-პეი-ფუს აქვს შესაძლებლობა მოიგერიოს კანტონის არმია ზურგიდან, ამავე დროს გაგზავნოს ფუ-ძიანის პროვინციიდან ჯარები ჯერ სვატოუს და შემდეგ კანტონის წინააღმდეგ.

სამხედრო მდგომარეობა ხანკოუში

პეკინი, 7 სექტემბერი. ხანკოუდან მიღებული ცნობებით, იქ გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა. ინგლისისა და საფრანგეთის კონცესიებს იცავენ ნაღმოსნები.

იაპონიის საკონცესიო ტერიტორიაზე გადმოსხეს 250 იაპონელი მეზღვაური.

საგაფიცვო მოძრაობის ზრდა შანხაიში

პეკინი, 7 სექტემბერი. საგაფიცვო მოძრაობა შანხაიში განაგრძობს ზრდას. ქალაქის ჩინური ნაწილის ტრამვაის მოსამსახურეებმა გამოაცხადეს გაფიცვა და აყენებენ ეკონომიურ მოთხოვნილებებს. გაფიცულია 14.000 მუშა.

ინგლისის კომპანია „ევის" ქარხნების ადმინისტრაციამ გამოაცხადა ლოკაუტი, რომელიც შეეხო 4.000 მუშას.

სპეციალური მისია

ბერლინი, 7 სექტემბ. ინგლის-ჩინეთის უკანასკნელ კონფლიქტთან დაკავშირებით, ჩინეთში სპეციალური მისიით გაემგზავრა ინდოეთის ყოფილი ვიცე-კოროლი ლორდი რიდინგი.

უ-პეი-ფუ გააფთრებულია

პეკინი, 7 სექტემბერი. მდგომარეობა უჩუანის ფრონტზე გამოურკვეველია. როგორც სჩანს, უჩუანი უკვე დაუტოვებია უ-პეი-ფუს, ხოლო ჯერ არ აუღიათ კანტონის ჯარებს. ხანკოუ და ხანიანი ჯერ-ჯერობით უ-პეი-ფუს ხელშია. უ-პეი-ფუ ყოველ ღონეს ხმარობს ხანკოუს და ხანიანის, კერძოთ ხანკოუს არსენალის, გასამაგრებლათ.

უ-პეი-ფუმ ნინკინში გაგზავნა ხუნანის პროვინციის მისი მომხრე სამხედრო გუბერნატორი ჩჟაო-ხენტი სუნ-ჩუანფანთან მოსალაპარაკებლად, რათა უკანასკნელმა დაუყოვნებლივ შეუტიოს კანტონის არმიას ფუ-ცზიანის პროვინციიდან.

იუწყებიან, რომ უ-პეი-ფუს დახმარების მისაღებათ მიუმართნია, აგრეთვე, მუკდენელებისათვის. ამის საპასუხოთ ჩან-ცზუ-ჩანი, ვითომდა, დათანხმებულა თავისი არმიიდან სამი კორპუსის გაგზავნაზე, რასაც სთვლიან ჩჟან-ცზუ-ჩანის ცდით ხელში ჩაიგდოს ხანიანის პროვინცია.

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, უ-პეი-ფუს ამ უკანასკნელ დღეებში სიკვდილით დაუსჯია 40 კაცზე მეტი, უმთავრესად სტუდენტები და მუშები, რომელთაც ბრალდებოდათ გომინდანის წევრობა და კანტონის არმიისათვის აქტიური დახმარების აღმოჩენა.

სიკვდილით დასჯილი არიან, აგრეთვე, დუბანი, ჩენ-ჩიმარი, უკანასკნელ დრომდე უ-პეი-ფუს მომხრე, რამდენიმე ბრიგადის და ათასზე მეტი პოლკის უფროსი.

ტრედ-იუნიონების კონგრესი

მოღალატე პიუს სიტყვა

ვორნემუტი, 6 სექტემბ. **6 სექტემბერს ვორნემუტში გაიხსნა ტრედიუნიონების ყოველწლიური კონგრესი.**

კონგრესი გახსნა გენერალურ საბჭოს თავმჯდომარემ პიუმ, რომელმაც თავისი სიტყვა დაიწყო იმით, რომ აღნიშნა ინგლისის მთავრობის მიერ მუშების წინააღმდეგ წარმოებულ შეტევის საერთო მსოფლიო მნიშვნელობა.

„ეხლანდელი ინგლისის მთავრობა, სთქვა პიუმ, მუდმივად დარჩება ინგლისის მუშათა მეხსიერებაში, როგორც პირველი ისეთი მთავრობა, რომელმაც საკანონმდებლო გზით გადასწყვიტა სამუშაო დროის გადიდება".

შეეხო რა სანახშირო მრეწველობის „ტრაღიკულ მდგომარეობას", მან აღნიშნა, რომ მხოლოდ სანახშირო მრეწველობის რეორგანიზაციას, რომელიც ითვალისწინებს ამ მრეწველობის საზოგადოებრივ საკუთრებაში გადასვლას, შეეძლო ამ მდგომარეობიდან გამოსავალის პოვნა. შემდეგ პიუ გადავიდა საყოველთაო გაფიცვის საკითხზე და აღნიშნა, რომ იმ პირობებში, რომლებიც შეიქნენ 1 მაისს, აუცილებელი იყო ეროვნული მასშტაბით გაფიცვის გამოცხადება.

„ჩვენს წინაშე იდგა არჩევანი, სთქვა პიუმ, ერთის მხრივ მოძრაობისათვის წესიერი მიმართულების მიცემისა და მეორეს მხრით მრეწველობის ქაოსისა და დანგრევის შორის. მთავრობას არა აქვს საფუძველი არ დაიჯეროს, რომ გენერალური საბჭო გულწრფელად ისწრაფვის, რომ გამოსავალი მონახოს შექმნილი მდგომარეობიდან. სანახშირო მრეწველობის კონფლიქტი მხოლოდ კულმინაციური პუნქტი გახდა გაცილებით მეტად დიდი მოვლენების განვითარების გზაზე. ეროვნული გაფიცვა გამომხატველი იყო იმისა, რომ იზრდება მუშათა კლასის უკმაყოფილება ინგლისის თანამედროვე მრეწველობის სტრუქტურით, და მუშებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი, ებრძოლონ ტრადიციულ იდეას იმის შესახებ, რომ მრეწველობის გაჯანსაღება შეიძლება მიღწეულ იქნას მუშათა ცხოვრების პირობების გაუარესებით".

უპასუხებდა რა მთავრობის ეხლანდელ გალაშქრებას ტრედიუნიონების წინააღმდეგ, პიუმ განაცხადა, რომ ტრედიუნიონიზმი ამჟამად საზოგადოებრივი ორგანიზმის ისეთივე ნაწილია, როგორც სასამართლოები და თვით პარლამენტი. **ტრედიუნიონიზმის არსებობა მოწმობს იმას, რომ მუშათა კლასი მომწიფებულია ხელისუფლებისა და პასუხისმგებლობისათვის. შეტევა ტრედიუნიონიზმის წინააღმდეგ აუცილებლად გამოიწვევს სოციალური ბრძოლის გამწვავებას,** რომელმაც შეიძლება საფრთხე განუმზადოს მთელ თანამედროვე სახელმწიფოებრივ სტრუქტურას. ეროვნული გაფიცვის ძვირფასი გაკვეთილი იყო ის, რომ მან დაამტკიცა დემოკრატიული მეთოდების გამოყენების სისწორე.

„არა პროფკავშირები, სთქვა პიუმ, არამედ მთავრობა სცდილობდა, რომ ეკონომიური ბრძოლა პოლიტიკურ კონფლიქტად გადაქცეულიყო. მხოლოდ ჩვენი ორგანიზაციის წევრების თავდაჭერილობას, მოთმინებას და ნათელ გონიერებას უნდა უმადლოდეთ, რომ **მთავრობის აგენტებმა ვერ შესძლეს გამოეწვიათ რევოლიუციონური ამბოხება და სამოქალაქო ომი.**

ის, რის განმარტებაც მე ამჟამად მსურს, არასოდეს არ იპყრობდა იმათ ყურადღებას, ვინც თავის მოქმედებაში სარგებლობს ჩვენი მოძრაობის გარეშე არსებული წყაროებით და ვინც მასის ამბებში ნახულობს მხოლოდ შესაფერ შემთხვევას, რომ ტრედიუნიონების გაფიცვის კანონიერი უფლება აქციოს რევოლიუციონური აჯანყების საშუალებად. ინგლისის მუშები თვით მიაღწევენ თავის მიზნებს დემოკრატიის მეთოდებით, რაც პოლიტიკურ ცხოვრებაში ნიშნავს პარლამენტარულ სისტემას, ხოლო ეკონომიურ ცხოვრებაში კოლექტიური მოქმედების სისტემას ტრედიუნიონების საშუალებით".

პიუ შემდეგ დაწვრილებით შეჩერდა სამთამადნო მუშების ფედერაციისა და გენერალურ საბჭოს შორის არსებულ უთანხმოებაზე და განაცხადა: თუ სწორია ის, რომ შესაძლებელია საჭირო გახდეს მთელი მოძრაობის გამოსვლა ერთი მისი ნაწილის დასაცავად, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ამდენადვე სწორია ის, რომ არ შეიძლება ამ მოძრაობის ერთი რომელიმე ნაწილის ინტერესების უფრო მაღლა დაყენება მთელი მოძრაობის ინტერესებზე.

შემდეგ პიუ შეეხო რა ტრედიუნიონების მომავალ პოლიტიკის საკითხს, გამოსთქვა აზრი განეხილათ ეკონომიური რეკონსტრუქციის და მრეწველობის გამოსწორების ფართო პრობლემები და იცავდა ხელფასის საკითხებში ისეთი პოლიტიკის აუცილებლობას, რომელიც შეთანხმებული იქნებოდა ეროვნული წარმოების მდგომარეობასთან.

შემდეგ პიუ მოითხოვდა იმას, რომ აუცილებლად საჭიროა შრომის კანონების საერთაშორისო კოდექსის გამომუშავება და ცალკე ქვეყნების პროფკავშირებს შორის მთელი რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება.

„ამ კონგრესს, სთქვა მან, მტკიცედ სურს საერთაშორისო მთლიანობა, მაგრამ ეს უნდა იყოს ცოცხალი მთლიანობა აზრებისა და გრძნობებისა და არა უსიცოცხლო და ყალბი რეკონსტრუქცია ჩვენი საერთაშორისო ორგანიზაციის".

თავისი სიტყვის უკანასკნელ ნაწილში პიუ მოუწოდებდა მოთმინებისაკენ და კონგრესის მონაწილეთ სთხოვდა „დიდსულოვნად გაეწიათ ანგარიში იმ სიძნელეებისთვის, რომლებიც ყოველ მათგანს ხვდება თავის მუშაობაში".

◆

ჩან-ძო-ლინის სიყალბე

ერთგული მოხელე

ხარბინი, 6 სექტემბერი. ხარბინის გაზეთებში გამოქვეყნებული იყო საუბარი ჩინეთის ადმირალ შენისთან; შენი აწარმოებდა აღმ. ჩინეთის რკინის გზის ფლოტის ჩამორთმევის ოპერაციებს. საუბრის დროს შენმა, სხვათა შორის, განაცხადა: ფლოტის ჩამორთმევის საქმეში სამმართველო მეგობრული თანაგრძნობით შეხვდა და მონაწილეობასაც იღებდა ქონების გადმოცემაში". ასეთი განცხადება სრული სიცრუეა და შეთხზულია მხოლოდ უცხოეთის პრესისათვის, რომ გაამართლონ თავისი მტაცებლური მოქმედება. ნამდვილად კი ადმირალი შენი ცდილობდა გზის სამმართველოს აგენტებს ხელი მოეწერათ აქტზე, მაგრამ ცდა უშედეგოთ დარჩა. გზის სამმართველოს თანამშრომლები კატეგორიულ უარს აცხადებდენ მონაწილეობა მიეღოთ ამ საქმეში და ამიტომ მათ ადგილებზე დანიშნეს სხვა პირები.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების გავრცელების საკითხი

ჩვენი სოფლის მეურნეობაში მყოფ იარაღ-მანქანების თითქმის 50% მოითხოვს შეკეთებას, უამისოთ შეუძლებელია მათი გამოყენება და სარგებლობა. ჩვენი გლეხობა ისე უხვად არ არის მომარაგებული იარაღ-მანქანებით, რომ მათი ნახევარი უმოქმედოთ გააჩეროს და დანარჩენი ინვენტარით თავის დროზე შესძლოს მორიგი სასოფლო სამეურნეო მუშაობის შესრულება. ადგილობრივ კი არც მანქანების შესაკეთებელი, სახელოსნოები მოიპოვება და არც მცოდნე პირები, რომლებსაც შეეძლოთ ამ მანქანების შეკეთება.

ამიტომ, საქართველოს საგეგმო კომისიის დადგენილება მაზრებში მანქანების შესაკეთებელი სახელოსნოების მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მოყვანილი სისრულეში. ასეთი სახელოსნოების მოწყობა აუცილებელ პირობას წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში გაუმჯობესებული იარაღ-მანქანების გავრცელებისთვის და გამოყენებისთვის.

მართლაც, რა საჭიროა ახალი მანქანების შეტანა სოფლად, თუ იქ მყოფი მანქანებიც უმოქმედოთ დგანან? ზოგიერთი მანქანები, როგორც, მაგალითად, ტრაქტორი, საკმაოდ ძვირათ ფასობენ და მათში ჩაყრილი თანხების უმოქმედოთ გაჩერება ხომ დიდ ზარალს აყენებს ღარიბ გლეხის მეურნეობას; გლეხი მანქანების შეძენის მიზნით ჩვეულებრივ სესხს ღებულობს, რომელიც მან თავის დროზე უნდა გადაიხადოს. მანქანა კი უმოძრაოთ სდგას.

ჩვენი გლეხობის უცოდინარობის და ჩამორჩენილობის წყალობით, სტატისტიკური ცნობებიც რომ არ გვქონდეს, თავისდათავად უნდა ვიგულისხმოთ, რომ მრავალი მანქანა უმოქმედოთ იქნება შესაფერი მოვლა-პატრონობის უქონლობის გამო. მოვლა-პატრონობა ეჭირვება არა მარტო მუშა-საქონელს, არამედ რკინისა და ფოლადის იარაღებსაც.

სასოფლო სამეურნეო მანქანების გაფუჭებას ისიც უწყობს ხელს, რომ ხშირად ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში იგზავნებოდა ისეთი მანქანები, რომლების გამოყენებაც იქაურ ბუნებრივ პირობებში შეუძლებელია. ამიტომ, საჭიროა, რომ მომავალში მაინც მანქანების გავრცელება ხდებოდეს მათი შერჩევის და გამოცდის შემდეგ.

ადგილობრივ გამართული მანქანების შესაკეთებელი სახელოსნოები სათანადო შტატით ამ მხრივაც დიდ დახმარებას გაუწევენ გლეხობას.

ისინი უნდა დაეხმარონ გლეხობას აგრეთვე ზოგიერთი მანქანებისთვის (ტრაქტორი და სხვა) საჭირო საწვავი და საწმენდი მასალით მომარაგებაში, ხელმისაწვდომ ფასებში მათი მიწოდების მოწესრიგებაში. ამ სახელოსნოების მუშაობის გაცნობით გლეხობა შეისწავლის ძვირფას იარაღ-მანქანებით მუშაობას და მათ მოვლა-პატრონობას, მით უმეტეს, რომ ცალკე დაქირავებული სპეციალისტის მოწვევა საკმაოთ ძვირი ჯდება. რასაკვირველია, მთელი ეს მუშაობა უნდა ტარდებოდეს ადგილობრივ კოოპერატიულ ორგანიზაციებთან (განსაკუთრებით სამანქანო ამხანაგობების და სასოფლო სამეურნეო კოლექტივების) და აგრონომიულ პერსონალთან დაკავშირებით.

სასოფლო სამეურნეო მანქანების გავრცელება ერთი ძირითადი პირობათაგანია ჩვენი სოფლის სოციალისტური გარდაქმნისთვის და ამ საქმეში ჩაბმული უნდა იქნენ სოფლად მყოფი ყველა მოწინავე ძალები.

აქვე საჭიროა ავღნიშნოთ, რომ მრავალი სასოფლო სამეურნეო მანქანები საკმაოდ ძვირად ფასობენ; ერთი და ორი სეზონის განმავლობაში მუშაობით შეუძლებელია მათი ღირებულების ანაზღაურება გრძელვადიანი კრედიტის მიუწოდებლად ღარიბი გლეხობა ვერ შესძლებს ამ მანქანების შეძენას და ამ შემთხვევაში, ისინი მხოლოდ მსხვილი გლეხობის კიდევ უფრო მეტი გამდიდრების წყაროთ გახდებიან. ამიტომ, უნდა ვეცადოთ ღარიბ და საშუალო გლეხობის კოლექტივებში გაერთიანებას და მათთვის გრძელვადიანი სესხის მიწოდებას.

ერთი სიტყვით, უმთავრესია არა მანქანების დამზადება თუ შემოტანა უცხოეთიდან, არამედ მათი გამოყენების საშუალების მიცემა ღარიბი გლეხობისთვის.

ჩვენი გლეხობა საკმაო მიდრეკილებას იჩენს მანქანების შეძენისა და მეურნეობის ახალ წესებზე გადასვლისაკენ. საჭიროა ამ მისწრაფებას შესაფერი ხელმძღვანელობა გაეწიოს სახელმწიფოს განკარგულებაში მყოფ მეცნიერულ და ტეხნიკურ პერსონალიდან.

უამისოდ სტიქიური მისწრაფება მანქანებისაკენ სტიქიურათვე ჩაქრება, გატაცებას უიმედობა და სასოწარკვეთილება მოჰყვება და გლეხობა ისევ მიწის დამუშავების მამა-პაპურ ადათ-წესებს დაუბრუნდება. ამიტომ, სასოფლო სამეურნეო იარაღ-მანქანების გავრცელება უნდა სწარმოებდეს დიდი დაკვირვებით და ყოველგვარ დაბრკოლებათა წინასწარ გათვალისწინებით; პირველად ყოვლისა კი აქაც საჭიროა გეგმიანობის დაცვა.

მ. დ.

ე რ თ ა ლ ი გ ი ს ს ე ს ი ა

გერმანიის საწინააღმდეგო ბლოკი

რომი, 6 სექტემბ. „ჟორნალ დ'იტალია"-ს ცნობით, ბრიანი და ჩემბერლენი შეთანხმდენ იმის შესახებ, რომ ერთა ლიგის შიგნით შეიქმნეს სახელმწიფოთა ისეთი ურთიერთობა, რომ შეუძლებელი გახდეს გერმანიის მხრივ ოპოზიციონური ჯგუფის შექმნა.

ბენეშის სიტყვა

ბერლინი, 6 სექტემბერი. 6 სექტემბერს გაიხსნა ერთა ლიგის მეშვიდე სესია. სესია გახსნა ლიგის საბჭოს ახლანდელმა თავმჯდომარემ ბენეშმა. აღნიშნა რა, მოსულის საკითხის მოწესრიგების ფაქტი, გამოსთქვა იმედი, რომ ოსმალეთი ახლო მომავალში შეყვანილ იქნება ერთა ლიგაში. შემდეგ ბენეშმა აღნიშნა, რომ განიარაღების საკითხში არის ახალი მიღწევები, მაგრამ სიტუაცია მაინც ისეთი რჩება, რომ განიარაღების საკითხის სავსებით გადაჭრა მოუხერხებელი ხდება.

საიდუმლო თათბირი

პარიზი, 7 სექტემბერი. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ პოლონეთის მოთხოვნილებით პოლონეთსა ფინეთსა, ლატვიასა და ესტონეთს შორის **მიღწეულია შეთანხმება ერთა ლიგის სესიის მიმდინარეობის დროს ჟენევაში მოაწყოს ამ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრის საიდუმლო თათბირი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საგარანტიო ხელშეკრულების საკითხების შესახებ.** მოლაპარაკება რუმინეთის მონაწილეობით ამ კონფერენციაზე ჯერ კიდევ არ დასრულდება.

სირიელების მოთხოვნილება.

პარიზი, 7 სექტემბერი. სირია-პალესტინის კომიტეტმა, რომლის პროგრამა შეიცავს სირია-პალესტინის დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოს შექმნას, მიმართა ამ პროგრამის მოთხოვნილებით ერთა ლიგას.

სირიელების ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნილებას წარმოადგენს ეროვნული არმიის შექმნა, სირიიდან საფრანგეთის ჯარების გაყვანა და სირიის ერთა ლიგაში შესვლა.

განიარაღების საკითხი.

ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი. ამერიკული პრესა აქვეყნებს აშკარა გაზვიადებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ, ვინაიდან ერთა ლიგის წინასწარი კომისიის სხდომა განიარაღების საკითხის შესახებ უშედეგოთ დამთავრდა, კულიჯი იმუქრება, რომ ამერიკა არ შეაჩერებს საჰაერო ფლოტისა და აგრეთვე სხვა სახის შეიარაღების გადიდებას, რადგან მას მიზნათ აქვს—მიაღწიოს უპირატესობას სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, თუ კი ეს უკასკნელები არ დათანხმდებიან განიარაღების ახალი კონფერენციის მოწვევაზე.

ამერიკის პოზიცია.

ბერლინი, 6 სექტემბერი. ჟენევაში გაიხსნა იმ კონფერენციის სხდომები, რომელიც მოწვეული იყო შეერთებული შტატების მიერ წამოყენებული შენიშვნების განსახილველად და დასამტკიცებლად. შენიშვნები შეიცავს ერთგვარ პირობებს, რომ შეერთებული შტატები შეუერთდენ ერთა ლიგის საერთაშორისო ტრიბუნალს.

◆

ა რ ე უ ლ ო ბ ა ე ს პ ა ნ ე თ შ ი

ოფიციალური ცნობა.

პარიზი, 6 სექტემბერი. მადრიდიდან იუწყებიან: გამოქვეყნებულია ოფიციალური ცნობა, რომ **არმიაში** სამხედრო პირების დაჯილდოვების წესების შეცვლის გამო, **მოხდა აჯანყება.** არტილერიის უფროსმა სამხედრო მინისტრის ნებადაურთველად ბრძანება გამოსცა კორპუსის ყველა უფროსებისა და არტილერიის აფიცრების შეკრების შესახებ.

ქალ. სეგოვიაში გამოცემული იყო ბრძანება, რომ გარნიზონი მომზადებულიყო და დარჩენილიყო ყაზარმებში. სამხედრო აკადემიის მსმენელებმა ვალიადოლიდში დაარღვიეს აგრეთვე დისციპლინა. **ამ ამბების გამო მთავრობამ წინადადება მისცა მეფეს დაბრუნდეს მადრიდში და გამოითხოვა მისგან ნებართვა მთელ ისპანიაში სამხედრო წესების გამოსაცხადებლად და აგრეთვე იმ დეკრეტის გამოსაცემად, რომელიც აუკრძალავს არტილერიის ყველა მეთაურებსა და ოფიცრებს შემდეგში თავის მოვალეობის შესრულებას.** დასასრულ იუწყებიან, რომ მთავრობას იმედი აქვს საზოგადოებრივი აზრის.

მადრიდიდან მიღებული მეორე ცნობა ამბობს: **მეფემ დაამტკიცა პრიმო-დე-რივიერას უფლება არტილერიაში აჯანყების ჩასაქრობად.** ანდალუზიაში და კატალონიაში კონფლიქტი უკვე გადაჭრილია.

დიქტატორის განცხადება.

პარიზი, 7 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო მადრიდიდან იუწყება: პრიმო-დე-რივიერამ პრესის თანამშრომლებთან საუბარში განაცხადა, რომ **კამპლონში,** როცა ადგილობრივი გარნიზონის არტილერიის პოლკს წარუდგინეს მოთხოვნილება, რომ იგი დანებებულიყო, **მოხდა შეტაკება.** შეტაკების დროს მოკლულ იქნა ერთი ლეიტენანტი და ერთი ჯარისკაცი, დაიჭრა ერთი სერჟანტი და ერთი ჯარისკაცი. პრიმო-დე-რივიერამ დასძინა, რომ მთავრობა სამხედრო დროის კანონებს გამოიყენებს იმ პირების მიმართ, რომლებმაც თავისი თავი კანონს გარეშე დააყენეს.

შემდეგ სააგენტო იუწყება, რომ ესპანეთის საშინაო და საგარეო სატელეგრაფო ურთიერთობა შეწყვეტილია. აჯანყებას, ალბათ, მიემხრეს ესპანეთის არტილერიის ყველა პოლკები. ბარსელონაში ჯარის სხვა ნაწილებმა ალყა შემოარტყეს არტილერიის ყაზარმებს: პორ - ვანდრიდან (საფრანგეთშია ესპანეთის საზღვრის მახლობლად) მიღებული ცნობით, ესპანეთის არეულობაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო ძალები.

მღელვარება ესპანეთში ჩაქრობილია

პარიზი, 7 სექტემბერი. მადრიდიდან მიღებული ცნობებით, იმ დახმარებით, რომელიც აღმოუჩინა მეფემ პრიმა-დე-რივიერას, სამხედრო მოძრაობა, დაწყებული, უმთავრესად, კადიქსსა და ბარსელონაში, ჩაქრობილია. დააპატიმრეს არტილერიის დირექტორი გენერალი სარო.

პერპინიანიდან მიღებული ცნობებით, მოძრაობა ესპანეთში მეტად შეზღუდულია და გამოიხატება მხოლოდ უბრალო კონფლიქტში არტილერიისა და ფეხოსან ჯარს შორის. პრიმა-დე-რივიერამ წარუდგინა მეფეს განცხადება გადადგომის შესახებ, მაგრამ მეფესთან საუბრის შემდეგ, თავისი განცხადება მან უკან წაიღო. აჯანყებულ ოფიცერთა ნაწილმა გადალახა საზღვარი. ცნობა საერთო სატელეგრაფო კავშირის შეწყვეტის შესახებ არ გამართლდა. ყველგან აღდგენილია წესრიგი, მაგრამ **პრიმა-დე-რივერა ამ კონფლიქტიდან გამოდის ძალიან შერყეული ავტორიტეტით.** მისი უკანასკნელი ზომები არ მოიწონეს. საზოგადო აზრი მაგაცის სასარგებლოა. ვაჭრობის მსვლელობა სახელმწიფოში არ შეწყვეტილა. ოფიციალურ ნოტაში ნათქვამია, რომ მოძრაობა იყო წმინდა კორპორაციული ხასიათისა—იგი წარმოშვა ოფიცრების უკმაყოფილებამ მთავრობის განკარგულებებით; ჯარები ყველგან იცავდენ დისციპლინას.

გამოურკვეველი მდგომარეობა.

პარიზი, 7 სექტემბერი. ესპანეთის ამბების შესახებ მიღებულ ცნობებში წინააღმდეგობაა, ერთის მხრით იუწყებიან, რომ პრიმო-დე-რივიერამ შესძლო მშვიდობიანობის დამყარება, მეორეს მხრით კი იუწყებიან, რომ 1500 ოფიცერის სამსახურიდან დათხოვნამ უკმაყოფილების ფართო მოძრაობა გამოიწვია იმ სამხედრო გემებზე, რომლებიც ბარსელონასა და კადიქსში დგანან. იუწყებიან, რომ ესპანეთის მეფემ, რომელიც პირველად წინააღმდეგი იყო პრიმა-დე-რივიერას ზომებისა, ოფიცრების აჯანყების შემდეგ სრული ნდობა გამოუცხადა მას.

ს ა ბ ჭ ო თ ა პ რ ე ს ა

სამი კითხვა

ჩვენი სახელმწიფოებრივ აპარატის გაჯანსაღებისა და საბჭოთა დემოკრატიის განმტკიცებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მუშათა და გლეხთა მასსებიდან ახალი მუშაკების წამოყენებას, მათ ჩაბმას საბჭოთა აღმშენებლობაში, უპარტიო მშრომელ მასსებიდან ყველაზე უფრო აქტიურ და შეგნებულ ელემენტების მოზიდვას საპასუხისმგებლო და სახელმძღვანელო თანამდებობებზე. პარტიას კარგა ხანია რაც გარკვეული ხაზი აქვს ამ დარგში აღებული, მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ უპარტიო მუშაკების დაწინაურების პრაქტიკა და შედეგები ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი. ამ ნაკლის გამოსასწორებლად რუსეთის ცაკმა ამასწინად მიმართა საგ. აღმასკომებს წინადადებით — უახლოესი ორი თვის განმავლობაში მიაწოდონ მას ვრცელი მასალა, რომელიც ეხება დაწინაურებულ მუშაკების მოღვაწეობას. მიმართვა შეიცავს იმ საკითხების ნუსხას, რომლებზედაც უნდა იქნეს პასუხი გაცემული გაზ. **„ბედნოტა"** ჩერდება ამ საკითხებიდან უმთავრესებზე:

„პირველი კითხვა: როგორ წარმოებს წამოყენებულ მუშაკების შერჩევა და როგორია მათი წამოყენების წესი. ამ კითხვაზე გაცემული პასუხი შესაძლებლობას მოგვცემს ვიმსჯელოთ, თუ რამდენად არიან წამოყენებულ მუშაკების შერჩევის დროს ჩვენი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ნამდვილად მჭიდროთ დაკავშირებული უპარტიო აქტივთან, რამდენად სწავლობენ და იცნობენ მას,—ეს ერთი მხრით; ხოლო მეორე მხრით — რამდენადაა დაცული პარტიის მითითება (მიცემული ჯერ კიდევ ერთი წლის წინედ) იმის შესახებ, რომ დაწინაურებისათვის კანდიდატებად დაასახელონ ამხანაგები, რომელთაც გამოიჩინეს თავი საზოგადოებრივ და ყველასათვის დასანახ სამუშაოზე, ამა თუ იმ არჩევით თანამდებობაზე და სხ. სხვა სიტყვებით, პარტიულ დადგენილების (რომელიც გამოქვეყნებული იყო ჯერ კიდევ 1925 წ. აგვისტოში) აზრით, კანდიდატებად უნდა წამოყენებულ იქნენ პირები, რომლებზედაც მუშათა და გლეხთა ფართო მასსებმა მოასწრეს გარკვეული წარმოდგენის შემუშავება.

მეორე კითხვა: წამოყენებულ მუშაკების სოციალური და ქონებრივი მდგომარეობა. ამ კითხვის პოლიტიკური აზრი მდგომარეობს, პირველი, იმაში, რომ არ იქნეს დაშვებული წამოყენებულ მუშაკთა რიგებში პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო ელემენტების, კულაკურ წრის აგენტების მოხვედრა; მეორე, იმაში, თუ რამდენად წინაურდებიან პირველ ყოვლისა ნამდვილი გლეხები და არა მოსამსახურე ელემენტები.

მესამე კითხვა: დაწინაურებულ პირთა პრაქტიკული სამუშაოზე გამოყენების ხარისხი.

ამას მხედველობაში აქვს მასალების მიღება იმაზე, თუ წამოყენებული მუშაკი რამდენად არიან გამოყენებულნი იმ როლის შესასრულებლად, რომელსაც პარტია დაწინაურებას აკისრებს, ე. ი. თუ რამდენად მონაწილეობენ ისინი სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელ (და არა წვრილ-საკანცელარიო) მუშაობაში".

როგორც ვსთქვით, მუშათა და გლეხთა წრიდან მუშაკების წამოყენებას უდიდესი პოლიტიკური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მათ საშუალებით სახ. აპარატი მასსებს უახლოვდება. მათი მონაწილეობით საბჭოთა ორგანოებში მუშავდება სხვადასხვა ლონისძიებები, რომელთაც, ამიტომ, მეტი ცხოველ-მყოფელობა ენიჭებათ. ამავე დროს დაწინაურება მმართველობის საუკეთესო სკოლაა უპარტიო მუშებისა და გლეხებისათვის. ყველაფერი ეს [illegible] და საყოველთაოდ აღიარებული. ეხლა საჭიროა დაწინაურების გამოცდილების შემოწმება, რათა ის შემდეგში მეტის წარმატებით იქნას გამოყენებული. ამას ჩვენს პირობებშიც დიდი მნიშვნელობა ექნება.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ინგლისელ ამხანაგებისათვის.

ხარკოვი, 6 სექტემბერი. უკრაინის სამთამადნო მუშების კავშირმა ინგლისის მემაღაროების გაფიცვის დაწყებიდან შეაგროვეს და გადაგზავნეს 281.000 მან. უკრაინის რკინისგზის მუშებმა შეაგროვეს 150.000 მანეთამდე.

სარეპარაციო გადასახადი

პარიზი, 7 სექტემბერი. როგორც ბერლინიდან იუწყებიან, სარეპარაციო გადასახადების გენერალურ აგენტს განუცხადებია, რომ დაუესის გეგმის მიხედვით გერმანიის გადასახადი მეორე წლისათვის უდრის 1.166 მილ., საიდანაც 650 მილიონი გადახდილ უნდა იქნას ნატურით. აქედან საფრანგეთის წილად მოდის 565 მილ., ინგლისის—226 მილ., ბელგიის—116 მილ. და იტალიის 77 მილიონი.

აჯანყება დამასკში

ნიუ-იორკი, 7 სექტემბერი. როგორც იუწყება გაზ. „ნიუ-იორკ ჰერალდი“, გუშინ დილით დამასკში შესულა აჯანყებულთა რაზმი 600 კაცის რაოდენობით.

ბრძოლის შემდეგ, რომელიც გაგრძელდა 2 საათს, აჯანყებულები იძულებული გახდენ დაეხიათ უკან. ბრძოლაში მოკლულია 40 კაცზე მეტი.

პროვოკაციამ არ გასჭრა

პრაღა, 6 სექტემბერი. პრაგის კომკავშირმა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია მოაწყო. პოლიციამ დააპატიმრა ლურჯი ხალათის აქტიორები.

ფაშისტებს სურდათ პროვოკაციული საშუალებით მოეწყოთ—შეტაკება, მაგრამ ვერ მოახერხეს.

პუანკარე ფულს დაეძებს

პარიზი, 7 სექტემბერი. საფრანგეთის ბანკის მმართველის თანადასწრებით პუანკარეს ჰქონდა თათბირი მსხვილ ბანკების დირექტორებთან სესხის მომავალ გამოშვების შესახებ. ახალი სესხი გამოშვებული იქნება ძალიან მცირე რაოდენობით და ფრანკებათ, რომლებსაც არ ექნებათ გადახურდავების ძალა, მაგრამ აღჭურვილი იქნება საშემოსავლო პროცენტით და საერთო გადასახდში მონაწილეობით.

საამორტიზაციო სალაროს საბჭოს კრება შესდგება 15 სექტემბერს, რომელიც გამოიმუშავებს პროცენტის რაოდენობას როგორც სახელმოსაწერო შეღავათების, ისე ახალი ობლიგაციების ამორტიზაციის ხანგრძლივობას.

პოლონეთ - რუმინეთის კონფერენცია

პარიზი, 7 სექტემბერი. პოლონეთ-რუმინეთის ახალ სამხედრო კონფერენციის შესახებ გავრცელებულ ხმების გამო, ზალესკიმ და მატალიანემ განაცხადეს, რომ საგარანტიო ხელშეკრულება წინასწარ იყო წარდგენილი ერთა ლიგაში და არ შეიცავდა მუხლს სამხედრო კონფერენციის შესახებ, რაც სავსებით ამართლებს მშვიდობიანობის სურვილს.

მაღაროს მეპატრონეთა წინადადების უარყოფა

ლონდონი, 7 სექტემბერი. ლანკაშირის სამთამადნო მუშათა ფედერაციამ დაადგინა უარი განაცხადოს მაღაროს მეპატრონეთა წინადადებაზე მოლაპარაკების დაწყების შესახებ მუშაობის განახლების საკითხში რაიონებისდამიხედვით შეთანხმების მიღწევის მიზნით.

სახედრო თათბირი ვარშავაში

ვარშავა, 7 სექტემბერი. გუშინ რიძმიგლისთან თათბირისა და ლიტოვეთის საზღვარზე პოლონეთის არმიის მანევრების დასრულების შემდეგ პილსუდსკი მოულოდნელად დაბრუნდა ვარშავაში (ოფიციალურად პილსუდსკი შვებულებაში ითვლება). დაბრუნებისთანავე პილსუდსკიმ მოიწვია თათბირი სამხედრო სამინისტროს და არმიის გენერალურ ინსპექციის მაღალ თანამდებობითი პირებისა და ბარტელთან ერთად.

პოლონეთის მფრინავების თავდასხმა

მინსკი, 7 სექტემბერი. უკანასკნელ ხანებში გახშირდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე პოლონეთის ჰაეროპლანების თავდასხმა, რაც სისტემატიურ ხასიათს იღებს. ასე, მაგალითად, 2[illegible] ივლისს იზიასლავლის რაიონში ჩამოფრინდა პოლონური ჰაეროპლანი; 2 აგვისტოს ჩვენი საზღვარი გადმოლახა პოლონელმა მფრინავმა ივ. პოგოსტიმ; უკანასკნელად 2 სექტემბერს პოლონელი მფრინავი ღრმად შემოიჭრა ჩვენს რესპუბლიკაში მინსკის მიმართულებით.

მექსიკა და დასავლეთ ევროპა

ლონდონი, 7 სექტემბერი. მექსიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაადასტურა თავისი განზრახვა არ განაახლოს მეგობრობის ხელშეკრულება ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანიასთან. ამ ხელშეკრულებებს ვადა წელს უთავდებათ. მექსიკის მთავრობას განზრახული აქვს დაიწყოს მოლაპარაკება ახალ ხელშეკრულებების დადების შესახებ.

მხოლოდ 6 წლით

ლონდონი, 7 სექტემბერი. „დეილი მეილის“ ნიუ-იორკელ კორესპონდენტის ცნობით, ნავთის წყაროების დაცვის სამმართველომ აცნობა პრეზიდენტ კულიჯს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ ნავთის სამრეწველოების მარაგი ამოიწურება 6 წელში. შეერთებულ შტატების ვაჭრობის მინისტრმა გუვერმა განაცხადა, რომ მექსიკასა და სამხრეთ-ამერიკაში არსებულ ნავთის წყაროების ბურღვა ჯერ არაა დამთავრებული. გუვერი მოითხოვს უფრო ენერგიული ზომების მიღებას მათ საექსპლოატაციოთ.

ჩინურ-რუსულ უნივერსიტეტის დახურვა

პეკინი, 7 სექტემბერი. პეკინის ჩინურ-რუსული უნივერსიტეტი, რომელიც აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის-გზის კანტროლ ქვეშ იმყოფებოდა, საგარეო საქმეთა სამინისტროს განკარგულებით დახურულია.

ინგლისელები ჩინეთში

ლონდონი, 6 სექტემბერი. ინგლისის თემთა პალატის დეპუტატმა, კონსერვატორმა ჰერბერტ ლუკერმა რეაქციონურ ორგანო „მორნინგ პოსტს“ მიმართა წერილით, რომელშიაც დაჟინებით მოითხოვს, რომ ინგლისის მთავრობამ ჩინეთში „დაიცვას ინგლისის ინტერესები და უფლებანი“. **ლუკერი აცხადებს, რომ ჯერ არც ერთხელ ინგლის-ჩინეთის ურთიერთობის ისტორიაში ინგლისის პრესტიჟი ასე არ დაცემულა, როგორც ეხლა.** „დადგა დრო, სწერს ლუკერი, როცა აუცილებლად უნდა დავუმტკიცოთ ჩინელებს, განსაკუთრებით ჩინეთის მთავრობას, რომ ჩვენი სახელმწიფო ისე არ დასუსტებულა და არ დაუძლურებულა, როგორც, ალბად, მათ ჰგონიათ“.

ინგლისის სამხედრო გემების შეტაკება უ-პეი-ფუს შეიარაღებულ ძალებთან

პეკინი, 7 სექტემბერი. მდინარე იანცეკიანზე ინგლისის ნაღმოსანი კოხჩეფერი და ინგლისის მაშველი გემი კიავსი შეეტაკა უ-პეი-ფუს მომხრე გენერალ იან-სენის შეიარაღებულ ძალებს.

ინციდენტი წარმოიშვა იმის გამო, რომ ინგლისის სამხედრო გემები შეეცადნენ ბრიტანული ფირმის გემების განთავისუფლებას, რომლებიც იან-სენის ჯარისკაცების მიერ დაკავებულნი იყვნენ ვანსიენის ნავთსადგურში.

ინგლისის სამხედრო გემების ცდამ, გაენთავისუფლებიათ დაკავებული გემი, გამოიწვია სროლა, რომლის შედეგათ დაიჭრა კოხჩეფერის უფროსი და 5 მე-

მუშური სოლიდარობა

მუშების სიმტკიცე

მოსკოვი, 7 სექტემბერი. ინგლისის სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის წევრებმა **სმიტმა და ლეიხენმა** საბჭოთა კავშირის ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომლებთან საუბრის დროს განაცხადეს: „**საბჭოთა კავშირის მუშების მიერ გამოგზავნილი თანხები განაწილებულია რაიონებში ინგლისის სამთამადნო მუშების კავშირის ყველა წევრებს შორის.** ინგლისის მემაღაროეთა მთელმა მასამ კარგად უწყის, რომ მხოლოდ ეს ძმური დახმარება შველის მას შიმშილისაგან თავის დასახწევად და უქადის გამარჯვებას დაწყებულ ბრძოლაში. ასეთი დახმარება არასოდეს არ შეიძლება დავიწყებულ იქნეს.

თქვენი დახმარება არის ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს შორის მეგობრობისა და ძმობის დუღაბი. **საკავშირო პროფსაბჭოს დელეგაციისათვის ინგლისში ჩამოსვლაზე ნებართვის მიუცემლობა გამოიწვევს სამართლიან აღშფოთებას ინგლისის მუშათა მასებში. ინგლისის პროლეტარიატი კონსერვატორულ მთავრობის გამოწვევაზე უპასუხებს რუს ძმებთან კიდევ უფრო მჭიდრო კავშირის დამყარებით. ინგლისის სამთამადნო მუშები ურყევად და მტკიცედ იცავენ თავიანთ გადაწყვეტილებას და არ დაუთმობენ კაპიტალის შემოტევას.**

ხომენის განცხადება

მოსკოვი, 6 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში გერმანელ მუშა-ქალების დელეგაციის წარმომადგენელი სოციალ-დემოკრატი ანა ხომენი შეეხო ინგლისის გაფიცულ მემაღაროების დახმარების საკითხს.

„სუსტი დახმარება, რომელიც გაუწია გერმანიის მუშებმა ინგლისის მემაღაროებს, სთქვა ხომენმა, აიხსნება ჩვენი ბელადების ჯიუტობით, რომლებიც ამ გაფიცვას სთვლიან მხოლოდ როგორც „პოლიტიკურ დემონსტრაციას“. ეს ფაქტი ყოველგვარ სიტყვებზე უფრო მჭერმეტყველურად ააშკარავებს ბელადების მიერ მუშათა მასების „ხელმძღვანელობის“ ნამდვილ ხასიათს“ **ეს ფაქტი ბევრს აუხელს თვალს და დაანახვებს საქმის ჭეშმარიტ მდგომარეობას“.**

მაღაროს მეპატრონეები ჯიუტობენ

ლონდონი, 7 სექტემბერი. როგორც გადმოგვცემს ინგლისის ოფიციალური რადიო, კაბინეტის სანახშირო კომისიის გუშინდელ კრებაზე სანახშირო საზოგადოების წევრებთან ერთად, **ჩერჩილმა** და სხვა მინისტრებმა გადაჭრით მოსთხოვეს მაღაროს მეპატრონეებს, რომ ისინი დათანხმდენ მთავრობის მონაწილეობით მემაღაროეთა ფედერაციასთან კრების მოწყობაზე ნაციონალურ მასშტაბით მოლაპარაკების დაწყების მიზნით.

მაღაროს მეპატრონეები, რომელთა სახელითაც ლაპარაკობდა **ევან უილიამი,** იცავდენ თავის უარს და მთავრობას აღუთქვეს დღეს თავისი არგუმენტების წარდგენა, და ამასთან ერთად განაცხადეს, რომ მათ შეხედულებათა შეცვლაზე ნუ ექნებათ დიდი იმედი. მაღაროს მეპატრონეებს, უილიამის სიტყვით, არ სურთ მემაღაროეთა ფედერაციასთან კავშირის გაწყვეტა და მზად არიან ითათბირონ უკანასკნელებთან მხოლოდ საერთო საკითხებზე, როგორიცაა მემაღაროეთა კეთილდღეობისა და ჯანმრთელობის დაცვა, ხოლო მაღაროებში მუშების დაქირავების პირობები განხილულ უნდა იქნას რაიონებისდამიხედვით. მაღაროს მეპატრონეების ცდა მიმართონ შეთანხმებას, იქნებოდა საერთო მშვიდობიანობის საზარალო, ვინაიდან ეს შეთანხმება ყოველგვარ სამრეწველო საკითხს აძლევს პოლიტიკურ ხასიათს.

ჩერჩილმა აღნიშნა, რომ მემაღაროეები აცხადებენ თანხმობას განაახლონ „შრომის ხელფასის „შესამცირებელი“ ზომები, რითაც ააშკარავებენ ცვლილებას მათ სულიერ განწყობილებაში, ხოლო მაღაროს მეპატრონეებმა კი, პირიქით დაიხიეს აპრილში მათ მიერ დაკავებულ პოზიციებიდან, როდესაც თვითვე იყენებდენ ნაციონალურ მასშტაბით შეთანხმების პროექტს. **მთავრობა არასდროს არ უყურიდა კენჭს საკითხს 8 საათის სამუშაო დღის შესახებ, მას რომ სცოდნოდა ის, რომ მშვიდობიანობის აღდგენის ცდაში გადეღობებოდა ისეთი ზღუდე, როგორიცაა მაღაროს მეპატრონეების უარი ნაციონალურ მასშტაბით მოლაპარაკების დაწყებაზე.** ამ სამრეწველო კონფლიქტში ნაციონალურ მასშტაბით შეთანხმების საკითხს ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორც საკითხს სამუშაო საათებისა და სამუშაო ხელფასის შესახებ. ჩერჩილმა გააფრთხილა მაღაროს მეპატრონეები, რომ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა საჭიროთ დაინახავს სამრეწველო სასამართლოს მოწყობას, მაშინ მაღაროს მეპატრონეებს მოუხდებათ ამ სასამართლოს წინაშე წარდგომა, როგორც ნაციონალურ ორგანოს, ან და საქმე გაირჩევა მათდა დაუსწრებლათ. თუ რომელიმე ორგანოსთან ნაციონალური მასშტაბით მოლაპარაკების გამართვაზე უარის თქმა იქნება მაღაროს მეპატრონეთა უკანასკნელი სიტყვა, მაშინ სრულიად გასაგები გახდება მთავრობის სურვილი საკუთარი გზით წარმართოს საქმე მაღაროს მეპატრონეთა დაუსწრებლად. მაგრამ მთავრობა ღრმადაა დარწმუნებული, **რომ მაღაროს მეპატრონეთა ლიდერები თავის ორგანიზაციებისაგან მიიღებენ ნებართვას საქმის სათანადო ფორმით განხილვაზე. მათი ჯიუტობა საკუთარი თვალსაზრისის დაცვაში გამოიწვევს სერიოზულ შედეგებს და, ამასთან ერთად, საზოგადო აზრიც მათ საწინააღმდეგო მიმართულებას მიიღებს.**

მუშათა პარტიის გამარჯვება

ლონდონი, 6 სექტემბერი. **დამატებითი მუნიციპალური არჩევნები ბირმინჰამის ერთ-ერთ რაიონში მუშათა პარტიის კანდიდატის — მილნერის გამარჯვებით დამთავრდა. მილნერმა მიიღო 4.346 ხმა, კონსერვატორთა პარტიის კანდიდატმა კი—3.344 ხმისა.** წინანდელ არჩევნებში, რომელიც 1925 წ. ნოემბერში მოხდა, კონსერვატორების კანდიდატმა მიიღო 4.568 ხმა, მუშათა პარტიის კანდიდატმა კი 3265 ხმა.

პოლონეთ რუმინეთის სამხედრო ხელშეკრულება

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 6 სექტემბერი. გაზეთი „ნიუ-იორკ ამერიკენ“-ი აქვეყნებს ცნობას იმის შესახებ, რომ პოლონეთ-რუმინეთს შორის დადებულია საბჭოთა კავშირის და გერმანიის წინააღმდეგ მიმართული ხელშეკრულება.

როგორც გაზეთი ამტკიცებს, ხელშეკრულება ხელმოწერილია რუმინეთის და პოლონეთის სამხედრო შტაბების წარმომადგენლების მიერ 14 მაისს პარიზში საფრანგეთის უზენაესი სამხედრო საბჭოს უახლოესი მონაწილეობით. ამასთან ერთად, გაზეთს მოჰყავს ხელშეკრულების შინაარსი, რაც გაზეთის აზრით წარმოადგენს 1926 წელს განახლებულ ხელშეკრულების საიდუმლო დამატებას. ხელშეკრულება ითვალისწინებს პოლონეთ-რუმინეთის ურთიერთ დახმარებას და რუმინეთის ჯარების მიერ პოლონეთის ტერიტორიის გადალახვის უფლებას იმ შემთხვევაში, თუ ომი დაიწყო გერმანია - პოლონეთსა ან პოლონეთ-საბჭოთა შორის. შემდეგ ხელშეკრულება ითვალისწინებს რუმინეთის ჯარების სტრატეგიულ დაჯგუფებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„ნიუ-იორკ ამერიკენ“-ი აქვეყნებს აგრეთვე რუმინელი გენერლის **პეტალას** წერილს რუმინეთის სამხედრო მინისტრის მიმართ. ამ წერილში გენერალი პეტალა, რომელმაც რუმინეთის სახელით ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, სწერს: ეს ხელშეკრულება გამოხატავს საფრანგეთის სამხედრო საბჭოს თვალსაზრისს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც მიღებულ უნდა იქნეს იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნა შეიარაღებულ კონფლიქტს რუმინეთ-პოლონეთსა, და მეორე მხრით მათ მეზობლად მდებარე სახელმწიფოებს შორის.

„მიუხედავათ ამისა სწერს პეტალა, ჩვენ იმედი არ უნდა ვიქონიოთ საფრანგეთის ჯარების დახმარების, რადგან საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი მხარს არ დაუჭერს ასეთ ზომებს“.

დასასრულ პეტელა აცხადებს, რომ საფრანგეთი თანახმაა სამხრეთ-სლავიის გზით რუმინეთში გაგზავნოს არტილერია, ქიმიური იარაღები და სხვა სამხედრო მოწყობილობა.

გერმანიის პოლიტიკური წრეები ხელშეკრულების შესახებ

ბერლინი, 7 სექტემბერი. ამერიკელი გაზეთის მიერ გამოქვეყნებულმა პოლონეთ - რუმინეთის საიდუმლო ხელშეკრულებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პოლიტიკურ წრეებში. გაზ. „ალგემეინე ცეიტუნგ“-ი სვავს კითხვას, შეეფერება თუ არა ასეთი ხელშეკრულება ერთა ლიგის მისწრაფებებს?

საფრანგეთის სამხედრო სამინისტრო უარყოფს

პარიზი, 7 სექტემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება: „საფრანგეთის სამხედრო სამინისტრო უარყოფს ცნობას, თითქოს საფრანგეთ-პოლონეთ-რუმინეთს შორის ხელმოწერილი იყოს საიდუმლო სამხედრო ხელშეკრულება“.

„თოფი არ ისროლოთ“

ლონდონი, 6 სექტემბერი. ხელმეორედ შესდგა მემაღაროე კოილის და დამლაგებელის ხენტერის საქმის გარჩევა; მათ ბრალდებოდათ „უკანონო მოქმედება, რომელსაც მიზნად აქვს მღელვარების გამოწვევა“. კოილს მიუსაჯეს 25 გირვ. სტერლ. დაჯარიმება, ხენტერი გაამართლეს. კოილისა და ხენტერის (ორივე კომუნისტია) ბრალდება შემდეგში მდგომარეობდა: ლონდონის ქუჩაში სადგურისაკენ მიმავალ ჯარის ერთ-ერთ ნაწილს კოილმა შეაგება პლაკატი, რომელსაც შემდეგი წარწერა ჰქონდა: „როგორი ომი—1914 თუ 1926 წლისა? არ ესროლოთ!“ ხენტერს ბრალი ედებოდა კოილისათვის დახმარების აღმოჩენაში.

9 საათის სამუშაო დღე

ბერლინი, 6 სექტემბერი. **ალბერტ ტომამ,** საერთაშორისო შრომის ბიუროს თავმჯდომარემ ერთა ლიგაში, გამოაქვეყნა ბიუროს ოფიციალურ ორგანოში წერილი მოსალოდნელ შედეგების შესახებ ინგლისში მემაღაროეთათვის რვა საათის და იტალიაში 9 საათის სამუშაო დღის შემოღების გამო. აღნიშნა რა, რომ ახალი კანონის თანახმად ინგლისის მემაღაროებმა უნდა იმუშაონ ნახევარი საათით მეტი, ვინემ რურის მემაღაროებმა და 50 წუთით მეტი, ვინემ საფრანგეთის მემაღაროებმა. ტომა სვამს საკითხს ხომ არ აიძულებს ეს გარემოება საფრანგეთსა და გერმანიას, რომ ინგლისის მსგავსად და შეიძლება კიდევ უფრო მეტად მათაც გაადიდონ მემაღაროეთათვის სამუშაო დღის საათები. ასეთ შემთხვევაში შეიქნებოდა ვაშინგტონის კონფერენციის მუქარა 8 საათის სამუშაო დღის შესახებ. ტომას აზრით, **8 საათის სამუშაო დღის პრინციპის დარღვევა იტალიის მთავრობის მიერ გამოიწვევს სერიოზულ შედეგებს.** ის სწერს: „თუ კი იტალია შემოიღებს 9 საათის სამუშაო დღეს, რომ შეამციროს ნაწარმოების ღირებულება და დაიპყროს ბაზრები—მაშინ მის კონკურენტებსაც შეუძლიათ გაადიდონ სამუშაო დღე 9 საათამდე და შესაძლებელია 9-ნახ. ან 10 საათამდეც კი.

„ვისი ხელია?“

(„იზვესტიას“ მოწინავე)

მოსკოვი, 7 სექტემბერი. ჩან-ძო-ლინის თავხედმა გამოსვლამ მანჯურიაში გამოიწვია საბჭოთა კავშირის საზოგადო წრეების ღრმა აღშფოთება. ეს არაა გასაკვირი. 1924 წელს საბჭოთა მთავრობამ დასდვა ორი ხელშეკრულება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ—ერთი ჩინეთის ცენტრალურ მთავრობასთან, ხოლო მეორე თვით ჩან-ძო-ლინთან. ამ ქვეყნად ბევრნაირ ხელშეკრულებებს სდებენ, მაგრამ ჩვენი ხელშეკრულებები ჩინეთთან, როგორც ცა დედამიწისაგან, ისე განირჩევიან იმ ხელშეკრულებებისაგან, რომლებსაც ასე გულმოდგინედ იცავდენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბურჟუაზიული მინისტრები. რას წარმოადგენს, მაგალითად, ინგლისის ხელშეკრულება ჩინეთთან? ბრიტანეთის მთავრობამ ეს ხელშეკრულება დასდო ჩინელ ხალხის ყელზე დანის დაჭერის გზით. იმისთვისაა, რომ ჩინეთის ხალხს დღემდე ასე სძულს ინგლისი. ჩვენი ხელშეკრულებები ჩინეთთან კი—სულ სხვა ხასიათის მოვლენაა. საბჭოთა კავშირს ეს ხელშეკრულებები ჩინეთისათვის ძალით როდი მოუხვევია თავზე. ამისათვის ხიშტი და ტყვიისმფრქვეველი როდი გამოგვიყენებია. ჩვენ ველაპარაკებოდით ჩინეთს, როგორც თანასწორი თანასწორს. ჩვენი ხელშეკრულებები ჭეშმარიტად დემოკრატიული ხელშეკრულებებია, რომლებზედაც ანტანტის სახელმწიფოებრივი მოღვაწეები ასე ბევრს ლაყბობდნენ,ომის დროს ხოლო ასევე ჩქარა დაივიწყეს ისინი რა წამს ვერსალში გაიმართა გამარჯვებულთა ნადიმი. ჩვენ ნებას არ მივცემთ იმპერიალიზმის დამქაშებს დაუსჯელად გაქელონ ეს ხელშეკრულებები. ძალაუნებურად ისმება საკითხი რით აიხსნება ჩან-ძო-ლინის ასეთი თავხედური გამოსვლა? მანჯურიის მარშალი ხელებს იგრძელებს მაშინ, როდესაც ზურგს უკან ეგულება უცხოეთის დახმარება. თუ ეხლა სუნგარში აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზაზე ჩან-ძო-ლინი, ჯაჭვიდან აწყვეტილივით, ახდენს ასეთ ძალადობას, ეს ნიშნავს იმას, რომ რაღაც „უჩინარი“ ხელი ხელმძღვანელობს მას, რომ ვიღაც უნერგავს მას ბოროტ აზრებს. სახელდობრ, ვინ? დეპეშებიდან ჩვენ ვიცით, რომ ამ უკანასკნელ კვირაში მუკდენი გადაიქცა ელჩთა თავმოსაყრელ ადგილად. იქ ჩავიდენ პეკინიდან საფრანგეთის, ინგლისის და ამერიკის ელჩები. მათ რაღაზედაც ისაუბრეს ჩან-ძო-ლინთან და რაღაცის გარშემო შეთანხმდნენ კიდეც. ამნაირად მანჯურიის მარშალის სხვადასხვა ინტრიგებში ურევია ყველა იმპერიალისტურ სახელმწიფოების ხელი.

მაგრამ არის ორი სახელმწიფო, რომლებიც მანჯურიის ამბებში მეტად აქტიურ როლს თამაშობენ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ინგლისი და იაპონია. ჩვენ გვინდა იაპონიასთან მშვიდობიანი და მყუდრო ცხოვრება. თუ დავუჯერებთ მის ოფიციალურ ხელმძღვანელების სიტყვებს, იაპონიასაც სურს ჩვენთან მშვიდობიანი და მყუდრო ცხოვრება. ძალიან კარგია. მაგრამ ჩვენთვის არ კმარა სიტყვები, საჭიროა ფაქტები. იაპონიის მთავრობის გულწრფელობის საუკეთესო დამამტკიცებელი იქნებოდა მისი მოქმედება, მისი საქმე, რომლებიც ყოველგვარი ეჭვის გარეშე დაამოწმებდენ იმას, რომ ტოკიოს ნამდვილად არაფერი საერთო არა აქვს მუკდენის უკანასკნელ გამოსვლებთან.

ეხლა ინგლისის შესახებ, აქ კი უკვე ყველაფერი ნათელია, ცინიკური და აშკარა. ჩემბერლენის მთელი თანამედროვე პოლიტიკის ღერძს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის პოლიტიკური გარემოცვა. ის ამ ძირითადი იდეის მატარებელია ყველგან და ყოველთვის, აღმოსავლეთით და დასავლეთით. დასავლეთით ჩემბერლენი აბამს ანტი-საბჭოთა დაუსრულებელ ქსელს ბალტიის მხარეთა სახელმწიფოებში და ამჟამად ჩვენს წინააღმდეგ აშკარად გვისევს პილსუდსკის პოლონეთს. აღმოსავლეთით ჩემბერლენი არანაკლებ გულმოდგინებით აბამს ინტრიგების ხშირ ქსელს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ოსმალეთსა, სპარსეთსა, ავღანისტანსა და, განსაკუთრებით, ჩინეთში. ამ უკანასკნელ ქვეყანაში ჩემბერლენს დასახული აქვს ორი მიზანი: ჩაახშოს რევოლუციონური მოძრაობა, რომელსაც ახელმძღვანელებს კანტონის მთავრობა, სრული განადგურება და ჩინეთზე საბჭოთა კავშირის გავლენის სრული მოსპობა.

თუ ეხლა მანჯურიის მფლობელი წყალს ამღვრევს ხარბინში და არღვევს საბჭოთა კავ- ამაში არ შეიძლება რამე ეჭვის შეტანა.

მუკდენის მარშალს შეუძლია, რასაკვირველია, მოძებნოს პატრონი, სადაც მას სურს. ეს მისი ნებაა. მაგრამ მას არ უნდა დაავიწყდეს რეა- შირთან დადებული და მის მიერვე ხელმოწერილი ხელშეკრულებას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკ.-გზ. შესახებ. ამ ამბების გასაღები ჩვენ უნდა ვეძიოთ, უპირველეს ყოვლისა, ლონდონში. ლორი მდგომარეობა. თუ ჩინურ კალეიდოსკოპს შეუძლია ვინმე რამე ასწავლოს—ეს მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკურ დეკორაციების სწრაფი, კატასტროფიული ცვლა. თვით ჩან-ძო-ლინმა მშვენივრად გამოსცადა ეს საკუთარ ტყავზე. ერთი წლის წინ ის დაღუპვის უფსკრულის პირას იყო და მხოლოდ რაღაც სასწაულით გადარჩა სასირცხვილო დასასრულს. დღეს, მეორე, ის ჩრდილოეთ-ჩინეთის ყოვლის შემძლე მფლობელს წარმოადგენს. მაგრამ ვინ იცის, რა მოუვა ჩან-ძო-ლინს ერთი წლის შემდეგ? მუკდენის მარშალს მოხუცებულობა ხელს უწყობს თილისმათით გართობას. დიდი ის კარ- [illegible]

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

ახალი ელსადგური.

პსკოვი, 7 სექტემბერი. იწყება ახალი დიდი ელსადგურის შენობის აგებას. შენობა დაჯდება ორი მილიონი მანეთი.

ჯემს მორტონი.

ლენინგრადი, 7 სექტემბერი. რამდენიმე თვის წინათ კონსერვატიულ პარტიის წევრმა ლედი ასტორმა გამოაქვეყნა ინგლისის გაზეთებში განცხადება, რომ ის გადაიხდის ყოველგვარ ხარჯებს იმ მუშებისათვის, რომელნიც გაბედავენ და წავლენ საბჭოთა კავშირში და დარჩებიან იქ საცხოვრებლად ორი წლის განმავლობაში. ამ განცხადებას გამოეხმაურა ბევრი მუშა. პირველი მათგანი, ჯემს მორტონი, რომელიც სექტემბრის დასაწყისში ჩამოვიდა, ლენინგრადში, **ამჟამად მსახურობს პუტილოვის ქარხანაში თავისი სპეციალობის მიხედვით.**

გერმანიის მუშათა დელეგაცია როსტოვში

როსტოვი-დონზე, 7 სექტემბერი. გუშინ საღამოს ჩამოვიდა გერმანიის მუშათა დელეგაცია ამხ. კერბერის მეთაურობით.

გაეცნო კულტგანმანათლებელ მუშაობას. დღეს დელეგაცია გაიყო სამ ჯგუფად. ერთი ჯგუფი მიდის მაღაროების დასათვალიერებლად და დანარჩენი ჯგუფები კი ათვალიერებენ ფაბრიკებსა და ქარხნებს.

„ბურევესტნიკის“ დაღუპვის საქმე

ლენინგრადი, 7 სექტემბერი. დასრულდა წინასწარი გამოძიება „ბურევესტნიკი“-ს დაღუპვის შესახებ. პროკურორის განკარგულებით, საქმე გადაეცა საგუბერნიო სასამართლოს. პასუხისგებაშია მიცემული გემის კაპიტანი, კაპიტანის თანაშემწე და სხვა მრავალი პირი. საქმე გაირჩევა მომავალ კვირას საგუბერნიო სასამართლოში.

7 სექტემბრამდე ნაპოვნია 46 გვამი, მათ რიცხვიდან 42 ნაცნობია.

ფაბკომების კრება.

მოსკოვი, 7 სექტემბერი. რაგოჟსკო-სიმონოვსკის და ზამოსკვარეცკის რაიონებში შესდგა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების კრებები, რომლებზედაც გაკეთებულ იქნა მოხსენებები ინგლის-რუსეთის კომიტეტის უკანასკნელ სხდომასა და ინგლისის პროფკავშირთა ბელადების გამცემლურ როლის შესახებ. კრებებზე გამოიტანეს დადგენილება—ჩაატარონ ყველა ქარხნებში კამპანია გაფიცულ მემაღაროების სასარგებლოდ ხელფასიდან ერთი პროცენტის გადარიცხვის შესახებ.

ნიკელის ახალი მადნები

ლენინგრადი, 7 სექტემბერი. გეოლოგიურმა კომიტეტმა მიიღო ცნობები ურალში ტიულენევოს მახლობლად ნიკელის ახალი აღმოჩენის შესახებ. მადნის ნიმუშმა მოგვცა 21 პროცენტი წმინდა ნიკელი. მადანი ამოღებულია ხუთი მეტრის სიღრმეზე. ნიკელის ფენა გრძელდება 120 მეტრის მანძილზე.

საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის კონგრესი.

მოსკოვი, 7 სექტემბერი. ბერლინში მომხდარ საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის კონგრესის შემდეგ მოსკოვში დაბრუნდა დავიდოვი. საბჭოთა კავშირის ტელეგრაფის სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს მან განაცხადა, რომ კონგრესმა განიხილა საკითხი მგზავრების ბილეთების ერთნაირობის ფორმისა და საჰაერო ბარგზე გადასახადის სტატისტიკის შესახებ და სხვა. შემდეგი კონგრესი მოხდება ვენაში 1927 წელში. ამ კონგრესზე სხვა მოხსენებებს შორის მოსმენილ იქნება დავიდოვის მოხსენებაც სტატისტიკური ცნობების ერთგვარობის შესახებ საჰაერო მიმოსვლის დარგში.

ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

მოსკოვი, 7 სექტემბერი. 5 სექტემბერს მოსკოვში წითელ მოედანზე იდღესასწაულეს „საერთაშორისო ახალგაზრდობის დღე“. მოედანი გავსებული იყო მოსკოვის მუშების, წითელარმიელთა ნაწილების, პიონერთა და კომკავშირულ ორგანიზაციების წარმომადგენლებით. ლენინის მავზოლეუმის მარცხენა მხარეზე რადიომიკროფონის წინ შეკრებილი იყვნენ პარტიის ცენტრ. კომიტეტისა, კომინტერნისა და მოსკოვის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტის წევრები. დამსწრეთა შორის იყვნენ ამხანაგები: იაროსლავსკი, ბუხარინი, კასიორი, მილჩაკოვი და სხვები. კომინტერნის სახელით მისალმების სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გეშკემ და მოსკოვში მყოფ ჰოლანდიის ახალგაზრდა მუშების დელეგაციის სახელით ამხ. შპილმანმა. შემდეგ გამოვიდა პარტიის ცეკას მდივანი კასიორი, მოსკოვის კომიტეტის მდივანი კოტოვი და საერთაშორისო ახალგაზრდობის ინტერნაციონალის სახელით ხითაროვი და სხვები. მთელი დღის განმავლობაში წითელ მოედანზე გაიარა 200.000 მეტმა კაცმა.

სატრიკოტაჟო ნაწარმოები

მოსკოვი, 7 სექტემბერი. საბჭოთა ბაზრის დიდი მოთხოვნილების გამო მთავარმა საკონცესიო კომიტეტმა დაასრულა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული ხელშეკრულების ჩამოყალიბება, „ბერგმან და ალტმანის“ ფირმასთან დადებული ვენაში. საბჭოთა ხელისუფლებამ კონცესიონერს 18 წლით მისცა ის ფაბრიკა, რომელიც წინათ გორბაჩოვს ეკუთვნოდა და რომელიც მდებარეობს კასიონის სადგურთამ ყაზანის რკინისგზის ლიანდაგზე. კონცესიონერმა პირობა დასდო მოაწყოს ფაბრიკა უახლოესი კონსტრუქციის მანქანებით, დაამზადოს ძაფი და სხვადასხვაგვარი სატრიკოტაჟო ნაწარმოები. კონცესიონერი ვალდებულია ხელშეკრულებაში აღნიშნული პირობის თანახმად იხადოს შემოსავლის ნაწილი და აგრეთვე საიჯარო ქირა ის შენობისათვის, რომელიც მის განკარგულებაშია გადაცემული. კონცესიის ვადის გათავების შემდეგ კონცესიონერის მთელი წარმოება დაუზიანებლად და წესიერად მოწყობილი, სრულიად უფასოდ და ყოველგვარი ვალების გარეშე უნდა გადაეცეს მთავრობას.

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბეიჯანი

„აზნეფტის“ ელექტროფიკაცია

ბაქო, 7 სექტემბერი. „ელექტროტოკი“ შეუდგა „აზნეფტის“ წარმოებათა ელექტროფიკაციას სადგურ კუტის რაიონში.

ნავთის პროდუქტების ბაზები

ბაქო, 7 სექტემბერი. აზერბეიჯანის მაზრებისათვის ნავთის პროდუქტების შეუჩერებლად მიწოდების მიზნით ევლახსა, განჯასა, სალიანსა, ლენქორანსა, უჯარასა, აგდაშსა და გორადაზში მოეწყო ბაზები. ამას გარდა, ბაზა მოეწყობა კარიაგინოშიაც.

ქურთის ქალები

ბაქო, 7 სექტემბერი. ბაქოს პედაგოგიურ ტეხნიკუმში შესასვლელად ბაქოში ჩამოვიდა 15 ქურთის ქალი, რომლებმაც მეორე საფეხურის სკოლა დაამთავრეს, რაიც ამტკიცებს იმას, რომ ქურთი ქალები გამოფხიზლების გზაზე შესდგენ და მიისწრაფვიან კულტურისაკენ.

ჰიდრო - ელსადგურები

ბაქო, 7 სექტემბერი. „ელექტრო გეგმის“ 1926—27 წლის ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებულია 800.000 მან. გადადება **განჯის** ელექტრო-სადგურის ასაგებად, ხოლო **ნუხის** ელსადგურის ასაგებად—280.000 მან.

აზერბეიჯანის უმაღლეს სასწავლებლებში

ბაქო, 7 სექტემბერი. აზერბეიჯანის უმაღლეს სასწავლებლებს წელს მრავალი მოსწავლე აწყდება. ყველა უნივერსიტეტებში გამოცდებზე დაშვებულია 1.000 კაცი, მისაღები ადგილები კი არის მხოლოდ 440 კაცისათვის.

სომხეთი

ტრიკოტაჟის ფაბრიკა

ლენინაკანი, 7 სექტემბ. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა საფეიქრო ფაბრიკასთან ტრიკოტაჟის ფაბრიკისთვის ახალი შენობის აგების პროექტი და გადასდო ამ მიზნისთვის 52.000 მან. გარდა ამისა მანქანების გამოსაწერად და ფაბრიკის მოსაწყობად გადადებულია 62.000 მან.

საბჭოთა - პარტიული სკოლა

ლენინაკანი, 7 სექტემბ. მიმდინარე წელს, წინა წლების მზგავსად, იხსნება პირველი საფეხურის საბჭოთა-პარტიული სკოლა 35 მსმენელთათვის.

საქონლის ბირჟის დახურვა

ლენინაკანი, 7 სექტემბ. ეკონომიური თათბირის დადგენილების თანახმად იხურება ლენინაკანის საქონლის ბირჟა. ადგილობრივ გარიგებათა რეგისტრაციას აწარმოებს ერევნის ბირჟის რწმუნებული.

სამსახურიდან მოხსნა

ლენინაკანი, 7 სექტემბ. აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით სამსახურიდან მოხსნეს და დააპატიმრეს ადგილობრივ მეურნეობის განყოფილების უფრ. გამგე მ. კარაკოზიანი. საქმე გადაეცა მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს.

ბარბიუსის „ჯალათები“

ვენა, 7 სექტემბერი. **სამხრეთ-სლავიის მთავრობამ აკრძალა ბარბიუსის წიგნის „ჯალათები“-ს გავრცელება.** ამ წიგნში ბარბიუსს აწერილი აქვს შთაბეჭდილებები შარშან მისი ბალკანეთზე მგზავრობის შესახებ და მკაცრად ილაშქრებს ბალკანეთის ქვეყნებში გავრცელებულ თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

ყვითელი პროფკავშირები

ვენა, 7 სექტემბერი. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო „არბეიტერ-ცეიტუნგ“-ის ცნობის თანახმად, რუმინეთის რეფორმისტულ პროფკავშირების კონგრესმა მიიღო რეზოლიუცია იმის შესახებ, რომ გამართოს მოლაპარაკება უნიტარულ პროფკავშირების საბჭოსთან გაერთიანების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უნიტარული პროფკავშირები შეუერთდებიან ამსტერდამის ინტერნაციონალს ყოველგვარი წინასწარი პირობის გარეშე.

ცენტრალური ევროპა

ვენა, 7 სექტემბერი. ვენის გაზეთი „ნეიე-ფრეიე-პრესსე“ აქვეყნებს საუბარს ბრიანთან საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობისა და ცენტრალური ევროპის მდგომარეობის შესახებ.

ბრიანმა განაცხადა, რომ ავსტრიამ, რომელიც ერთა ლიგის და შეერთებულ შტატების დახმარებით აჯანსაღებს თავის ფინანსებს, დაამტკიცა, რომ ის წარმოადგენს სასიცოცხლო უნარის მქონე ორგანიზმს. **ბრიანმა განაცხადა, რომ ავსტრიის გერმანიასთან შეერთება, საფრანგეთის თვალსაზრისით, არაა სასურველი.** საფრანგეთი წინააღმდეგია აგრეთვე დუნაის კონფედერაციის პროექტისა, ვინაიდან დუნაის სახელმწიფოებს შორის ადგილი აქვს ინტერესთა წინააღმდეგობას.

სხვადასხვა

არგენტინის ტყავი. შეერთებულ შტატების ვაჭრობის დეპარტამენტს აცნობენ ბუენოს-აირესიდან, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ტყავების შეძენას დიდი მნიშვნელობა აქვს არგენტინის ექსპორტისათვის.

გაფიცვის შედეგები. კერძო წისქვილების მუშების გაფიცვა ბრაილავის დაბაში გათავდა მეცხრე დღეს მუშების გამარჯვებით. წისქვილის მეპატრონეები დასთანხმდენ მოუმატონ მუშებს ხელფასი 25 პროც.

მფრინავი ორლინსკი. 5 სექტემბერს ტოკიოში მიფრინდა პოლონელი მფრინავი ორლინსკი, რომელმაც მოახდინა 27 აგვისტოს დაწყებული გადაფრენა ვარშავსა და ტოკიოს შორის.

რა ხდება უცხოეთში

რაბ. ტაგორი ფაშიზმის შესახებ



რაბინდრანატ ტაგორი

ფაშისტურმა პრესამ ინდოეთის დიდს მგოსანს ტაგორს ყალბი განცხადებანი მიაწერა ფაშიზმის სასარგებლოდ.

ტაგორმა ჟურნალ „ევროპაში“ ასეთი ურცხვი მოპყრობის წინააღმდეგ საპროტესტო წერილი დასწერა, სადაც, სხვათა შორის, ამბობს: „თითქმის ყველა ჩემს ნაწერებში მე დავგმე ის ზნეობრივი თვითმკვლელობა, რომელსაც მრავალი ქვეყნები სჩადიან ნაციონალისტური რელიგიის სამარცხვინო კულტისთვის. მე უაღრესად მაღშფოთებს, რომ შესაძლებლად სთვლიან ჩემი სახელი გამოიყენონ უსინდისო დანაშაულობათა გასამართლებლად. **ჩემთვის ფაშიზმის იდეის მიღება მორალური სიკვდილი იქნებოდა.** მე არ შემიძლია ეს ხმა ჩემს შესახებ გაუბათილებლად დავსტოვო.

ფაშიზმის მეთოდები და პრინციპები მთელს კაცობრიობას შეეხებიან; და უაზრობა იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ მე შემიძლია ოდესმე მხარი დაუჭირო ფაშისტურ მოძრაობას, რომელიც წინ მიდის ძალმომრეობისა, დანაშაულისა და სიცრუის გზით.

დიდი უკუღმართობა, დიდი დანაშაული იქნებოდა ჩემის მხრივ, რომ თაყვანი მეცა ისეთი პოლიტიკური იდეალისთვის, რომელიც აშკარად აცხადებს, რომ ცივილიზაციის სიძლიერის წყარო ტლანქი ძალაა..

„კოტიდიენ“.

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

საუბარი ამხ. კოტე ცინცაძესთან

6 სექტემბერს თბილისში საფრანგეთიდან დაბრუნდა ამხ. კოტე ცინცაძე, რომელმაც უკანასკნელი 11 თვე დაჰყო საფრანგეთში, ჯერ კატალინიაში, შემდეგ რივიერის ნაპირებზე, მკურნალობის მიზნით. საფრანგეთიდან წამოსვლის წინ ამხ. ცინცაძე რამდენიმე ხანი იმყოფებოდა პარიზში.

ამხ. კოტე ცინცაძემ გაუზიარა ჩვენს თანამშრომელს ცნობები ქართული ემიგრაციის მდგომარეობის შესახებ საფრანგეთში.

— ჩემის აზრით ემიგრაცია არ არსებობს—განაცხადა ამხ. ცინცაძემ. არსებობენ მხოლოდ ცალ-ცალკე ემიგრანტები და ემიგრანტული ჯგუფები, რომლებიც სულ სხვადასხვა შეხედულების არიან დღევანდელ პოლიტიკურ მომენტზე. ემიგრაცია კი, როგორც მთლიანი, როგორც გარკვეული პოლიტიკური ხაზის მატარებელი ერთეული არ არსებობს უკვე კარგი ხანია და ეს თითქმის საქართველოდან გაქცევის პირველ დღიდანვე.

ემიგრაცია სამ უმთავრეს ბანაკათ არის გაყოფილი. პირველ ბანაკს ეკუთვნიან რამიშვილი - ჟორდანია თავის ამალით. ისინი ისევ ძველ გზას ადგიან. მათი ოცნებაა დემოკრატიული საქართველოს რესტავრაცია ავანტიურის, ინტერვენციის საშუალებით.

შეიძლება ითქვას, რომ რამიშვილი დღეს ემიგრაციაში ერთად-ერთი პიროვნებაა, რომელსაც შერჩენია უნიადაგო, უპერსპექტივო ბრძოლის უნარი.

ჩხენკელი - წერეთლის ჯგუფი განაგრძობს თავის „ოპოზიციონურ“ პოლიტიკას ლიდერების (რამიშვილი-ჟორდანიას ბუდე) წინააღმდეგ. მათ ბრძოლის პერსპექტივაც დაჰკარგეს, ამავე დროს გამბედაობა არ ყოფნით აშკარათ აქციონ ზურგი ძველ გზას და გამონახონ ახალი, უფრო რეალური პოლიტიკური ხაზი.

მესამე ბანაკს შეადგენს ემიგრაციის დანარჩენი მასა, ემიგრაციის უმრავლესობა. მიუხედავათ იმისა, რომ ეს მასა დაქსაქსულია საფრანგეთის ფაბრიკა-ქარხნებში,რომ მათ შორის არ არსებობს იდეური ურთიერთობა, მიუხედავათ იმისა, რომ ეს მასა იმყოფება მატერიალურად სხვადასხვა საფეხურზე, მისი ერთად-ერთი მიზანია, რაც შეიძლება მალე გაჰყვეს უკან იმ ამხანაგებს, რომლებიც დღეს საბჭოთა საქართველოს მუშებთან და გლეხებთან ერთად სჭედენ ქვეყნის კეთილდღეობას. ყოველდღე ჩვენს წარმომადგენლობას პარიზში მოდის უამრავი თხოვნები სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

მართალია ემიგრაციის უმთავრესი ნაწილი განიცდის მატერიალურ ხელმოკლეობას, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების სურვილი არ შეიძლება მიეწეროს მარტო ამ მდგომარეობას. დიდ როლს თამაშობს ემიგრაციის იდეური გადახრა. ეს იმითაც მტკიცდება, რომ საქართველოში დაბრუნების სურვილს ისეთებიც გამოსთქვამენ, რომლებიც საფრანგეთის დღევანდელ პირობებში შედარებით კარგ მატერიალურ მდგომარეობაში იმყოფებიან.

საფრანგეთში არიან ისეთი ემიგრანტებიც, რომლებიც არც ერთ ბანაკს არ ეკუთვნიან, რომლებიც პოლიტიკურ ცხოვრებასაც მოსწყდენ, და ვერც ფაბრიკა-ქარხნებში შრომას შეეგუენ. ასეთები არჩევენ სამიკიტნოების გახსნას, სადგურებში ბარგის მზიდველის მოვალეობის ასრულებას, რესტორანებში და კაფეებში ცეკვა-თამაშს და სხვა.

ყოველივე ეს იმის დამამტკიცებელია, რომ ემიგრაცია საბოლოოთ გაიხრწნა, რომ ემიგრაციის არც ერთ ჯგუფს, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც საქართველოსკენ მოეშურება, არ აქვთ არავითარი პერსპექტივები.

— რა შთაბეჭდილება მოახდინა ვეშაპელის მკვლელობამ საფრანგეთში?

— ამის შესახებ უნდა გითხრათ, რომ ვეშაპელის მკვლელობამ ერთის მხრივ გააფართოვა უფსკრული ემიგრაციის მასისა და ლიდერებს შორის და მეორეს მხრივ გამოიწვია თვით ფრანგებში აღშფოთება ე. წ. „საქართველოს მთავრობის“ მიმართ, რომელმაც ბევრი ეცადა თავი ემართლებინა, ისეთი შთაბეჭდილება მოეხდინა, რომ ეს მკვლელობა — მერაბიშვილის პირადი შურისძიების შედეგია და არა მენშევიკური ლიდერების მიერ მოწყობილი ტერორი, მაგრამ უშედეგოთ.

პარტიული ცხოვრება

მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიის შედეგების შესახებ

(საქ. კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის გაფართოებულ პლენუმის რეზოლიუცია საქ. კომ. პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ღოლიძის მოხსენების შესახებ).

1. მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ პარტიისა და მთავრობის მიერ გამოცხადებულმა ლოზუნგმა გამოიწვია ცოცხალი ინტერესი მუშურ-გლეხურ მასებში.

2. მომჭირნეობის რეჟიმის მნიშვნელობამ, როგორც სოციალისტური დაგროვების და ჩვენი მრეწველობის შემდეგი განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს პირობამ, თანდათან უფრო ითვისებს მშრომელი მასები.

3. მეურნეობის უწესოდ წარმოება,—დაუდევრობა, ავანსების არაკანონიერი გაცემა, ზედმეტი მივლინებები, გაფლანგვა, საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევა, საქმიანობის უგეგმოდ დაწყება, ავტოტრანსპორტით გადაჭარბებული სარგებლობა და სხ. მტკივანი ადგილები ჩვენი სამეურნეო და საბჭოთა დაწესებულებებისა, წარმოადგენენ მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის უმთავრეს არეს.

4. მომჭირნეობის რეჟიმის გატარების პირველი შედეგები მოწმობენ იმ მნიშვნელოვან გარდატეხაზე, რომელიც ხასიათდება მეურნეობის უწესო წარმოებიდან გონივრულ სისტემაზე გადასვლით, სახელმწიფოს კოპეიკისადმი ფრთხილი მოპყრობით და მისი მიზანშეწონილად გამოყენებით.

5. ამავე დროს სჩანს გარკვეული გადახრა სახელმწიფო საბჭოთა, სავაჭრო, კოოპერატიულ და სხვა აპარატების გაუმჯობესება, გამარტივება და გაიაფებისაკენ.

6. მაგრამ მომჭირნეობის რეჟიმისთვის ჩატარებულმა კამპანიამ გამოააშკარავა, რომ ზოგიერთ ადგილებში არ ესმით მომჭირნეობის რეჟიმის იდეა და პოლიტიკური აზრი, რომ ზოგიერთი სამეურნეო დაწესებულებებში გამეფებულია ობ მიუღებელი ბიუროკრატიზმი, რომელიც დაჟინებით ხელს უშლის ნამდვილი მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას და ცდილობს მის დამახინჯებას, აქცევს რა ყურადღებას წვრილმანებს, ხოლო უმთავრესს კი სტოვებს ხელუხლებლად.

7. ამასთანავე მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის პროცესში დაწესებულებათა და საწარმოთა მხრივ თავი იჩინა გარკვეულმა ტენდენციამ გაატარონ ცხოვრებაში სრულიად დაუშვებელი ღონისძიებანი, რომლებიც მწვავედ ეხებიან მუშების საარსებო ინტერესებს,—აუარესებენ ამ უკანასკნელთა ნივთიერ მდგომარეობას; მუშა-მოსამსახურეების და მოზარდთა სამსახურიდან დათხოვნით და მათი რეალური ხელფასის შემცირებით ცდილობენ მიაღწიონ სწრაფ ეფექტს; ადგილი აქვს მუშების შემცირების საკითხის მექანიკურად გადაჭრას, სპეცტანსაცმლის ღირსების გაუარესებას, ადუღებული წყლის მიწოდების შეწყვეტას და სხვა. ამავე დროს ავიწყდებათ, რომ მუშათა კლასი არის სოციალისტური წარმოების ძირითადი ელემენტი და რომ მომჭირნეობის რეჟიმის ამოცანა მუშათა კლასის მატერიალურ მდგომარეობისა და კულტურული დონის შემცირებაში კი არ მდგომარეობს, არამედ გამუდმებით აწევაში.

8. მომჭირნეობის რეჟიმის კამპანიაში მუშათა ფართო მასების სუსტად მიზიდვა, კამპანიის საქმეში საწარმოო და ეკონომიურ თათბირების სუსტად გამოყენება, უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ჩატარებულ კამპანიის სუსტ მხარეთ.

ამ გარემოებას უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

9. საქ. კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტის პლენუმს აუცილებლად მიაჩნია მომავალშიაც გაგრძელებულ იქნეს მომჭირნეობის რეჟიმისათვის დაწყებული გაბედული ბრძოლა, ისე, რომ ამ ბრძოლით გაიჟღინთოს პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალურ ორგანიზაციების და ადგილობრივი პრესის მთელი მუშაობა, და კამპანიის ჩატარების საქმეში მიზიდულ იქნეს მუშათა ფართო მასები საწარმოო და ეკონომიურ თათბირების საშუალებით და სხ.; გამოეცხადოს დაუზოგავი ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმის ყოველგვარი დამახინჯების წინააღმდეგ მისი პრაქტიკულად განხორციელების დროს.

10. სახალხო მეურნეობასა და მმართველობის საქმეში მომჭირნეობის რეჟიმის გატარებას უნდა ჰქონდეს არა დროებითი კამპანიის ხასიათი, არამედ უნდა გაგრძელდეს ჩვენი სამეურნეო განვითარების მთელ პერიოდში.

11. ამასთანავე ერთად აუცილებლად უნდა გაძლიერდეს საკონტროლო და სარევიზიო ორგანოების მუშაობა და მეთვალყურეობა მომჭირნეობის რეჟიმის გატარებასთან დაკავშირებით და აგრეთვე ცენტრალური კომისიის ხელმძღვანელობა ადგილობრივ კომისიებზე.

თბილისის მაზრის თემკომების მდივნების და თემაღმასკომების თავმჯდომარეების თათბირი

პირველი სხდომა

6 სექტემბერს, დილით გაიხსნა თბილისის მაზრის თემკომების მდივნებისა და თემაღმასკომების თავმჯდომარეების თათბირი. თათბირი გახსნა ამხ. **ანრიბეკოვმა.**

დღის წესრიგისა და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან.

ალბულაღის თემკომი

(ამხ. ოგანოვის მოხსენება)

პირველ აგვისტოსათვის ალბულაღის ორგანიზაციაში 18 წევრი და 45 კანდიდატი ირიცხებოდა. მათ შორის ორი ქალია. ეროვნების მიხედვით 29 სომეხია, 8 რუსი, 7 ქართველი, დანარჩენი სხვადასხვა ეროვნების. თემში სამი უჯრედია და 4 საკანდიდატო ჯგუფი. თემში კომკავშირის ორგანიზაციაც არსებობს, რომელშიც 436 კაცი ირიცხება. აღსანიშნავია, რომ კომკავშირში საგრძნობია მახაკზე გადასულთა რიცხვი. მცირეა აგრეთვე პარტიის წევრ და კანდიდატ კომკავშირელთა რიცხვი. თემში 21 პიონერ - კოლექტივია, მათ შორის 14 კოლექტივი სოფლად არსებობს.

თემში არსებობს პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებსაც თემკომი სათანადო ხელმძღვანელობას უწევს. აღმასკომთან და კოოპერატივებში არსებობენ ფრაქციები, მაგრამ მათი მუშაობა სუსტია.

ალბულაღის თემში მიწის სივიწროვეა. მიწათ-მოწყობის მუშაობა ჩატარებულია 24 სოფელში, მაგრამ მიწის საკითხი ყურადღებას მოითხოვს მაინც. არის მაგალითად სოფელი, რომელიც მიწის ძალიან ცუდ სივიწროვეს განიცდის: 23 მოსახლეს სულ 29 დესეტინა მიწა აქვს. ადგილიც ძალიან მალარიანია. წყლის მოუსავლიანობა და საჭიროა დამშრობის აღმოჩენა. თემში საჭიროა აგრეთვე სასკოლო ქსელის გაფართოვება და [illegible] მასწავლებლების გამოგზავნა ადგილობრივ სკოლებისათვის.

შემდეგ ამხანაგი აღნიშნავს, რომ საჭიროა ფოსტის დაახლოვება გლეხობასთან, საბინაო საკითხის მოგვარება მოსამსახურეთათვის, საბჭოთა სახლების შეკეთება, მილიციის და ტყის მცველთა შტატების გადიდება.

დაბიტ-ხაჩინის უჯრედი

(ამხ. ასრიევის თანამოხსენება)

უჯრედში 15 წევრი და კანდიდატია. უკანასკნელ ხანებში პარტიის კანდიდატად 18 კაცია მიღებული. სოფელში კომკავშირის უჯრედიც არსებობს, რომელიც ნორმალურად მუშაობს. არის პიონერთა ორგანიზაცია, რომელშიც 150 ბავშვი ირიცხება. მათ შორის 64 ქალია.

დაგიტ-ხაჩინის საბჭოში 41 წევრი და 7 კანდიდატი შედის, მათ შორის 7 ქალია. გლეხკომში 7 წევრია. როგორც საბჭოს, ისე გლეხკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

სოფელში სუსტია სასკოლო მუშაობა, რადგან არ არიან მასწავლებლები. გარდა ამისა, არ არის სახელმძღვანელოები და შენობაც დაზიანებულია. სოფელში არსებობს მოჯამაგირეთა ორგანიზაცია, რომელშიაც 150 კაცია. მათ ხელმძღვანელობს მოჯამაგირეთა კომიტეტი, რომელშიაც 8 პარტიული და 10 კომკავშირელია. არსებობს „რემდახ“-ის და „ავაქიმის“ უჯრედები, რომლებშიაც გლეხთა საკმაო რიცხვია ჩაბმული. სოფლის ნორმალურ ცხოვრებას არღვევენ ხშირად მეცხვარეები, რომლებშიაც მუდამ ჩხუბი და აყალ-მაყალია. ამას წინად მეცხვარეებმა ცხვარი ყანაში შერეკეს და პურეული გაანადგურეს.

მომხსენებელს მისცეს შეკითხვები, რომლებზედაც მან პასუხი გასცა.

კამათის შემდეგ არჩეულ იქნა კომისია ამხ. ლომიძის, გაბიშვილის და წითლიძის შემადგენლობით, რეზოლიუციის გამოსამუშავებლად.

ბომბორის თემკომის მუშაობა

(ამხ. ბოკერიას მოხსენება)

თემი კულტურულად ჩამორჩენილია, რაც დაღს ასვამს საერთოდ კულტურულ და პოლიტიკურ მუშაობას. თემში სულ 13 წევრი და 23 კანდიდატია. უჯრედები, ბომბორის გარდა, სუსტნი არიან. ბოჟორმის უჯრედში მაგალითად არ არის ისეთი ამხანაგი, რომელსაც ოქმის დაწერა შეეძლოს. შედარებით კარგად არის დაყენებული მუშაობა თვით ბომბორში, სადაც უფრო მეტად მომზადებული ძალები მოიპოვებიან.

პარტიის წევრთა და კანდიდატთა პოლიტიკურ და საერთო ცოდნის ასამაღლებლად საჭიროა მოძრავი პოლიტსკოლის დაარსება. საჭიროა აგრეთვე ამხანაგების გაგზავნა სხვადასხვა სასწავლებლებში მუშაკების მოსამზადებლად.

ქალთა შორის მუშაობა მხოლოდ ბომბორში სწარმოებს, სოფლად კი არა. ქალთა თითქმის მთელი ასი პროცენტი წ.-კ. უცოდინარია.

თემში კულტურული მუშაობა გაცხოველება დაწყებულია. თითქმის —ყველა სოფელში დაარსებულია წითელი მოედნები, სადაც სწარმოებს გაზეთების ხმამაღალი კითხვა საუბრები და სხ. ამ წითელმა კუთხეებმა ძლიერ მიიზიდა გლეხობა. კომკავშირის ორგანიზაციაში ირიცხება 146 წევრი და 1 კანდიდატი, მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა დისციპლინა ერთხანს არ იყო დაცული. იყო ხულიგნობის, ლოთობის, კინკლაობის და სხვა შემთხვევები, რომლებსაც თანდათანობით ეღება ბოლო.

თემში არსებობს პიონერთა ორგანიზაციაც: ქართული და რუსული, რომელშიც 70 ბავშვი ირიცხება. თემში აღმშენებლობითი მუშაობა არ არის შეფერხებული. შენდება აბანოები, სკოლების შენობები, სწარმოებს გზების შეკეთება და სხვა. გლეხობა ამ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს.

ამხ. ბოკერიას მისცეს შეკითხვები, რომლებზედაც მან დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

საღამოს სხდომა არ შესდგა, რადგან დელეგატები დაესწრენ თბილისის კომიტეტის გაფართოებულ პლენუმს.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

თხილი

ოზურგეთი, 7 სექტემბერი. მომხმარებელთა მთლიანი საზოგადოება თავისი განყოფილებების საშუალებით შემოქმედსა, ლიხაურსა, ცხემლის-ხიდსა და ბახვში შეუდგა ცეკავშირისათვის 10.000 ფუთი თხილის დამზადებას. უკვე დამზადებულია 2 ვაგონი თხილი,—4 მან. 50 კაპ. ფუთი. თხილის წრევანდელი მოსავალი 60—70 პროცენტით ნაკლებია წარსულ წელთან შედარებით.

სიმინდის ფასების აწევა

ოზურგეთი, 7 სექტემბერი. წარსული წლის მოსავლის გამოლევის გამო მოსახლეობის უმრავლესობა იკვებება ნაყიდი პურით. ამიტომ სიმინდის ფასებმა ბაზარზე აიწია 1 მ. 20 კაპ.-დან 1 მან. 80 კაპ.-მდე. მოთხოვნილება იზრდება. საკრედიტო ამხანაგობამ, რომელსაც საწყობში 1.000 ფ. სიმინდი ქონდა, მცხოვრებლებს სიმინდი მიჰყიდა 1 მან. 30 კაპ. ფუთი, ყოველ ოჯახზე 20 გირ-დან. 3 ფუთამდე. მთელი სიმინდი ერთი დღის განმავლობაში გაიყიდა.

ქალაქ ახალსენაკის ზრდა

ახალსენაკი, 7 სექტემბერი. სამაზრო სტატისტიკური ბიუროს ცნობით 1886 წ. ქალაქ ახალსენაკში ირიცხებოდა 101 მცხოვრები, 1897 წელში—1.248 და 1917 წელში—3.418 მცხოვრები. ამჟამად ქალაქში 4.524 მცხოვრებია. 40 წლის განმავლობაში ახალსენაკში მოსახლეობა გაიზარდა 4.423 მცხოვრებით.

ექსკურსია ზაჰესში

თელავი, 7 სექტემბერი. 4 სექტემბერს თელავიდან ზაჰესში გაემგზავრა ექსკურსანტების ჯგუფი 30 კაცის შემადგენლობით, რომელთაგან 20 ქალია. ექსკურსია მოწყობილია პროფკავშირების მიერ.

პურის გალეწვა

თელავი, 7 სექტემბერი. პურის გალეწვა მალე დამთავრდება. გლეხებს დიდი დახმარება აღმოუჩინეს სალეწავმა იარაღებმა, რომლებიც საკრედიტო ამხანაგობებმა და გლეხკომებმა შეიძინეს წელს.

მაზრის მთიან ადგილებში (ხევსურეთი და თუშეთი) პურის მკა დამთავრდა, ეხლა შეუდგენ კალოობას.

თოვლი

თელავი, 7 სექტემბერი. კავკასიის უღელტეხილის იალაღებზე მოთოვა. ცხვრის ფარას ხეობებში აჯგუფებენ.

ცხენის მოსაშენებელი ქარხანა

სიღნაღი, 7 სექტემბერი. მიწათმოქმედების განყოფილება წითელ წყაროში აწყობს ცხენის მოსაშენებელ ქარხანას. ამ ქარხნისათვის უკვე მზადაა 80 ჯიშიანი ცხენი, სათანადო შენობა და შტატი. დამზადებულია აგრეთვე 5.000 ფუთი თივა.

სკოლებში

სიღნაღი, 7 სექტემბერი. მიმდინარე სამოსწავლო წლიდან ოთხწლედებში ხსნიან 66 ახალ ჯგუფებს. 10 სოფელში გაიხსნება ახალი ოთხწლედი. მაზრაში გაიხსნება წერა-კითხვის მცირემცოდნეთათვის—8 სკოლა და პოლიტცოდნის—6 სკოლა.

სამხრეთ-ოსეთი

საქმის წარმოების გაეროვნება

ცხინვალი, 7 სექტემბერი. სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო საზოგადოების და ცენტრალურ საბჭოთა და პარტიულ დაწესებულებების წარმომადგენელთა შეერთებულ სხდომაზე გადაწყდა დაწესებულებებში მოხდეს სამხრეთ-ოსეთის საქმის წარმოების გაეროვნება ახლო მომავალში.

საქმის წარმოების ოსურ ენაზე საწარმოებლად წინასწარი მოსამზადებელი სამუშაო სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტის ტერმინოლოგიურ კომისიების მიერ უკვე დამთავრებულია.

განათლების მუშაკთა ყრილობა

ცხინვალი, 7 სექტემბერი. სამხრეთ-ოსეთის სამეცნიერო საზოგადოების გამგეობამ თავის სხდომაზე, რომელსაც დაესწრენ ჩრდილოეთ-ოსეთის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტის, სამხრეთ-ოსეთის ცაკის და განათლების კომისარიატის წარმომადგენლები, დაადგინა მოიწვიოს სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის განათლების მუშაკთა ყრილობა არა უგვიანეს 1927 წ. იანვრისა. ყრილობის მოწვევის უმთავრეს მიზანს შეადგენს კულტურულ ამოცანების გადაჭრა. ყრილობის პროგრამის გამომუშავება ევალებათ სამხრეთ-ოსეთის განათლების კომისარიატს და ჩრდილოეთ-ოსეთის სახალხო განათლების განყოფილებას.

სტუმრად ფშავ-ხევსურებთან

(წერილი კახეთიდან)

შუამთის დასასვენებელ სახლში მოთავსებულ ამხანაგებმა, 15 კაცამდე, რესპუბლიკის სახალხო მსახიობ, ამხ. ნიკო გოცირიძის და დასასვენებელ სახლის გამგე, ამხ. გიგლო ულუხანოვის მეთაურობით, გადასწყვიტეს შუამთიდან ექსკურსია მოეწყოთ თეთრ წყლების მიდამოებში დაბანაკებულ ფშავ-ხევსურების ყოფა - ცხოვრების გასაცნობათ და მათი ზნე-ჩვეულებების შესასწავლათ

ექსკურსია გაემგზავრა 11 აგვისტოს, დილით ადრე, თელავ - გომბორის შარა-გზით. ეს გზატკეცილი იწყობა სიღნაღ - თელავიდან და ჩადის თბილისში ცივ გომბორის უღელტეხილით. გზა მარჯვნივ და მარცხნივ მეტად ლამაზია და მიიკლაკნება. მდინარე თურდოს გასწვრივ, რომელიც მოუთმენლად ღრღნის მის კიდლებს და განსაცდელს უმზადებს ამ ერთად ერთ შარა გზას.

მართალია ინჟინერ ქიქოძის მიერ დაწყებულია სათანადო მუშაობა გზის შესაკეთებლად, მაგრამ, ეს მუშაობა მეტად ნელი ნაბიჯით მიმდინარეობს. საჭიროა უფრო ფხიზელი მუშაობა თორემ თუ გზა ერთხელვე მოანთია წყალმა, მერე ვერაფერი უშველის. უღრანი ტყეები და მრავალი ხევსურების სოფლები გავიარეთ, სანამ ავედით თეთრ წყლებზე.

აქ ცოტა ხნის შესვენების შემდეგ დავათვალიერეთ ფშავ-ხევსურების ბინები, გავეცანით მათ ზნე-ჩვეულებებს, ცხოვრების პირობებს და ბუნებრივ სიმდიდრეს. აქ ისეთი ამბები გვიამბეს ხევსურებმა, რომ უფრო შეიძლება ლეგენდა იყოს, ვიდრე სინამდვილე.

აი მაგალითად, როგორ ეპყრობიან მშობიარე ქალს: დედა კაცს როგორც მოუახლოვდება მშობიარობის დრო, გაიყვანენ სახლიდან, ჩააგდებენ ერთ მიწურ ბოსელში და როგორც „უწმინდურს“ იქ ამყოფებენ, სანამ შვილს „მოიგებს“ (ასე ეძახიან ხევსურები), თუ ბედმა უმუხთლა და მოკვდა, ისე გაათრევენ, როგორც პიროტყვს და ჩაფლავენ მიწაში. საჭმელ-სასმელს მშობიარეს ზევიდან თოკით ჩააწოდებენ ხოლმე. ერთი სიტყვით მშობიარე დედაკაცს, ან „თვიურში“ მყოფს, ხევსურები სთვლიან „უწმინდურად“ და სანამ არ „გაიწმინდება“, მისი ბოსლიდან ამოყვანა და სახლში შეშვება ყოვლად დაუშვებლათ მიაჩნიათ.

ზამთრის ყინვა - სიცივეში და ზაფხულის სიცხეში რამდენი დედაკაცი ეწირება ამ ზნე-ჩვეულებას, ეს ალახმა უწყის. საჭიროა ამის წინააღმდეგ სასტიკი და სისტემატიური ბრძოლის წარმოება, რათა სამუდამოთ აღმოფხვრილ იქნას ეს დრო-მოჭმული ადათი.

ივ. დავითიანი.

მოიჯარადრემ პირობა ვერ შეასრულა

(ცაიში, ზუგდ მაზ.)

ჩვენი კოოპერატივი მოთავსებული იყო კერძო პირის შენობაში და იხდიდა ქირას. დღეს კი, როდესაც გლეხობა ეკონომიურად მოღონიერდა და წელში გამაგრდა, მათ განიზრახეს კოოპერატივისათვის საკუთარ ქვის შენობის აგება.

საბჭოს ინიციატივამ ნაყოფი გამოიღო და საჯარო შეჯიბრების წესით შენობის აგების საქმე მისცა კერძო მოიჯარადრეებს 1.400 მან. ხელშეკრულების ძალით, მათ შენობის აგება უნდა დაემთავრებიათ მიმდინარე წლის მაისის ბოლო რიცხვებამდი, მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ?..

უკვე იწყება მეოთხე თვე და შენობა სანახევროდ არ არის აგებული. მასალები უპატრონოთ ყრია მინდორში და ლპება. კოოპერატივი თვიურ ქირად შენობის პატრონს აძლევს 8 მან. მაისის თვიდან კი შენობის მეპატრონეზე გაცემულია 24 მან. რაიც, უკანონო ხარჯათ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ეს გამოწვეულია შენობის აგების დაგვიანებით. ვინ იცის კიდევ სანამდი გაგრძელდება ასეთი ხარჯები.

კოოპერატივი კაპეიკებით ზარალობს. ეს კარგად უნდა იცოდენ თემის მესვეურებმა. ნუ დავღუპავთ ხალხის ქონებას.

ლიმი.

წერილებიდან

ს. ტელეფა (შორ. მ.)

— **მევახშე ნატალია.** აქ არის ერთი ქალბატონი, ნატალია კალატოზი. ამ ქალს ძველთაგანვე დარჩენილი „კონი“ აქვს. ბოლო ხანებში ნატალიამ ხელი მიჰყო მევახშეობას. თუმანზე ყოველთვიურად ორ მანეთს სარგებელს იღებს. რას უყურებს ადგილობრივი ხელისუფლება?

ჩქარი.

ერწო (თბილ. მ.)

— **ცხრა თვეს ველოდებით.** ჩვენი სოფელი კულტურულად დაწინაურდა. 5 სკოლის ნაცვლად დღეს ერწოს თემში 16 სკოლაა 2.000 მოწაფით. უბედურება მხოლოდ იმაშია, რომ ექიმი არა გვყავს. 9 თვეა გვპირდებიან და არაფერი გამოდის. დროა ერწოს თემს ეღირსოს ექიმი და საავადმყოფო.

ფარი.

სოფლის ქრონიკა

— **პლენუმი.** 12 სექტემბერს ამბროლაურში შესდგება რაჭის სამაზრო აღმასკომის პლენუმის სხდომა.

— **სასამართლო.** რაჭის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა მომავალ წლიდანაც ჭრებალოს უბანში დასტოვოს სახალხო სასამართლო.

— **დაზღვევა.** რაჭის სამაზრო აღმასკომმა უარყო მაქებარ მილიციის სიკვდილისაგან დაზღვევა, რადგან რაჭაში ბანდიტიზმი სავსებით მოსპობილია.

— **საავადმყოფო.** სოფ. ჭრებალოში აგებენ საავადმყოფოს შენობას.

— **ზუგდიდის** აღმასკომი შეუდგა სატყეო საქმის რეორგანიზაციას.

— **შრომის ბეგარა.** საქართველოს სხვადასხვა მაზრებში ამ დღეებში შეუდგებიან შრომის ბეგარის გატარებას.

წერილები

ორნი ძმანნი ჭელიაღელელები

(ს. ჭელიაღელე, რაჭა)

რა სჯობია ზამთარში ნამშევ მოუვლელ და მოუხდავ სტუდენტისათვის ზაფხულში დედის კალთასთან სოფლად ყოფნას. კიდევ უკეთესი, თუ ამ ხნის განმავლობაში სტუდენტმა ხელის მოსათბობი რაიმე იშოვნა და შემოდგომაზე შესაფერისად მომარაგებული დაბრუნდა ქალაქს.

სტუდენტი ალექსანდრე გოცირიძეც სწორედ ამ ბედში ჩავარდა. ჩავიდა ჭელიაღელეში, დედის კოკრებით კუჭი მოიმაგრა და მაშინვე შეუდგა სოფელში მოწაფეების ძებნას. მოგეხსენებათ, რაჭველი გლეხები როგორ ეტანებიან სწავლა-განათლებას. ოღონდ ხეირიანი მასწავლებელი იყოს და მოწაფეზე გულს არავის დაუკლდება ჩვენს სოფელში.

ალექსანდრემაც მალე შეაგროვა ჯგუფი. თითოს ოც-ოც მანეთად მოურიგდა. თანვე შეჰპირდა, რომ მეორე მასწავლებელსაც იქირავებდა და შეუდგა მეცადინეობას. დაპირება დაპირებათ დარჩა. მეტად მაცდუნებელი რამ არის ფული. მით უფრო ალექსანდრე გოცირიძისათვის. იფიქრა, ტყავიდან გამოვძვრები, კბილებით დავეკიდები და მეორე მასწავლებლის დაუხმარებლად გავაგრძელებ მეცადინეობასო.

მაგრამ მოწაფეებიც მთლად უჭკო ბიჭუნები არ გამოდგა. აუყაყანდნენ მასწავლებელს: „გინდა, არ გინდა, მოიყვანე მეორე მასწავლებელი, ხომ ხედავ ვეღარ აუდიხარ საქმესო“. მაგრამ ალექსანდრე ულმობელი იყო. ბავშვებიც ადგნენ და მიმართეს თავიანთ მასწავლებელ, ვანო მომცემლიძეს. მაგრამ მომცემლიძეს უფლება არ ჰქონდა თავისივე მოწაფეები მოემზადებინა. ამიტომ მან დროებით უთასოთ აიყვანა ისინი და ურჩია მუდმივი მასწავლებელი მაინც მოენახათ.

ალექსანდრეს ეს, რა თქმა უნდა, არ იამა, გულში ბოღმა დაიგუბა. ხმას არავის სცემდა. დადიოდა გაბღინძნებული მამალი ინდაურივით. ყველა გრძნობდა, რომ საქმე სასიკეთოდ არ დათავდებოდა. მართლაც, ერთ დღეს ორი ძმები ჭელიაღელელები, ალექსანდრე და აკაკი თავს დაესხენ მასწავლებელ გოცირიძეს. ერთმა ძმამ მოწინააღმდეგეს ხელები გაუკრა, მეორემ კი თავში დასცხო.

ბედმა საწყალი მასწავლებელი არ გაიმეტა. იქვე ახლო ადგილობრივი შვიდწლედის გამგე აღმოჩნდა, რომელიც ჩხუბში ჩაერია და როგორც იყო, მომცემლიძე დახრჩობისაგან გადაარჩინა.

ამ ამბავმა გლეხებში აღშფოთება გამოიწვია. ალექსანდრეს კი თეხებზე ჰკიდია, ვინც რა უნდა სთქვას მის უმგზავსო საქციელზე. „სულ ერთია, შემოდგომა მოვა და თბილისში გავიქუსლავო“, ამბობს ის. მაგრამ ავიწყდება ალბათ, რომ დედის კოკრები ტკბილია. გაზაფხულზე ისევ მოაკითხავს ის ჭელიაღელეს.

ნატრიუმი.

რეზოლიუციებს ბოლო არ უჩანს

(ნახახულევის თემი ქუთაის მაზ.)

სასაცილო იქნებოდა დღევანდელი მდგომარეობა ნახახულევის თემში, რომ სამწუხარო არ იყოს. საბჭოს კრება, საზოგადო კრება, კიდევ კრება, წარმომადგენლები მაზრიდან, რაიონიდან, რეზოლიუციები, ბოლოს კიდევ კრებები. საკითხის გადაჭრას ბოლო არ უჩანს. გრძელ-გრძელი რეზოლიუციები კი ქაღალდზე რჩება.

საქმე შემდეგშია: თანახმად გლეხების თხოვნისა ამ თემში წ. ჯვარმა განიზრახა პუნქტის გახსნა. დაარსეს სამეული, შეკრიბეს საწევრო ფული და წევრებიც საკმაოთ ჩაეწერა. სადაო გახდა პუნქტის დასაარსებელი ადგილი. სამეულმა, ხაროდ, ვისაც ჰქონდა დავალებული ეს საქმე, მან უფრო ზიანი მოიტანა, ვიდრე სარგებლობა. კუთხური პატრიოტიზმის სენი ამ საქმეს სათავიდან თან დაჰყვა.

საქმე მივიდა წ. ჯ. ცენტრალურ კომიტეტში. რომლის აზრი პუნქტის დაარსების შესახებ ასეთია, მაზრის წარმომადგენლის თანდასწრებით ადგილობრივმა მოსახლეობამ ან საბჭომ გადაწყვიტოს სად უფრო მიზანშეწონილი იქნება პუნქტი. სათანადო მოწერილობაც მოუვიდა ადგ. აღმასკომს. ამის შემდეგ საბჭოს სხდომამ, რომელსაც სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეც დაესწრო, გადასწყვიტა პუნქტის დაარსება თემის ცენტრში, საიდანაც ყველა სოფლებისათვის ერთნაირად მისაწვდომი იქნებოდა საექიმო დახმარება.

ეხლახან ჩამოვიდა წ. ჯ. ს. სამაზრო კომიტეტის ინსტრუქტორი, რომელმაც საზოგადო კრებას მოხსენება გაუკეთა და განაცხადა, რომ კომიტეტის შეხედულებაა ს. მათხოჯში გახსნას პუნქტი. ამან მთლად არია ყველაფერი, ვინაიდან ასეთი შეხედულება არ ეთანხმება თემსაბჭოს უკანასკნელ დადგენილებას.

გლეხებში ამის გამო დიდი ნერვიულობაა და საჭიროა საქმის საჩქაროდ მოგვარება. საკითხის გამორკვევის დროს აუცილებლათ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული თემის უმრავლესობის აზრი და სურვილი.

პორფილე.

უნდა გამოსწორდეს

(ს. კაკაბეთი, სიღნ. მ.)

ჩვენს სოფელში იყო საფოსტო განყოფილება რითაც ადგილობრივი გლეხობა დიდათ სარგებლობდა. არ ვიცი რა შემთხვევით, ეს დაწესებულება დაიკეტა. ჯერ გაზეთებს ისევ ვერა ვღებულობდით თავის დროზე, ეხლა კი მთელი გაზეთები გროვდება კაჭრეთის ფოსტაში, საიდანაც ხუთი-ექვსი დღის შემდეგ ვიღებთ. არის ხოლმე ისეთი შემთხვევაც, რომ გაზეთები იკარგება. წინათ ჩვენ გაზეთებს ბაქანზე ვღებულობდით, რაღაც შემთხვევით ესეც მოგვისპეს, ბაქანი ჩვენზე ორი ვერსია და კაჭრეთამდის კი 15 ვერსია. ამ მდგომარეობას ყურადღება უნდა მიაქციოს სათანადო ორგანოებმა.

მკითხველი გლეხი.

გლეხკომი გამოცოცხლდა

(ჩოლურის თ., ლეჩხ. მ).

ორი წელიწადია, რაც ჩვენს თემში გლეხკომები დაარსდა მაგრამ მათი მუშაობა სრულიად უნაყოფო იყო. თვით სამაზრო გლეხკომი არ აწვდიდა საჭირო დირექტივებს გლეხკომებს. მათი მუშაობის შესახებ. წარსული თვის განმავლობაში სამაზრო პარტ. ინსტრუქტორის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა აქ გლეხკომების ახალი ორგანიზაცია. არჩევნებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა გლეხები. კომიტეტის ახალ შემადგენლობაში ჩაბმული იქნა ღარიბი და საშუალო გლეხობის საუკეთესო ნაწილი, როგორც კაცები ისე ქალებიც. დაარსდა გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოება, რომელსაც აღტაცებით შეხვდა ღარიბი გლეხები.

დ. ბაბლუანი.

შოვი

(შთაბეჭდილებები)

მე ამ რამოდენიმე კვირის წინათ მქონდა შემთხვევა მენახა აგარაკი შოვი. შოვზე ბევრი რამ მქონდა გაგონილი, როგორც კარგი, ისე ცუდი. ამიტომ დიდათ მოხარული დავრჩი, რომ შემთხვევა მომეცა მისი ახლოს გაცნობის. რას წარმოადგენს შოვი? რაში მდგომარეობს მისი ღირებულება-ნაკლულოვანებანი? რანაირი მომავალი ექნება მას? ერთი შეხედვით აგარაკი შოვი ისეთ არაფერს წარმოადგენს, რომ განსაკუთრებით მიიპყროს ადამიანის ყურადღება. არის ჩვეულებრივი აგარაკი დაბურული ფიჭვის და ნაძვის ხეებით. პირველად რომ ფეხი შევდგი შოვში, გამიკვირდა, რატომ აქებდენ ასე მას ზოგიეროთები?! მაგრამ შემდეგ, როცა ამხ. შამშე ლეჟავას აქტიური ხელმძღვანელობით ახლო გავეცანი მას, მე თვითონ გავხდი მისი მაქებარი. აგარაკი შოვი არის რაჭის მაზრაში. ქუთაისიდან შოვამდე 146 ვერსია და ალაგირიდან (ჩრდილო-კავკასიაშია) 80 ვერსი. შოვი ამ ორ ქალაქთან დაკავშირებულია ოსეთის სამხ.-გზით. ზღვის დონეზე შოვი 5.400 ფუტის სიმაღლეზეა. მე ვიმგზავრე ქუთაისიდან მამისონის უღელტეხილამდე, და უნდა გამოვტყდე, რომ ხსენებული გზით მოგზაურობამ ერთობ მიმიზიდა და მომაჯადოვა.—ონიდან, რომ მიდიხარ შოვში, გზაში ყოველი ორი ნაბიჯის მანძილზე ოთხ-ხუთ ადგილზე შეხვდები მიწიდან და მთის ნაპრალებიდგან გამომდინარე მომხიბლავ მჟავე წყლის ნაკადებს. ერთი სიტყვით იმ გზას, რომელიც იწყება ქუთაისიდან და რომელსაც ჰქვია ოსეთის სამხედრო გზა, პირდაპირ შეჰყავხარ აგარაკ შოვში და შემდეგ იწყება მამისონის უღელტეხილი, რომელიც პირდაპირ გადადის ჩრდილო-კავკასიაში ალაგირამდე. ამ გზით მოგზაურობა, რომელსაც შოვში მიყავხარ ასვენებს ადამიანს ფიზიკურად, ამხვილებს გონებრივად და ატკბობს ესტეტიურად.

თვითონ შოვი ჩაჭედილია თვალუწვდენელ მყინვარ მთებ შუა, სადაც თოვლი არასოდეს არ დნება და შაქრის თავებივით მთის მწვერვალოები ამაყათ გადმოიჭრიან აგარაკს. აქ მთების კალთები და ფერდობები სულ მოფენილია ნაძვის და ფიჭვის ხეებით. მიუხედავათ იმისა, რომ შოვი ორივე მხრიდან ალყა შემორტყმულია თვალუწვდენელი გაუდნობელი თოვლიანი მთებით და სიმაღლე არის ზღვის დონიდან 5.400 ფუტი, იქ მომუშავე ამხანაგების სიტყვით, თვით შოვში ზამთარში არის სითბო და ქარი არ იცის, ზაფხულში კი საამო სიგრილეა. „ჰაერი გაჟღენთილია ოზონით“ კუპცისის სიტყვით და ჩემი დაკვირვებით,—აგარაკ შოვის სულ პატარა სივრცეზე, რომელიც არ აღემატება 3 კვადრატიულ ვერსის მანძილს, არის თხუთმეტი სხვადასხვა თვისება-ღირსების სამკურნალო მინერალური წყლები. ამ წყლებისათვის 1923 წელში ცნობილ კუპცისს ანალიზი გაუკეთებია და მას მკურნალობისათვის ყველა ეს წყლები დადებითი ღირსების წყლებათ უცვნია. კუპცისი შოვზე ამბობს: „თავის დროზე ეს აგარაკი თვისი ღირსშესანიშნავი მინერალური წყლებით მოჰიპეთ გაუხდება გერმანიაში სახელგანთქმულ აგარაკ ვილდუნგენს“-ო. იშვიათად მოიძებნება ჩვენში ისეთი აგარაკები, სადაც ერთად და იმავე დროს თავის პატარა მანძილზე სხვადასხვა ღირსების და თვისების სხვადასხვა სამკურნალო წყლები გამოდიოდეს მიწის წიაღიდან და კლდოვანი მთის ადგილებიდან. აქ ასეთ სურათს შევხვდებით: მაშინ, როდესაც ორ-სამ ადგილიდან დაინახავთ მოჩუხჩუხე მჟავე რკინის წყალს,—იქვე ნახავთ მთის ნაპრალიდან ონკანივით გამომდინარე ანკარა, სუფთა ყინულსავით ცივ და გემრიელ სასმელ წყაროს.

მკითხველის ყურადღება აქ უნდა შევაჩერო ერთ წყაროზე, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც აღმოუჩენიათ. ეს წყარო გამოდის მთის ძირიდან და ორი საჟენით არის დაშორებული გიჟმაჟი და ფაფარ აყრილი მდინარე ბუბის ნაპირიდან. ხსენებული წყაროდან იმდენათ ბლომათ გამოდის წყალი, რომ თამამად შეუძლია ამ წყალს ამუშაოს ერთი პატარა წისქვილი. ეს წყარო არის ძალზე ცივი და ანკარა. ამ წყალში არის ბევრი რადიო, მას ზედმეტად ეძახიან—რადიო აქტიურ წყალს.

გარდა ამისა, შუა შოვში ჩამორბის ორი ფაფარ-აყრილი, გიჟმაჟი და მყვირალი მდინარე: ბუბი და ჭანჭახი, რომელშიაც არის უამრავი კალმახი. სხვა აგარაკებში, მაგალითად: წაღვერში, ბორჯომში, აბასთუმანში, მდინარეები ნელა მიიზლაზნებიან და სტოვებენ სინესტეს. აქ კი გადარეული ბუბი და ჭანჭახი მირბის აჩქარებულ გურულსავით, რომ არავინ მოასწროს რიონში შერთვა. აქ ადამიანი ისვენებს ფიზიკურად და ჯანსაღდება გონებრივად. აგარაკ შოვს მზე მთელი დღე დასტრიალებს, როგორც მოსიყვარულე დედა თავის ღვიძლ შვილს.

აქ მე ერთი მოაგარაკე არ მინახავს, რომელსაც არ ექოს შოვი. ერთ ქალმა რომელიც აქ იყო მოსული კავკავიდან, მითხრა: „მე ვიყავი ძალზე ავად, მორჩენის იმედი არ მქონდა. ქმარმა გამომგზავნა ისე, სინიდისის მოსაწმენდათ, მაგრამ, აი, ხომ ხედავთ როგორ ვარ, მოვრჩი, აგერ ხე რომ არის (მიმითითა ხეზე) ასე მგონია ჩემი ღონით თავისუფლათ ამოვგლეჯ“.—შოვში მოაგარაკეებისათვის, დროებით რა თქმა უნდა, დადგმულია 60 ცალამდე პატარ-პატარა კარვები. ყველაფერს აქვს ლაგერული ხასიათი.

ეხლა ორიოდე სიტყვა აგარაკ შოვის აღმშენებლობაზე, რომელიც სწარმოებს ამხ. შ. ლეჟავას უშუალო ხელმძღვანელობით. შოვში აღმშენებლობითი მუშაობა ფაქტიურად დაწყებულია 1924 წლიდან. მთავარი ის არის, რომ ძვირფასი სამკურნალო ტყეები აღარ იჩეხება ძველებურად. აქ დაახლოებით ორ-სამ თვეში დასრულდება დიდი შენობა სანატორიისათვის. ეს სანატორიუმი არის ოთხ სართულიანი, აქვს 56 ოთახი, თვითეულ ოთახს აქვს განცალკევებით თავისი საკუთარი აივანი. შენობა აგებულია მშვენიერ ადგილზე. გარეგნულად ეს იშვიათი სილამაზისაა. ონიდან შოვამდე გაუყვანიათ ტელეფონი. აშენებულია კურზალი, სადაც მოთავსებულია კოოპერატივი, აფთიაქი, ბუფეტი დიდი დარბაზი და ფართო ვერანდა. იქვე აცხობენ საუკეთესო პურს. არის სამაგალითო სამზარეულო. არის აშენებული ორსართულიანი ბინა, სადაც ისვენებენ დროებით მისული ამხანაგები და სტუმრები. შენდება ორსართულიანი მუშების სახლი, რომელიც ახლო მომავალში მზათ იქნება. არის მოწყობილი სახერხი ქარხანა. [illegible] მანძილზე [illegible] ჯირი, მოაჯირი შარა-გზას მიუყვება და წყდება ელექტრო-სადგურთან. ჩემ იქ ყოფნის დროს დაიწყეს წყლის (უბრალო) მილის დაგება. კეთდება შესანიშნავი სილამაზის ჭიშკარი—წითელი ქვისაგან-მოჩუქურთმებული. ახლო მომავალში აპირებენ ფერმის მოწყობას, ჩემი იქ ყოფნის დროს ფერმისათვის ადგილს ეძებდენ. ბოლოს ამხ. შამშემ აქ ჩვენ გვიჩვენა „კუკლა“ გიდრო სადგური, ეს სადგური ამუშავდება სულ მოკლე ხანში, დაახლოვებით ამ თვის ბოლოს. გიდრო სადგური არის 150 ცხენის ძალის. მე მას დავარქვი „კუკლა სადგური“. რატომ, იმიტომ, რომ ის პატარძალივით გამოიყურება და მიდამოს თავს აწონებს—კეკლუცობს,—პირს იბანს ბუბის და ჭანჭახის ცივი ჩანჩქერით.

წერილი ერთობ გამიგრძელდა, ვიჩქარი გათავებას. ჩვენში ბევრი საკურორტო ადგილებია, რომელთა შორის შოვს ერთი საუკეთესო ადგილთაგანი უჭირავს. მიუხედავათ იმისა, რომ შოვი კარგი აგარაკია, ჩვენ ჯერ უნდა მოგვევლო იმათთვის, რომელნიც უკვე გვქონდა: ბახმარო, წაღვერი, ბორჯომი, აბასთუმანი, წყალტუბო, ახტალა და სხვა ბევრისათვის და შემდეგ დავეწყო ახალი აგარაკების მოწყობა მათ შორის შოვისაც. მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი დაგვიანებულია. ჯერ არ უნდა შეგვეწყო ხელი ამხ. შ. ლეჟავას დაუღალავი ენერგიისათვის; ჩვენ პირველ რიგში პატრონობა უნდა გაგვეწია ძველი აგარაკებისათვის, მაგრამ ეხლა ფაქტის წინაშე ვდგევართ. შოვში არის ჩადებული ნაღდი ფულად დაახლოებით 200.000 მანეთამდე. მუშაობა კი აქ შესრულებულია არა ნაკლები 500.000-700.000 მანეთის. გარდა ფულისა ამ საქმეში ჩვენი ამხანაგების დიდძალი ენერგია და შრომაა დახარჯული. ახლა უკან დახევა და შუა გზაზე შეჩერება ყოვლად შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა აგარაკ შოვის აღმშენებლობას სერიოზული ყურადღება მიექცეს. მასთან საჭიროა გეგმითი მუშაობის წარმოება, რასაც უნდა მიაქციოს ყურადღება კურორტ შოვის საამშენებლო კომიტეტმა, რომელიც სამწუხაროდ არსებობს მხოლოდ ქაღალდზედ და პრაქტიკულ საქმიანობაში ვერ იჩენს უნარს. ყოველივე საქმე აქ კისერზე აქვს დაწოლილი ამხ. შ. ლეჟავას. შოვის საამშენებლო კომიტეტი, რომ რამე აქტიობას იჩენდეს, მაშინ ძვირფას ჭიშკარს კი არ ააშენებდენ, ამ ჭიშკრის ასაშენებელ თანხას, სულ სხვა უფრო პირველ საჭიროების საქმეზე დახარჯავდენ. ერთი სიტყვით საჭიროა და სასარგებლო, რომ თვითეული საამშენებლო ნაბიჯი გარჩეული იქნეს წინდაწინ საამშენებლო კომიტეტში, ეს იქნება გეგმიანი მუშაობა, რომელშიც პასუხს აგებს არა ერთი პიროვნება, არამედ კოლექტივი. ეს თვით ამხ. შ. ლეჟავასთვისაც კარგი იქნება, რადგანაც აგარაკი შოვი დაწყებულია და კეთდება მისი პირდაპირი და უშუალო ინიციატივით. აგარაკ შოვში არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეს ნება კერძო პირებს კერძო ბინების აშენების, როგორც ეს არის სხვა აგარაკებში, არამედ იქ უნდა აშენდეს მხოლოდ და მხოლოდ ბინები სახელმწიფო, და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ.

ერთი სიტყვით კურორტს შოვს დიდი მომავალი აქვს, ამიტომ მას უნდა მიექცეს სათანადო და ჯეროვანი ყურადღება ვისგანაც და [illegible] ეს საჭიროა.

კ. ხომერიკი.

გერმანიის მუშათა მეორე დელეგაცია ყოფილ მენშევიკებთან

ყოფილ მენშევიკთა განყოფილებამ გამართა საუბარი გერმანიის მუშათა მეორე დელეგაციასთან. პირველად მოხსენება გააკეთა ამხანაგმა ლ. კუპრაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ ამ 30 წლის განმავლობაში საქართველოს მუშათა კლასი მიდიოდა მარქსის მიერ დასახულ მიზნით. ჩვენ ევროპის პროლეტარიატი და განსაკუთრებით გერმანიისა მუდამ გვყავდა სამაგალითოთ დასახული. მივსდევდით მათ გზას, ვითვალისწინებდით მათ მუშაობას.

სამწუხაროდ მარქსისტულ მოძრაობის ლიდერების ერთი ნაწილი დადგა ყალბ გზაზე. მათი ღალატი ყველასთვის აშკარა გახდა ჯერ კიდევ 1914 წელს.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ჩვენი მთავრობა გაიქცა ევროპაში.

იქიდან გვაძლევდენ ჩვენ მუშაობის დირექტივებს. ჩვენც ვასრულებდით ამ დირექტივებს, მიუხედავათ იმისა სასარგებლო იყო ის თუ არა ჩვენი ხალხისათვის, ჩვენი პროლეტარიატისათვის.

აი, აქ დაუშვით ჩვენ დიდი შეცდომა. ეს იმიტომ, რომ ჩვენ ნდობა გვქონდა ჩვენი ლიდერების. მათი გაქცევის შემდეგ ჩვენ ოთხი წელი მივსდიეთ ლიდერების მიერ საზღვარ-გარეთიდან ნაკარნახევ მაცდუნებელ გზას.

თუ წინად გარეგნულად მაინც გვეჭირა ხელში წითელი დროშა, ეხლა ჩვენ დავშორდით მას სავსებით, დავშორდით მარქსიზმს.

მივსდიეთ ამ დირექტივებს, სანამ არ დავეჯახეთ 1924 წელს აგვისტოს უბედურებას.

7-8 ოქტომბერს, იმავე წელში, მოვგროვდით ძველი, რევოლიუციაში გამოწრთობილი მუშები და დავადგინეთ: უკუ ვაგდოთ პარიზიდან მოსული დირექტივები. ისინი ხალხის დამღუპავია. მივიდეთ არსებულ ხელისუფლებასთან, კომუნისტურ პარტიასთან და ვიმუშაოთ მათთან ამხანაგურად, ძველებურად, სოციალისტურად.

ამრიგად, ჩვენ ისევ დავუბრუნდით წითელ დროშას. 12 ათასმა ყოფილმა მენშევიკმა მუშამ გაიზიარა ჩვენი ხაზი. ჩვენ ავირჩიეთ მუშათა კომისია. დავიწყეთ მუშაობა. გავმართეთ კრებები მთელ საქართველოში. ვიყავით რუსეთშიც გადასახლებულებთან. ბევრი მათგანი დაუბრუნდა სამშობლოს, ცოლ-შვილს, თავის ძველ საქმეს.

გაჩაღდა მუშაობა ყოფილ მენშევიკთა და უპარტიოთა შორის.

მე თქვენ გადმოგცემთ აუარება მასალას ჩვენი მუშაობის შესახებ. აი, ჩვენი კონფერენციის ანგარიში. ამ, ევროპიდან ჩამოსული ყოფილი მენშევიკების მოხსენებათა კრებული. აი ჩვენი განყოფილების ანგარიში.

რომ იცოდეთ, რომ თქვენ გელაპარაკებათ ძველი რევოლიუციონერი, აი დამამტკიცებელი საბუთი. (აქ ამხ. კუპრაშვილმა გადასცა დელეგაციას რკ.-გზის ჟანდარმერიის მიერ 1905 წელში შედგენილი ოქმი ლ. კუპრაშვილის შესახებ).

სამშობლოში დაბრუნებისას, იმედია, თქვენ ეცდებით გაჰფანტოთ ის ჭორები, რასაც იქ ავრცელებენ ჩვენს შესახებ. საბჭოთა კავშირის დამხობა იქნება დიდი უბედურება მთელი ქვეყნის მუშებისათვის. ჩვენ ყოფილი მენშევიკები გთხოვთ ეცადოთ, გთხოვთ მიიღოთ ყოველგვარი ზომები, რათა ალაგმოთ ევროპაში ჩვენი ემიგრაცია. ისინი მხოლოდ ჭორებს ავრცელებენ და გვიშლიან დადებითი და საჭირო მუშაობას.

აფერხებენ საერთაშორისო მუშათა მოძრაობას და კერძოთ საქართველოს წინ სვლის საქმეს, კიდევ ერთხელ გიგზავნით სალამს მთელ გერმანიის პროლეტარიატს და გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას.

სიტყვას ღებულობს ყოფილი მენშევიკი აჭარისტანის მასწავლებელი ამხ. გორგაძე. მე შევეხები მუშაობას და წარმატებას მხოლოდ სწავლა-განათლების დარგში. რომ შევადაროთ განათლების დარგში წინანდელი და დღევანდელი მუშაობა—დღის წარმატება—წინსვლა საგრძნობია. დღევანდელი მუშაობა მეტად თვალსაჩინოა. მაგალითად, აჭარისტანში მენშევიკების დროს იყო მხოლოდ 14 სკოლა. დღეს-კი 114 სკოლაა.

ასეთია მდგომარეობა საქართველოშიაც. სკოლები მრავლდება. გვაქვს უნივერსიტეტი, სადაც სწავლა სწარმოებს სახელმწიფო ენაზე, არავითარი შეზღუდვა სასწავლებლებში არ არის. თქვენ გელაპარაკებათ არა კომუნისტი, არამედ ყოფილი მენშევიკი.

ჩვენ დავტოვეთ ჩვენი ყოფილი ლიდერები. ვხედავთ, რომ არსებული ხელისუფლება, მეტს იძლევა. საქართველო აყვავდა კულტურულად. ჩვენ მივატოვეთ ძველი შეცდარი გზა. მივდით ხელისუფლებასთან. ჩვენ მუშები ვართ, სოციალისტები ვართ და სხვანაირად მოქცევა არ შეგვიძლია. მივდით ისევ რევოლიუციის ოჯახში. 12 ათასი ძველი გამოცდილი მუშები ვერ შესცდებიან.

გთხოვთ ეს ამბავი წაიღოთ ევროპაში და გაფანტოთ ის ჭორები, რომელსაც იქ ავრცელებს ყოფილი მენშევიკური მთავრობა.

გაუმარჯოს მშრომელთა ერთიან ფრონტს.

გაუმარჯოს გერმანიის დელეგაციას.

დელეგატები იძლევიან რამდენიმე შეკითხვას, რაზეც ამხ. კუპრაშვილი აძლევს შესაფერ პასუხს.

მეგობრული გამომშვიდობების შემდეგ, დელეგაცია შორდება მოსაუბრეთ.

ამ საუბარმა დელეგაციაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

ს. დ—ძე.

„ინდო“

კონცესიონერები დათმობაზე მიდიან

„ინდოს“ მთავარ რწმუნებულმა მოსკოვში კენინგამმა მიმართა თხოვნით ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს გადასცეს კავშირის მუშაკთა პრეზიდიუმის ცენტრალურ კომიტეტს მისი წინადადება, რომ 7 სექტემბრის დილის 11 საათისათვის დანიშნულ იქნეს შეერთებული თათბირი კონფლიქტის მოსაგვარებლად მოლაპარაკებისათვის.

ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ცენტრალური კომიტეტი დასთანხმდა კენინგამის წინადადებაზე და განაცხადა, რომ თათბირზე გაგზავნის თავის წარმომადგენელს.

როგორ მიმდინარეობს გაფიცვა

ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტის ცნობებით, გაფიცვის მეხუთმეტე დღე ჩატარდა მშვიდათ. მდგომარეობა უცვლელია. გაფიცულებს დაურიგდათ ორი კვირის ერთდროული დახმარება.

„ინდოს“ თანამშრომლების ხელფასი

როგორც ვიცით, ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის მუშაკთა ცენტრალურ კომიტეტის მოთხოვნილების ერთ-ერთ მუხლში ნათქვამია—პატარა სადგურების მუშაკთათვის ხელფასის 20 პროცენტით გადიდება. ამ საკითხთან დაკავშირებით ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტში გვაცნობენ შემდეგი:

დიდი სადგურების თანამშრომლები ღებულობენ 80—200 მანეთამდე თვეში.

პატარა სადგურების მუშაკები ღებულობენ არა უმეტეს 40 მანეთისა თვეში, მაშინ, როცა შრომისა და ენერგიის დახარჯვით დიდი სადგურების თანამშრომლებს არ ჩამორჩებიან.

მიუხედავათ ამისა, დიდი სადგურების მუშაკები თავიანთი მოძმე პატარა სადგურების მუშაკებთან ერთად იბრძვიან კავშირის ცენტრალურ კომიტეტის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

„ინდოს“ ადმინისტრაციის საკასაციო საჩივარი

ოდესა, 7 სექტემბერი. საოლქო სასამართლომ განიხილა „ინდოს“ ადმინისტრაციის საკასაციო საჩივარი შრომის სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რომელმაც „ინდოს“ თანამშრომლებს მიუსაჯა 15.000 მან. შვებულების დროის განმავლობაში საშუალო ხელფასის ანგარიშით. ადმინისტრაცია შვებულებს უხდიდა ჯამაგირს მხოლოდ ძირითადი განაკვეთის მიხედვით.

საოლქო სასამართლომ ადმინისტრაციის მოტივები სცნო უნიადაგოთ და საჩივარი დასტოვა უშედეგოდ სასამართლოს ხარჯების „ინდოს“ ადმინისტრაციაზე დაკისრებით.

ცენტრალურ კომიტეტის მოლაპარაკება კენინგამასთან

გუშინ საღამოს, ამიერ-კავკასიის საგაფიცვო კომიტეტმა მიიღო ცნობა ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ცენტრალურ კომიტეტის და კენინგამს შორის დაწყებულ მოლაპარაკების მიმდინარეობის შესახებ.

პირველი თათბირი შესდგა გუშინ დილით.

ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებმა გაფიცვის შესაწყვეტად წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნილებანი:

გაფიცვამდე არსებული სამუშაო ხელფასი გადიდებულ უნდა იქნეს 20 პროცენტით და „ინდოს“ მუშაკები დაკმაყოფილებული უნდა იქნან გაფიცვის განმავლობაში გაცდენილი სამუშაო ხელფასით.

კენინგამმა წამოაყენა წინადადება კოლექტიური ხელშეკრულების 5 წლის ვადით დადების შესახებ, ცკმ წინადადება მისცა, რათა ხელშეკრულება დადებულ იქნეს 2 წლის ვადით ამა წლის 1-ლ ოქტომბრიდან.

ცენტრალური კომიტეტი აყენებს აგრეთვე მოთხოვნილებას მომავალში „ინდოს“ თანამშრომლებისათვის სამუშაო ხელფასის მექანიკურად გადიდების შესახებ—ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის გადიდებასთან დაკავშირებით და აგრეთვე 2 პროცენტის მიმატებით.

კენინგამმა შეჰპირდა ცენტრალურ კომიტეტს, რომ ის ამის შესახებ საჩქაროდ აცნობებს ინგლისში.

თბილისის „ინდოს“ მუშაკთა განცხადება

გუშინ დილით ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის კლუბში შესდგა თბილისის „ინდოს“ სადგურის თანამშრომელთა საერთო კრება.

კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ჯანიბახჩიევი და მონცევიჩი.

შემდეგ გამოქვეყნებული იქნა ფოსტა-ტელეგრაფის კავშირის ცენტრალურ კომიტეტის ცნობა. უკანასკნელ საკითხის გარშემო კრებამ გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

თბილისის „ინდოს“ თანამშრომლების საერთო კრება იწონებს ცენტრალური კომიტეტის ხაზს კენინგამასთან მოლაპარაკების შესახებ და ადგენს: ეთხოვოს ცენტრალურ კომიტეტს, რომ სამუშაო ხელფასის გადიდება მოხდეს არა ამა წლის 1-ლ ოქტომბრიდან, არამედ გასული წლის ნოემბრიდან.

კრება გამოსთქვამს სრულ თანაგრძნობას „ინდოს“ ადმინისტრაციასთან ხელშეკრულების ორი წლის ვადით დადებისა და სამუშაო ხელფასის მექანიკურად გადიდების შესახებ და საჭიროთ სცნობს ითხოვოს რათა ხელშეკრულებაში შეტანილი იქნას მუხლი სიძვირის დროს ხელფასის მომატების შესახებ და აგრეთვე სამუშაო ხელფასის გადიდების დროს მიღებულ იქნეს მხედველობაში ადგილობრივი პირობები.

საერთო კრებები ადგილებზე

ამიერ-კავკასიის გაფიცვის კომიტეტმა გადაგზავნა ადგილებზე კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ „ინდოს“ ადმინისტრაციისათვის უკანასკნელ თათბირზე წარდგენილი მოთხოვნილებანი გასაცნობათ და დაავალა სათანადო მსჯელობის შემდეგ, დღის დილის 9 საათამდე აცნობონ თავიანთი მოსაზრებანი.

შემნახველ სალაროების მუშაობა თბილისში

საქართველოს შემნახველი სალაროს მიერ გახსნილია თბილისში, წარმოება, დაწესებულებებში და სამხედრო ნაწილებში შემნახველი სალაროები. ამით საქართველოს შემნახველი სალაროები მიზნად ისახავს მუშებისა და მოსამსახურეებთან დახლოვებას. სულ გახსნილია 22 სალარო. დღიდან მათი გახსნისა ა.-წ. 1-ლ აგვისტომდე ამ სალაროებმა აწარმოეს შემდეგი ბრუნვა: შემოსულია ანაბარები 61323—08. იმავე დროის განმავლობაში გაცემულია 48.575—45 და, 1-ლ აგვისტოსათვის დარჩენილი იყო წვრილი ანაბარები 12.747—63 მან. რაოდენობით.

მოყვანილი ციფრები მოწმობენ, რომ მშრომელი მასა თანდათან ერკვევა სახელმწიფო შემნახველ სალაროების მნიშვნელობაში, მაგრამ სამწუხაროდ მშრომელთა 70 პროც. რჩება შემნახველობის საქმის გარეშე, რადგან, როგორც სჩანს, გატარებული აგიტ-კომპანია ვერ მისწვდა მშრომელი მოსახლეობის ფართე ფენებს და მაშასადამე ბევრი არ იცნობს შემნახველ სალაროების მნიშვნელობასა და სარგებლობას.

პროფპარტიულ ორგანიზაციებს მართებთ მიაქციონ სერიოზული ყურადღება ასეთ გარემოებას. ხოლო შემნახველობის საქმის მუშაკთ მართებთ შემნახველობის იდეის მეტი ენერგიით პოპულიარიზაცია თავის ამხანაგებს შორის, რაც აუცილებლად მოიზიდავს ბევრ მეანაბრეთ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა მარტო ზემოხსენებული პროფორგანოები და შემნახველობის საქმის მუშაკნი, არამედ ყოველი შეგნებული მშრომელი ვალდებულია იყოს შემნახველობის იდეის გამტარებელი, იყოს შემნახველი სალაროს მეანაბრე და მით მიიზიდოს თავი და გარშემო მყოფნიც პროლეტარულ შემნახველობას.

ვ. მამაცაშვილი.

ა.-კ. სახ. კომის. საბჭოში

კოოპერაციის გასაძლიერებლად.

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა გაეცეს სესხათ 3 წლის ვადით სამხედრო მომხმარებელ საზოგადოებას 8.382 მანეთი.

საუწყებათაშორისო კომისიები

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა საბჭოთა კავშირის სახ. კომ. საბჭოს წინაშე, რათა სასწავლებლების კურსდამთავრებულ მსმენელებისათვის ადგილობრივ პრაქტიკის მისაღებად დაარსდეს ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატთან ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკების შრომის სახ. კომისარიატებთან საუწყებათაშორისო კომისიები.

აღნიშნულ კომისიებში პრაქტიკულ მუშაობის სტაჟს მიიღებენ უნივერსიტეტების და ინსტიტუტების კურსდამთავრებული მსმენელები.

პრევენცია.

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ გაანაწილა სახელმწიფო დაზღვევის 1923—24 წლის მოგების თანხა რესპუბლიკებზე პრევენცია-რეპრესიების საჭიროებისათვის. მოგების თანხიდან საქართველოს გაეცა—38.888 მან. 58 კაპ., აზერბაიჯანს—15.622 მან. 73 კაპ., სომხეთს—2.593 მანეთი 22 კაპ.

პროექტის განსახილველად.

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ გამოჰყო კომისია საბჭოთა კავშირის საბაჟო კოდექსის პროექტის განსახილველად. კომისიაში შედიან: ამხ. ამხ. გუსეინოვი, პავერმანი, ლოლობერიძე, შეფტელი და შირვანოვსკი.

კოდექსის პროექტი შემუშავებულია საბაჟოს მთავარ სამმართველოს მიერ.

სახ. კომისართა საბჭოში

სამთო ზედამხედველობა

საქართველოს ფინსახკომის დასკვნის თანახმად, ს. მ. უ. საბჭოსთან არსებული სამთო ზედამხედველობის შტატის შესანახი და სხვა საჭირო ხარჯები შეტანილ იქნეს ს. მ. უ. საბჭოს 1926—27 საბიუჯეტო წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

რაციონალიზაციის ბიუროები

სახკომსაბჭომ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა სახელმწიფო აპარატების რაციონალიზაციის ბიუროების დაარსების მიზნით, ნება მიეცეს განათლების, იუსტიციის, ჯანმრთელობის, მიწათმოქმედების და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებს გაადიდონ თავიანთი შტატი ორ-ორი კაცით.

წინადადება მიეცეს ს. მ. უ. საბჭოს ზემოაღნიშნული ბიუროს ფუნქციების შესრულება დააკისროს თავის საგეგმო საწარმოო განყოფილებას.

ამხ. ყამარაული

ამხ. ა. ყამარაული განთავისუფლებულ იქნეს ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრობიდან.

შტატების დამტკიცება

განათლების სახალხო კომისარიატის დამატებითი შტატი, ბუნებრივი ზრდის, სახელმწიფო ბიუჯეტზე გადაყვანისა და ახალ დაწესებულებათა გახსნის გამო, დამტკიცებულ იქნა 711 კაცის რაოდენობით.

ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დამატებითი შტატი დამტკიცებულ იქნა 263 კაცის რაოდენობით.

ს. მ. უ. საბჭოს დამატებითი შტატი დამტკიცებულ იქნა 8 კ. რაოდენობით.

აფხაზეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის დამატებითი შტატი დამტკიცებულ იქნა 13 კაცის რაოდენობით.

მუშათა ცხოვრება

მუშებს უნდა მიეცეს საზამთრო დახმარება

რკინისგზის დაბალი მუშა-მოსამსახურეები განიცდიან დიდ მატერიალურ გაჭირვებას ხელფასის სიმცირის გამო. ამავე დროს ზამთარიც კარზე მოგვადგა. ზოგს შეშა აქვს საყიდელი, ზოგს ზამთრის ტანისამოსი არა აქვს და სხვადასხვა. შრომის ხელფასს ღებულობენ მხოლოდ იმდენს, რომ ძლივს ყოფნით დღიურ საზრდოსთვის. ამისთანა მუშა-მოსამსახურემ რა გზით უნდა შეიძინოს საზამთრო საჭიროებისათვის რაიმე, თუ მას არ მიეცა ავანსის სახით ცოტა ოდენი ფული მისი ჯამაგირის ანგარიშში? მთელი ზაფხული ჩეკებით ფულს იძლეოდენ ავანსად და რაღა ეხლა ამ ზამთრის პირას მოუნდათ ავანსის მოსპობა?.. შესაძლებელია რკინისგზის სალაროს ბევრი ფული არა ქონდეს, მაგრამ იგი არც ისეა დაცემული, რომ მას არ შეეძლოს 25—30 მანეთის მიცემა წინდაწინ ჯამაგირის ანგარიშში ავანსად. ეს ხომ მოწყალება არ არის, არამედ ერთნაირი შეღავათია მცირე ჯამაგირიან მუშა-მოსამსახურეებისათვის. ამ დროს ავანსის გაუქმება კი დიდ აურ-ზაურს იწვევს გაჭირვებულ რკინისგზელებში. აქ არ შეიძლება ითქვას, რომ მათი უკმაყოფილება უკანონო იყვეს.

საჭიროა განაგრძონ კიდევ 1—2 თვე ავანსით ფულის მიცემა, რომ მუშებს ჰქონდეთ საშუალება ზამთრისათვის საჭირო ნივთები და სანოვაგე შეიძინონ.

მუშკორი რკინისგზელი.

საუცხოვოდ მოწყობილი საავადმყოფო

1925 წ. 4 ივლისს სომხეთის ჯანმრთელობის კომისარიატის განკარგულებით გახსნილ იქნა „წითელ ნოემბრის“ ქარხნებთან მუშათა და გლეხთა საავადმყოფო 30 საწოლით. მართალია, ეს საავადმყოფო მთელი წლის განმავლობაში ბევრ სიძნელეს განიცდიდა როგორც მოწყობილობით, ისე შესაფერი ბინით,—მაგრამ საავადმყოფოს ადმინისტრაცია ერთ წუთსაც არ კარგავდა და სულ იმაზე ზრუნავდა, რომ მას საავადმყოფო მოეწყო. მართლაც, ერთი წლის განმავლობაში ენერგიულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო და მიუხედავად მრავალ უსიამოვნებისა, საავადმყოფოს ადმინისტრაციამ მაინც შესძლო ყოფილ ხოჯამიროვის სასახლის დაკავება, რომელსაც უფლობდა ქარხნების და მაღაროების მმართველობა და აი სწორედ წლის თავზედ ზეიმით გაიხსნა ახალი საავადმყოფო.

საავადმყოფო მოთავსებულია 3 ვერსის მანძილზე ქარხნებიდან, საუცხოვო ბუჩქებით შემკულ ხუსტუფის მთის კალთებში. მას ირგვლივ შემორტყმული აქვს ლენინის სახელობის მაღაროები, სადაც მუშაობს ათასზე მეტი მუშა.

საავადმყოფოს აქვს სამი „პუნქტი“:— შაუმიანის სახელობის მაღაროებთან, ქარხნებთან და მუშათა ქალაქ ყაფანის პატარა ამბულატორია, რომელიც მდებარეობს ქარხნებიდან რამოდენიმე ნაბიჯზე.—აქვე არსებობს ცენტრალური აფთიაქი, სადაც გამგედ ითვლება გამოცდილი და ჯერ კიდევ ბევრი ენერგიით სავსე მუშაკი იოსებ ყორღანოვი.

საავადმყოფო კარგ პირობებშია—სასახლე ყოფილ ხოჯამიროვისა სამ სართულიანია, მაგრამ უზარმაზარი. მნახველი ვერ წარმოიდგენს, თუ იგი იმყოფება სადღაც მთებში გადაკარგულ ზანგეზურში, სომხეთის კუთხეში, რომელიც დაშორებულია რკინისგზიდან 250 ვერსით; ევლახიდან მხოლოდ გორადიზიდან (ბაქო-ჯულფის ხაზით) 80 ვერსით.

მდიდრულად მოწყობილი, ელექტრონით განათებული და სასეირნო ბაღებით შემკული სასახლე დღეიდან ამაყად დაჰყურებს ზანგეზურის მიდამოებს, ვიდრე როდისმე.

დღეიდან ყველა ხედავს, რომ აქ არსებობს სამკურნალო ავადმყოფ მაღაროს მუშისათვის.

შრომისგან დაღლილ-დაქანცული მუშა აქ ჰპოულობს როგორც მკურნალობას, ისე ჯანის დასვენებასაც შრომის უნარის გასაჯანსაღებლად და გასაძლიერებლად.

გაბრონ ზანგიზურელი.

კედლის გაზეთის რედკოლეგიების საერთო კრების ანგარიშები

19 აგვისტოს ქალაქის რაიკომის მიერ აღმასკომის დარბაზში მოწვეულ იქნა კედლის გაზეთების რედკოლეგიების საერთო კრება, სადაც მომავალ მუშაობის შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ ამხანაგები. მოხსენებებიდან და განვლილ მუშაობის შეფასებიდან გამოირკვა, რომ კედლის გაზეთები თითქმის არც ერთ დაწესებულებაში არ მდგარან თავის სიმაღლეზე არც შინაარსით და არც ტეხნიკური მხრით.

გამოირკვა, რომ კედლის გაზეთებში იწერებოდა ძალიან გრძელი წერილები, რომელთა წაკითხვა მოსაწყენია და არც არავის წაუკითხავს კიდეც. კედლის გაზეთებში იწერებოდა არა კედლების შიგნით მომხდარ ავკარგიანობაზე, არამედ,—საერთაშორისო მდგომარეობაზე, მიმდინარე მომენტზე და ისეთ რამეებზე, რომლებიც სრულიად უკარგავენ კედლის გაზეთს მნიშვნელობას. ზოგან კიდევ ისეთი დიდი ფორმატის გაზეთები გამოდიოდა, რომ მის წასაკითხავად საჭირო იყო კიბე, ან „ტაბურეტკა“. ყველა დასახელებულ ნაკლებს კრებამ ხაზი გაუსვა და მომავალში მას ადგილი აღარ ექნება.

გამოითქვა საერთო აზრი და მიღებულ იქნა კრების მიერ მომავალ მუშაობისათვის შემდეგი: კედლის გაზეთი იყოს საშუალო ფორმატის; კედლის გაზეთში იწერებოდეს ის, რაც ხდება კედლების შიგნით და არა საერთაშორისო ამბავზე, რომგორც ამას დღემდე ქონდა ადგილი; კედლის გაზეთში იწერებოდეს მოკლე, გასაგები და შინაარსიანი წერილები.

ზოგიერთ ამხანაგებმა გამოსთქვეს აზრი, რომ ერთნაირად იწერებოდეს ავზე და კარგზე (ე. ი. კარგი მომუშავე ვაქოთ, ავი ვკიცხოთ).

ჩემის აზრით ეს არ არის მიზანშეწონილი. განა ყველა ჩვენთაგანის მოვალეობას არ შეადგენს, რომ კარგად, ბეჯითად და კეთილსინდისიერათ ვიმუშაოთ? ქება უნდა დაიწეროს იმ პირზე, რომელიც განსაკუთრებულ ენერგიას იჩენს და თავისი დაუღალავი შრომით და განსაკუთრებული კეთილსინდისიერებით ქმნის რამე ღირებულებას და იმსახურებს ხალხის ნდობას და პატივისცემას.

რაც შეეხება ნაკლზე წერას, ეს კი ყოველ ნაბიჯზე საჭიროა. კორესპონდენტმა არ უნდა გაუშვას სულ უბრალო წვრილმანი (ვინაიდან წვრილმანებიდან დგება სხვილმანი) შემთხვევაც კი და დაუზოგავად უნდა ამხილოს ამა თუ იმ პირის ყოველივე ნაკლი. ადევნოს ფხიზლათ თვალყური და სააშკარაოზე გამოიტანოს მფლანგველობა, დაუდევრობა, უყურადღებობა, ლოთობა და ყველა ის მოქმედებანი, რაც ძირს უთხრის წარმოებას და ზიანს აყენებს საერთო საქმიანობას. მასთან კორესპონდენტი უნდა იყოს მიუდგომელი, მის წერილებს არ უნდა ქონდეს საკინკლაო ხასიათი და არ იყოს პირად ინტერესებზე აგებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არავითარი ღირებულება არ ექნება და ასეთები განდევნილ იქნებიან მუშკორთა წრიდან პასუხისგებაში მიცემით.

მუშკორი დ. გორდაძე.

სახელმწიფო სათბობის ადგილკომში

ს. მ. უ. ს. სახელმწიფო სათბობის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 120 კაცამდე აღწევს. წინეთ ისინი ირიცხებოდენ სამთომადნო პროფესიონალურ კავშირში, მაგრამ ეხლა პროფსაბჭოს დადგენილებით გადარიცხული იქნენ საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების პროფკავშირში.

ზემოთ ხსენებულ სახ. სათბობის მუშა-მოსამსახურეებს ჰყავთ არჩეული და გამოყოფილი ადგილკომი, რომელიც მუშაობაში ძალზე მოისუსტებს. იგი უფრო ქაღალდზე არსებობს. ფაქტიურად კი პროფესიონალურ დარგის მას არაფერი გაუკეთებია. აქ არის ერთი ვინმე, საკურნეო ნაწილის გამგე, ივანე წინამძღვარიშვილი, რომელიც არც ადგილკომს ეკითხება და არც სხვა არავის და თავის სურვილისამებრ იღებს! სამუშაოზე მოთხოვნილ მუშას, თუ კი იგი [illegible] აღმოჩნდა.

ნაწილის გამგის ასეთ უკანონო მოქმედებას უნდა მოეღოს ბოლო. ამას თუ სამთომადნო ა.-კ. ც. გამგეობა არ აქცევდა ყურადღებას. ახლა კი აუცილებლად საჭიროა მიაქციოს ამას ჯეროვანი ყურადღება და აღაგმოს იგი.

მუშკორი მაღაროელი.

იუსტიციის სახალხო კომისარიატში

დიდი ხანია იუსტიციის სახ. კომისარიატის მუშკორი ხმას არ იღებს. ზოგიერთი იფიქრებს, რომ სიზარმაცით მოსდის ეს. არა, მიზეზი მარტივია. არაფერი ჰქონდა საწერი. შეწყდა კულტურული მუშაობა და მუშკორის კალამიც დადუმდა.

დღეს კი მნიშვნელოვანი დღეა. მეორე სართულის კიბეზე, მარჯვნივ კედელს ამშვენებს პირველი ნომერი კედლის გაზეთის „იუსტიციელი“-ს სახელწოდებით. იგი ღაღადებს, რომ აქ არ მომკვდარა კულტურული მუშაობა.

მართალია, გაზეთი თავისი გარეგნობით ვერ იამაყებს, იგი მეტად სადაა და მოკლებულია ფერადობას, არც მასალაა მხატვრულად დალაგებული, მაგრამ შინაარსით იგი სავსებით ამართლებს თავის დანიშნულებას.

აქ პოლიტიკური და პროფესიონალური ხასიათის წერილების გვერდით შეხვდებით იურიდიული მნიშვნელობის წერილებს. ასეთია წერილები პროკურატურის და დამცველთა კოლეგიის შესახებ, მეტად შინაარსიანი და კარგი ქართული ენით დაწერილი, რაც არ შეიძლება ითქვას ზოგიერთ სხვა წერილზე. მეტად მოუხეშავი, გაუგებარი ფრაზებს შეხვდებით აქ. თანაც ძალიან ხშირადაა ნახმარი უცხო სიტყვა, რაც უფრო აძლიერებს წერილის ისედაც არა ქართულ ელფერს.

იმედია, სარედაქციო კოლეგია შემდეგში უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს გაზეთის ენას.

გაზეთში საინტერესოა წერილი ქალების შესახებ. მის ავტორს სურს დაამხვრიოს იუსტიციის კომისარიატის ქალთა აპატია, უმოქმედობა, სურს გამოიყვანოს ისინი იმ ვიწრო, წვრილმანი ინტერესების ფარგლებიდან, რომელშიაც დღევანდლამდი ჩაფლულია ქალი.

„ქალებო სხვისი იმედი ნუ გექნებათ, თვით თქვენვე უნდა გამოჰკვეთოთ თქვენი ბედი“-ო. ამ მხურვალე მოწოდებით ათავებს ავტორი თავის წერილს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს გაზეთის ერთი თვალსაჩინო ნაკლი. მას აკლია იუმორი, მეგობრული გაკილვა ყველა იმ შეცდომის და ნაკლულოვანების, რაც კი კომისარიატს აწუხებს. ამ მხრივ საყურადღებოა ერთი წერილი, სადაც ავტორი ცდილობს ნახევრად იუმორისტული სახით ამცნოს მკითხველს შრომის საკითხის მოუწესრიგებლობა კომისარიატში. მაგრამ ხომ თუ აქ მარტო ეს ერთი ნაკლია? კედლის გაზეთი სიმართლის ემსახურება და შეიძლება კიდეც მის დაცვას, ვინც მას ამ მხრივ დაეხმარება.

მუშკორი ლ—რი.

მუშათა ქრონიკა

— **კომიტეტის სხდომა.** 19 აგვისტოს შესდგა თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროს კომიტეტის სხდომა.

— **გაფართოება.** თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროს კომიტეტმა დაადგინა გაფართოვდეს კანცელარია.

მოხსენება. თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროს პრეზიდიუმმა დაადგინა მოხსენება გააკეთოს უბსალაროს რწმუნებულმა უბსალაროს საქმიანობის შესახებ.

— **სიმთვრალის გამო.** სადგ. თბილისის მოძრაობის [illegible] კ.-მმა დაადგინა: დათხოვნილ იქნას სამსახურიდან კონდუქტორი მამამთავროშვილი პასუხისგებაში მიცემით სიმთვრალის გამო.

— **ინდივიდუალური სურათები.** თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროს კომიტეტმა დაადგინა: ეთხოვოს ჯანმრთელობის ქვე-განყოფილებას, შეიძინოს ავადმყოფებისათვის ინდივიდუალური სურათები.

— **200 მანეთი.** თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროს კომიტეტმა დაადგინა გამოყოფილ იქნას 200 მან. სალაროს კანცელარიის გასალამაზებლად.

— **ბიუროს მოწყობა.** თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროს კომიტეტმა დაავალა ამხ. მარქარიანს რათა მოაგვაროს ამბულატორიის ბიუროს მოწყობის საკითხი.

— **თათბირის მოწვევა.** თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროს პრეზიდიუმმა დაადგინა მოწვეულ იქნეს თათბირი.

— **განზრახულია.** ამხ. სერგო ორჯონიკიძის სახელობის კლუბის საზაფხულო მუშაობა შეწყდეს პირველ ოქტომბრისათვის.

ცემენტის ქარხანა

ცემენტის ქარხნის ასაგებათ უკვე დამთავრდა წინასწარი მუშაობა და ყოველგვარი მასალების შეკრება.

საბოლოოთ გამოკვლეულია სოფ. კავთისხევის ახლო ცემენტის ქარხნის ადგილი, ჩატარდა ამ ადგილას გეოდეზიური სამუშაონი და მოხდა ცემენტის დასამზადებელი ნედლი მასალის საბოლოო შემოწმება.

ამ დღეებში ს. მ. უ. ს.-ში გაიმართება სპეციალისტების თათბირი შეკრებულ მასალების განსახილველათ და საბოლოო ტეხნიკურ დასკვნების გამოსატანათ.

ს. მ. უ. ს. განზრახვა აქვს საჩქაროდ შეუდგეს ქარხნის აგებას, რომ ცემენტის ნაკლებობამ არ დააბრკოლოს სხვადასხვა საამშენებლო სამუშაონი.

ა.-კ. ფინსახკომში

გადასახადით დაიბეგრება

ა.-კ. ფინსახკომის განმარტებით ის კინო-თეატრები, რომლებიც აღებული არიან ა.-კ. ავიაქიმის მიერ, უნდა დაიბეგრონ გადასახადით.

მე-10 სერია

მიმ. წ. ოქტომბრიდან მოხდება მე-2 საგლეხო სესხის გათამაშება (ტირაჟი) ქალ. ნოვოსიბირსკში. ბილეთების მომთხოვნელთა დასაკმაყოფილებლად საბჭოთა კავშირის ფინსახკომი უშვებს უკანასკნელ მე-10 სერიას.

საკურორტო გადასახადები

ა.-კ. ფინსახკომმა განმარტება მისცა ყველა ფინინსპექტორებს იმის შესახებ, რომ სამკურნალო ადგილებში გაგზავნილი სახელმწიფო უწყება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები, რომლებიც არ ღებულობდენ დამოუკიდებელ ხელფასს, თავისუფლდებიან საკურორტო გადასახადებისაგან.

ლუდის ქარხანა

სახ. სპირტის ტრესტის კუთვნილი ლუდის ქარხანა (№ 6) გადავიდა თბ. აღმასკომის ზედამხედველობაში. ლუდის გავრცელების საქმემ უკანასკნელ წლებში თბილისში მიიღო მონოპოლიური ხასიათი: თბილისში ღვინოზე მეტი იხარჯება ლუდი, განსაკუთრებით ზაფხულობით. აღნიშნული ლუდის ქარხანა თითქმის ვერ უთავდებოდა ბაზრის მოთხოვნილებებს. საჭირო შეიქნა ქარხნის გაფართოვება და მისი ისე მოწყობა ყოველმხრივ, რომ ლუდი დამზადებულიყო საკმაო, საღი და იაფად. ლუდის ქარხანა, რომელიც აღმასკომმა ჩაიბარა, მოწყობილი იქნება ტეხნიკის უკანასკნელ მიღწევების მიხედვით. ამ მიზნით აღმასკომი გაიღებს 68.000 მან. მანქანების ნაწილი შეძენილი იქნება საზღვარგარეთ, ასე რომ მომავალ წლისათვის მოსალოდნელია ლუდის საკმაო დამზადებასთან ერთად, მისი გაიაფებაც.

სართიჭალის კოოპერატივი

სართიჭალის რაიონში არსებობდა თბილისის მუშათა კოოპერატივის განყოფილება, რომელიც ემსახურებოდა ამ რაიონის მოსახლეობას. ეხლა მუშკოოპის განყოფილება დაიკეტა და მის ნაცვლად დაარსდა მთლიანი სამომხმარებლო კოოპერატივი.

ახალი კოოპერატივის დაარსების გამო მოხდა მისი სახელმძღვანელო ორგანოების—გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 24 რწმუნებულმა; გამგეობაში არჩეულ იქნენ შემდეგი პირები: ამხ. შ. მათიკაშვილი (თავმჯდომარედ) კირიჩენკო (აქტიურ წევრად) და რაუტერი (პასიურ წევრად); კანდიდატებათ არჩეულ იქნენ ამხ. ბურთიკაშვილი და ზუკაკიშვილი. სარევიზიო კომისიაში აირჩიეს სამი კაცი, მათგან ერთი სართიჭალიდან, მეორე სოფ. ხაშმიდან და მესამე მულანლოდან.

ამავე დღეს მოხდა არჩევნები გამოყოფილ მერძევეთა არტელის გამგეობისა. გამგეობაში არჩეულ იქნენ თავმჯდომარედ ამხ. კირიჩენკო და შვიდი წევრი 71 სოფლიდან.

საკრედიტო ამხანაგობები

მთელი საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხ-ბების საერთო ქსელის თანხა ამა წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 253 მილიონ მანეთს.

თვითმპყრობელობის დროს ეს თანხა შეადგენდა უმნიშვნელო ციფრებს. ამჟამად კი საკრედიტო ამხ-ბები შეადგენენ სახელმწიფოს ერთ-ერთ საზრუნავ დაწესებულებებს, ვინაიდან მათი საშუალებებით ღარიბესი გლეხობა მტკიცეთ უკავშირდება მრეწველობებს და ამავე დროს ქმნის და აუმჯობესებს თავის მეურნეობასაც. ამ რიგათ საკრედიტო ამხ-ბების არსებობის წყარო გამომდინარეობს სახელმწიფოს საშუალებებიდან და მით სარგებლობენ გლეხების ფართე მასები. მიუხედავათ საკრედიტო ამხ-ბებისადმი სახელმწიფოს ასე დიდი ყურადღებისა, საკრედიტო ამხ-ბებმა ჯერ კიდევ ვერ შესძლეს თავიანთ მუშაობაში გლეხების უმრავლესობის ჩაბმა.

ამის გამო ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დაუგზავნა ცირკულიარები ცალკე რესპუბლიკების სას.-სამ. ბანკებს, რათა მიიღონ ენერგიული ზომები საკრედიტო ამხ.-ბების მნიშვნელობის ფართე მასისათვის გასაცნობათ და მათი ნდობის მოსაპოვებლად, ცირკულიარი აგრეთვე მიუთითებს, რომ საჭიროა საკრედიტო ამხ-ბების მუშაობის ადგილებზე გაფართოება და გაჯანსაღება.

ბირჟა

ხორცეულის სექციაში

თბილისის საქონლის ბირჟის ხორცეულთა სექციის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა სექციის ახალი დებულება.

ამასთანავე გაირჩა საკითხი ხორცის ბაზრის შესახებ. სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში ფასებს ხორცის ბაზარზე ხშირი მერყეობა ეტყობა. ამის გამო კოოპერატივების წარმომადგენლებმა მოითხოვეს ისეთი ელასტიური აპარატის შექმნა, რომელიც შესძლებს ხორცზე მტკიცე ფასების ჩამოყალიბებას.

ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ ეხლა არსებული წესი შინავაჭრობის კომისარიატის მიერ ხორცზე ფასების დაწესებისა, ხშირად ისეთ მდგომარეობას ჰქმნის, რომ კოოპერატიულ სავაჭროებში უფრო მეტი ღირს ხორცი, ვიდრე კერძო ბაზარზე, რაც ბუნებრივად სახელს უტეხს კოოპერაციას მომხმარებელთა თვალში.

ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად, სექციამ ითათბირა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სთხოვოს შინავაჭრობის კომისარიატს ხორცზე ფასების დაწესების საქმე გადასცეს ბირჟის ხორცეულის სექციას, რომელიც მის ტეხნიკურ ღონისძიებებს გაატარებს ცხოვრებაში ბირჟის ხორცის მაკლერების საშუალებით. ისინი ყოველდღიურად გამოარკვევენ ხორცის თვითღირებულებას, ხოლო ამის თანახმად სექციის ბიურო პერიოდულად დააწესებს ფასებს ხორცზე. ამასთანავე იგი ფასებს აცნობებს დაინტერესებულ ორგანიზაციებს და პირებს.

სექციების სხდომები

დღეს, 8 სექტემბერს 2 საათზე შესდგება ნედლეულთა სექციის სხდომა. 9 სექტემბერს 2 საათზე საპროდუქტო სექციის სხდომა და 10 სექტემბერს 2 საათზე სამრეწველო სექციის სხდომა.

გადასახადები

ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობით, 1 აგვისტოსათვის შემოვიდა ა.-კ. რესპუბლიკებიდან აკრეფილი სასოფლო სამეურნეო გადასახადები 4.693.450 მანეთის რაოდენობით. ასე რომ სულ შეკრეფილია მთელი გადასახადების 90 პროცენტი. ცალკე რესპუბლიკათა შორის აკრეფის პროცენტი შემდეგნაირ სურათს იძლევა: საქართველოში აკრეფილია მთელი გადასახადების 91 პროც., აზერბეიჯანში—90 პროც., სომხეთში კი 89 პროც.

დარჩენილი აუკრეფელი გადასახადები გადარიცხულია 1926—27 წლის ნარჩენებში. მიუხედავათ ამისა მიღებულია ზომები მის სასწრაფოდ სალიკვიდაციოთ.

ნარჩენების ლიკვიდაციას ხელს უშლის ის გარემოება, რომ გადამხდელები ამჟამად ეწევიან უმთავრესად მუშაობას მოსავლის შესანახად. ამას გარდა ნარჩენები გამოწვეულია გადასახადების ზედმეტი დატვირთვით. ნარჩენების ლიკვიდაცია უნდა დასრულდეს მომავალი წლის 1-ლ იანვრამდე.

პროფკავშირებში

უმუშევრობა საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირში

ამ წერილში ჩვენ გვსურს შევჩერდეთ, თუ როგორია მდგომარეობა უმუშევრობისა ჩვენ კავშირში.

უმუშევრობის მდგომარეობას გვაძლევს შემდეგი სურათი: რესპუბლიკის მასშტაბით ჩვენ გვყავდა კავშირის წევრნი—უმუშევარნი 1 ოქტ. 1925 წ.—3090 კაცი, რომლიდან 2260—მამაკაცი, 793—დედაკაცი და მოზარდნი 18 წლამდე ორივე სქესის—37.

ამა წლის 1 ივნისისათვის საერთო რიცხვი უმუშევრების რესპუბლიკის მასშტაბით უდრის 4061 (ე. ი. 8 თვის განმავლობაში იგი გაიზარდა 31,4%) მამაკაცები—3007 (ე. ი. გაზრდა, ამ ჯგუფის მიხედვით ჩვენ გვაქვს შედარებით წინა წლის ოქტომბრის თვესთან 33,1%.) დედაკაცები—1002 (ე. ი. უფრო მეტი წარსულ წელთან შედარებით 26,4%-ით;) მოზარდნი კი ორივე სქესის 18 წლამდე—52 (ე. ი. მომატებულია 4,5%-ით).

ქალაქ ტფილისის და მისი მაზრის მიხედვით სტატისტიკურ სწორი ცნობებით ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი:

წარსულ წლის 1 ოქტომბერში სულ იყო 2000 კაცი, მათ შორის მამაკაცები—1367, დედაკაცები—605, მოზარდები ორივე სქესის—28.

ა.-წ. 1 ივლისისათვის უმუშევრების რიცხვი არის—2780 (ე. ი. მომატებულია 39%). მათ შორის მამაკაცები არის—1929 (მომატებია შედარებით წარსულ წელთან 41,1%-ით;) ქალები—811, (ამ ჯგუფის მიხედვით მომატება გვაქვს—34%-ით) მოზარდნი 18 წლამდე—40, (მომატებულია 42,9%). აი ნათელი სურათი უმუშევრობის მდგომარეობისა საქართველოს საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირში.

ჩვენი მრეწველობა იზრდება და მასთან ერთად იზრდება ჩვენი სავაჭრო აპარატიც, რომელსაც აერთიანებს საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირი. ეს გარემოება კი ხელს უნდა უწყობდეს უმუშევრობის შემცირებას, მაგრამ, ჩვენ ვხედავთ წინააღმდეგ მოვლენას, სახელდობრ უმუშევრობის ზრდას უკანასკნელ 8 თვის განმავლობაში—31,4%-ით. ამ სამწუხარო მოვლენის შეჩერება [illegible], უნდა მოვძებნოთ მთავარი მიზეზები, რომლებიც უმუშევრობის ზრდას ხელს უწყობს, გამოვიყვანოთ შესაფერი დასკვნა აქედან და ვიბრძოლოთ განსაკუთრებული ხაზით უმუშევრობის შესამცირებლად.

უკანასკნელ პლენუმზე ც.-კ. ჩვენი კავშირისა ჩვენ მიუთითებდით შემდეგ მთავარ მიზეზებზე, რომელიც ხელს უწყობს უმუშევრობის ზრდას:

1. უმუშევრობა უმთავრესად არ კლებულობს იმიტომ, რომ ჩვენი უმუშევრები,—კავშირის წევრები, არიან დაბალი კვალიფიკაციის და თუ მართლა ჩვენ ავიღებთ და გადავხედავთ ჩვენ უმუშევრების შემადგენლობას, ჩვენ ვნახავთ, რომ უმუშევრობის 83% შემადგენლობის მიუღია კვალიფიკაცია რევოლიუციის პერიოდში—უმეტესად 1921 წლიდან: და მხოლოდ 17% მუშაობდა დაქირავებით რევოლიუციამდე;

2. რადგანაც უმუშევრობის შემადგენლობაში არ იყვნენ კვალიფიციური მუშები, ამიტომ გაფართოება სავაჭრო ორგანიზაციების ქსელისა ხდებოდა სხვა კავშირის წევრების ანგარიშზე; იწვევდენ სხვა კავშირის წევრებს, ერთი მხრივ—(ბუღალტრები, მოანგარიშეები, მემანქანები და სხვა) და აგრეთვე არა კავშირის წევრებს ყოფ. ვაჭრებიდან (საქონლის, მანუფაქტურის, საბაყალო, მოხელეები და სხვა);

3. უმუშევრობის ზრდაზე საგრძნობლად იმოქმედა მუშათა და გლეხთა მილიციის შემადგენლობის მერყეობამ, რადგანაც მათი, როგორც დათხოვა, ისე მიღებაზე არ ვრცელდება შრომის კანონთა კოდექსი და კოლექტიური ხელშეკრულებანი;

4. წითელ არმიელების უმუშევართა რიცხვს ადიდებდა დემობილიზაცია, რომელნიც ითვლებიან კავშირის წევრებად მობილიზაციის მომენტში;

5. მიღება კავშირში სტუდენტ-სტიპენდიანტებისა და იმ პირების, რომლებიც იყვნენ მივლინებულნი სათანადო სასწავლებლებში, პარტიის და პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ;

6. ადგილკომების მხრივ სუსტი კონტროლი კოლექტიურ ხელშეკრულების პუნქტების, რომელიც ეხება მიღებას პირველ რიგში პროფესიონალურ კავშირის წევრებისა. მთელი 100% ცხოვრებაში გასატარებლად.

ამ მიმართულებით ჩვენ გვაქვს მრავალ სამეურნეო დაწესებულებებისაგან შეტევა, გვაქვს დარღვევა კოლექტიურ ხელშეკრულებების, რაც აუცილებლად არის მიზეზი უმუშევრობის სტაბილიზაციისა და ზრდისა.

აი ეს არის მთავარი მიზეზები უმუშევრობის გადიდების საქართველოს საბჭოთა და სავაჭროთა მუშაკების კავშირში.

ნ. ღლონტი.

ალიანსი

12-დან 16 ოქტომბრამდე ჰამბურგში (გერმანია) შესდგება საერთაშორისო კოოპერატიულ ალიანსის ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

სხდომაზე მთავარ საკითხებად დასმულია: ალიანსის წესდების შეცვლა, მომავალი საერთაშორისო კოოპერატიული პოლიტიკა და კოოპერაციის მდგომარეობა იტალიაში. უკანასკნელი საკითხის დასმა გამოწვეულია იტალიის ფაშისტების მიერ იქაურ კოოპერაციის დარბევით.

სხდომაზე მიწვეულია ალიანსის ალმასკომის წევრი, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **მალაქია ტოროშელიძე.**

◆

„მწყემსი“

ძეხვის ქარხანა

საზ. „მწყემსი“-ს თბილისის გამსაღებელმა მოაწყო და 10 სექტემბრიდან დაიწყებს მუშაობას ძეხვის ქარხანა. აღნიშნულ ქარხანაში ყოველდღიურად დამზადდება 25 ფუთი ძეხვი.

ხორცი

სექტემბრის თვეში მოსალოდნელია ხორცის სანოვაგის გაზრდა თბილისის ბაზარზე. საზ. „მწყემსი“-ს გამსაღებელი პუნქტი 9 სექტემბრიდან მიიღებს დასაკლავ საქონელის დიდ რაოდენობა.

◆

ახალი წისქვილი

ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად, გაიზარდა მოთხოვნილება ხორბლის საფქვავ წისქვილებზეც. არსებული წისქვილები, რომლებიც მუშაობენ მტკვრის საშუალებით და რომლებიც ეკუთვნიან ალმასკომს, ვერ უთავდებიან საფქვავებს, თუმცა ისინი დღე-ღამე შეუჩერებლად მუშაობენ.

ამიტომ დაიბადა საკითხი თბილისში ახალი, მძლავრი ელექტრო-წისქვილის აგების შესახებ. თბ. ალმასკომის საგეგმო კომისიამ უკვე შეიმუშავა პროექტი წისქვილის ასაგებად. პროექტი განხილული იქნება ამ დღეებში და მისი დამტკიცების შემდეგ შეუდგებიან წისქვილის აგების საქმეს.

◆

ქაღალდის ქარხანა

ს. მ. უ. ს. სატეხნიკო განყოფილებამ უკვე დაასრულა წინასწარი ლაბორატორიული მუშაობა ენგურზე ქაღალდის ქარხნის ასაგებათ.

უმთავრეს ტეხნიკურ დაბრკოლებას ქაღალდის ქარხნის ასაგებათ საქართველოში წარმოადგენს ჩვენი მდინარეების ქიმიური შემადგენლობა. ავტორიტეტულ ტეხნიკურ ძალების მოწმობით, ყველაზე უფრო შესაფერისია ქაღალდის მრეწველობისათვის მდ. ენგური.

ლაბორატორიულმა გამოკვლევებმა, რომელსაც აწარმოებდა ქიმიკოსი ტატიშვილი დაამტკიცა, რომ ენგურიც არ არის შესაფერისი მდინარე და მასში ურევია დასაშვებ რაოდენობაზე მეტი რკინა. რკინა ნარევი წყალი კი უვარგისია. ანალიზმა გამოარკვია, რომ ყოველ ლიტრ წყალში არის დაახლოებით 2 მილიგრამი რკინა.

ამჟამად სამთო ქიმიურ ლაბორატორიაში სწარმოებს შესაფერისი მუშაობა ენგურის ქიმიურად გასაწმენდი საშუალებების აღმოსაჩენათ.

ლაბორატორიულის წესით მოხერხდა რკინის რაოდენობის მხოლოთ ნახევრად შემცირება, რაც მაინც არაა საკმარისი.

◆

ჯილდო

საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს და ცენტრალურ აღმასრულებელ მთელ საბჭოთა კავშირში სწარმოებს საუკეთესო მეურნეობების გამოკვლევა. საქართველოში საუკეთესო მეურნეოლია 24.000 მანეთი.

ამჟამად საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო სამმართველომ საქართველოს რესპუბლიკი ყველა აგრონომიულ ორგანიზაციებს დაუგზავნა ცირკულიარული განკარგულება, რომ მათ დაჩქარებით ჩაატარონ წინასწარი მუშაობა საუკეთესო მეურნეობისათვის ჯილდოების დასარიგებლად. ამ წინასწარ მუშაობი შემდეგ მეურნეებს დაურიგდებათ შესაფერი ჯილდო.

ქრონიკა

თბილისის ალმასკომში

— **ზაჰესის** ამუშავების პირველ ხანებში მცხეთის რაიონი განათებული იქნება ქსანამდე გორის მიმართულებით.

— **საქონლის აღრიცხვა.** თბ. ალმასკომის სტატისტიკურ განყოფილებას თბილისში შემონაზიდ საქონლის ასარიცხავად მოწყობილი აქვს 5 პუნქტი ქალაქის სხვადასხვა რაიონში.

— **მომჭირნეობის რეჟიმთან** დაკავშირებით, ჯანმრთელობის განყოფილებამ წლის დამლევამდე ხარჯები შეამცირა 14 ათას მანეთით.

— **საბინაო გადასახადის** ჩასატარებელ ხარჯებისთვის ალმასკომმა გადასდო 8.296 მან.

— **პოლიტგანათლების** ქვეგანყოფილებას განზრახული აქვს შემოდგომაზე თბილისში გახსნას მაღალი ტიპის პოლიტსკოლა.

— **სკოლების განათება.** ალმასკომი შეუდგა მზადებას ზაჰესის ენერგიით სკოლების გასანათებლად.

— **ჯანმრთელობის განყოფილებასთან** დაარსდა სოციალურ სნეულებასთან მებრძოლი ქვეგანყოფილება.

თბილისის საფონდო ბირჟაში

— **საფონდო ბირჟის კომიტეტის** თავმჯდომარის ქ. ჩხენკელის შვებულებაში წასვლის გამო, მისი მოვალეობის შესრულება დაეკისრა ვ. კანდელაკს.

— **ა.-კ. საფონდო საბჭოში** თბ. საფონდო ბირჟის წარმომადგენლად დაინიშნა ამხ. ჩხენკელი.

— **ფოთში** იხსნება თბ. საფონდო ბირჟის განყოფილება.

— **საფონდო ბირჟის** შემდეგ სხდომაზე საქ. საბამბო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ტილიტი გააკეთებს მოხსენებას საქართველოში ბამბის მეურნეობის შესახებ.

სას. სამ. ბანკში

— **პირველი ტრაქტორი.** სას.-სამ. ბანკის ცნობით, სოფ. ახალშენში ტრაქტორის შესაძენათ დაარსდა ამხ.-ბა. ეს იქნება პირველი ტრაქტორი მაზრაში.

— **სასოფლო-სამ. ბანკის** ინიციატივით ქავთარლის და აჯი-ხალილის საკრედიტო ამხანაგობები გაერთიანდენ.

— **თესლი.** სას.- სამ. ბანკის ცნობით, აბრეშუმის თესლის დამზადება წარმატებით მიმდინარეობს.

— **კრამიტის ქარხანა.** ონის საკრედიტო ამხ.-ბა სას.-სამ. ბანკის ცნობით, შეუდგა კრამიტის ქარხნის აგებას.

— **სესხი.** სას.-სამ. ბანკის ქუთაისის განყოფილებამ ონის საკრედიტო ამხ.-ბას მისცა სესხად 3.500 მან.

— **თხილის დამზადება.** საქ. სას.-სამ. ბანკს ა.-კ. სას.-სამ. ბანკს სესხად მისცა 60,000 მანეთის თხილის დასამზადებლად.

— **მთელ დასავლეთ საქართველოში** საკრედიტო ამხანაგობები შეუდგენ ვადა გასულ სესხების უკან დაბრუნებას.

ექიმთა ყრილობა

— ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭომ ნება დართო ა.-კ. რკინისგზის ჯანმრთელობის სამმართველოს მოიწვიოს მომავალი 1926—27 საოპერაციო წელში საგზაო ექიმთა ყრილობა. ყრილობაში მონაწილეობას მიიღებენ უბნის, სანიტარული, მალარიის და კბილის ექიმები.

შემთხვევები

თვითმკვლელობა

გუშინ, ნაშუადღევის 5 საათზე, კომუნარების ბაღში დანით თავი მოიკლა ალექსანდრე მონიავამ. თვითმკვლელმა დასტოვა წერილი, რომელშიაც ნაქვამია, რომ მას მობეზრდა ცხოვრება. სწარმოებს კვლევა-ძიება.

— **ჯიბგირის შეპყრობა.** 5 სექტ. შეიპყრეს ჯიბგირი კარაპეტ სიმონოვი, რომელმაც მოქ. ფილიშვილს ტრამვაიში ამოართვა ფული.

— **მეეზოვე ყაზარიანცი.** 6 სექტ. პლეხანოვის პრ. № 116, შეიპყრეს ქურდი მეეზოვე ლ. ყაზარიანცი.

— **კაზინოში.** 5 სექტ. გაქურდეს კაზინო № 2, ქურდი ჰეიშვილი შეპყრობილია.

— **მსხვილი ქურდობა.** 6 სექტ. კოჯორში მოქ. როსტომ ვექილოვს მოპარეს 400 მან. ნივთები. ქურდი შეიპყრეს.

— **ქურდი ქალი.** 6 სექტემბერს გაქურდეს მოქ. ეგიმოვის ბინა. ქურდი ქალი მარ. დანელია შეიპყრეს.

— **ქურდობა.** 6 სექტ. საბაეოს ქ. № 6 გაქურდეს გრ. კვირიკაშვილის გასტრონომიული მაღაზია.

— ამავე დღეს 19 თებერვლის ქ. № 5 მამედ აბდულ ოღლის დუქნიდან მოიპარეს 150 მან. საქონელი.

— ამავე დღეს ჩერქეზიშვ. ქ. № 53 გაქურდეს აკოფ სარქისიანცის ბინა.

— ღია კარებიდან შესვლის საშუალებით გაქურდეს გალაქტიონ წიქორიძის ბინა (ელიზაბედის ქ. № 32).

— 3 სექტ. თუმანოვის ქუჩაზე პეტრე ბიზინაშვილს ამოაცალეს 50 მან.

— ამავე დღეს ნინოშვილის ქ. № 48 გაქურდეს დიმიტრი ლეკვიშვილის ბინა. წაიღეს 70 მან. ნივთები.

— **ხულიგანი-ფარმაცევტი.** გუშინწინ, სადამოს 6 ნახ საათზე პლეხანოვის პრ. № 151 მცხოვრებ ფარმაცევტი **აკაკი ყახაბაშვილი** ღვინით გალეშილი შეუვარდა სახლში თავის მეზობელს გ. სოლოლაშვილს და სცემა. დაზარალებული მეზობლებმა გადაარჩინეს ხულიგანის ხელიდან.

— **თითის მოჭრა.** 6 სექტემბერს უცაბედათ გადაიჭრა თითი ცხაკაიას ქ. № 3-ში მცხოვრებ ჰასან ისლამოვმა.

— **თევზით მოწამვლა.** გუშინ სადილობისას თევზის ჭამით მოიწამლა მოქ. ნიკოლოზ კასაროვი, რომელიც გადარჩა.

— **მატარებლის შედგენისთვის.** სად. თბილისის მოძრაობის დარგის საწარმოო თათბირმა დაადგინა მატარებლების შესადგენად გამოყოფილ იქნას მეთერთმეტე და მეთორმეტე ლიანდაგი.

ხელოვნება

პროფსაბჭოს განმარტება

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში შემოვიდა სახელმწიფო ოპერის ორკესტრანტების ერთი ჯგუფის განცხადება, რომელშიდაც ხელოვნების მუშაკთა კავშირს და კერძოთ ამ კავშირის ხელმძღვანელს ამხ. ს. ქურიძეს ბრალს სდებდენ კავშირის საქმეებში ეროვნულ-შოვინისტური თვალსაზრისით ხელმძღვანელობას, ინტერნაციონალური ხაზის დავიწყებას და ქართველ - შოვინისტ ხელოვანთა გავლენის ქვეშ მოქცევას.

გაეცნო რა ამ საკითხის გარშემო ხელოვნების მუშაკთა კავშირის და ორკესტრანტების მიერ წარმოდგენილ მასალებს და აგრეთვე საგანგებოთ გამოყოფილ კომისიის დასკვნას, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ბრალდებები უსაფუძვლოა, ნიადაგს მოკლებულია და ფაქტები ტენდენციურათაა შეთხზული.

პრეზიდიუმი თავის დადგენილებაში ამ საკითხის შესახებ აღნიშნავს, რომ კავშირის გამგეობის მიერ აღებული მუშაობის ხაზი ეროვნულ საკითხში სავსებით ეყრდნობა პროფკავშირების და პარტიის ეროვნულ პოლიტიკას და თავისუფალია ყოველივე შოვინისტური ჯგუფების ზეგავლენიდან, რა ეროვნებას არ უნდა ეკუთვნოდენ ისინი.

ამასთანავე პრეზიდიუმი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ დღემდე ორკესტრის მუშაკთა შორის გამეფებულია ცეხური მიდრეკილება, რის წინააღმდეგ ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ უნდა მიიღოს შესაფერი ზომები.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის აზრით: ქართულ მუსიკალურ საზოგადოების ორკესტრის მთელი შემადგენლობის კავშირში წევრებად ჩარიცხვა სრულიად სამართლიანია, ვინაიდან ორკესტრის ყველა მონაწილენი ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდენ დაქირავებული შრომით სახელოვნო დაწესებულებებში და ზოგი მათგანი ირიცხებოდა სხვა კავშირების რიგებში.

კავშირის და სამუშაოლო ბიუროს მიერ ქართულ ორკესტრის გამოფენაზე სამუშაოთ გაგზავნა მოხდა სრულიათ კანონიერად. ამ შემთხვევაში ქართულ ორკესტრის მიერ არავითარ შტრეიკბრეხერობას ადგილი არ ქონია, ამასთანავე კავშირის მოქმედებაც სრულიად სწორეა, ვინაიდან ქართულ ორკესტრის გამოფენაზე გაგზავნასთან ერთად ოპერის თეატრის ორკესტრი გაიგზავნა უფრო ხანგრძლივ და უკეთეს პირობებში სამუშაოთ მუშათა კლუბებში.

კავშირის მე-5-ე ყრილობის შემდეგ კავშირის მიერ გარდა მოსკოვის სამხატვრო თეატრისა, ნებართვა ორშაბათს წარმოდგენის დადგმისა არავის არ მიუღია. გამონაკლისი სამხატვრო თეატრისათვის იქნა დაშვებული მათ მიერ კავშირის უმუშევართა ფონდში 1.000 მ. შეტანის შემდეგ, რაც პრეზიდიუმს კავშირში დიდი უმუშევრობის გამო სრულიად დასაშვებლად მიაჩნია.

არავითარი საერთო წესის დარღვევის და უსაფუძვლო გამონაკლისის დაშვებას ვისმესათვის საწევრო ანარიცხების გადახდაში ადგილი არ ქონია. მეტადრე არ ქონია ადგილი ეროვნული თვალსაზრისით მიდგომას.

ამასთანავე პროფსაბჭოს პრეზიდიუმს შეცდომათ მიაჩნია კავშირის ცენტრალურ გამგეობის სატარიფო განყოფილების და სამუშაოლო ბიუროს მიერ ხელშეკრულების დადება ისე, რომ არც ერთხელ ამის შესახებ ოფიციალურათ არ ეცნობა კავშირის ცენტრალურ გამგეობას და დაინტერესებულ ორკესტრანტების ჯგუფს, თუმცა როგორც ერთმა, ისე მეორეებმა იცოდენ საქმის ვითარება და გამოფენის კ-ტთან მოლაპარაკების მსვლელობა.

ხელოვნების ქრონიკა

— **მომღერალი სანდრო ინაშვილი** მიწვეულია ერევანში ორ სიმფონიურ კონცერტის ჩასატარებლად, სადაც ამ დღეებში გაემგზავრება. შემდეგ ინაშვილი ჩაატარებს ორ სიმფონიურ კონცერტს ქ. ბაქოში.

— **წითელ არმიის და ფლოტის სახლში** 7—8 სექტ. გაიმართება მუსოგურსკის სახელობის კვარტეტის კონცერტი.

— **სანდრო ინაშვილი** მომავალ სეზონში საგასტროლოთ მიწვეულია მოსკოვის სახელმწიფო ოპერაში.

— **ბიმ-ბომის** გასტროლები ოპერის თეატრებში გაიმართება 11 და 12 სექტ.

— **კინო „აპოლოში“.** დაიწყო „შახ და მატის“ ჩვენება.

— **„თეთრი საყელო“.** ქ. ჩერნიავსკიმ და კულებიავინმა რუსულად გადათარგმნეს მიხ. ჯავახიშვილის რომანი „თეთრი საყელო“.

— **სახელმწიფო სახალხო მუსიკალურ** სასწავლებლებში შესასვლელი განცხადებები მიიღება 10 სექტემბრამდე, რის შემდეგ დაიწყება მისაღები გამოცდები, სწავლა—15 სექტ.

— **სახელმწიფო ოპერის** სეზონი გაიხსნება ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

— **„ამირანი“.** ოპერის მომავალ სეზონში დაიდგმება მელვინეთ-უხუცესის ახალი ოპერა „ამირანი“.

— **„ხანუმას“** გადაღება ლენტზე დამთავრდა. ახლო ხანში შეუდგებიან მონტაჟს.

„სახალხო ბიბლიოთეკა“

სახელმწიფო გამომცემლობამ გადასწყვიტა წიგნის მასაში გავრცელებისა და ღარიბ მკითხველისათვის ხელმისაწვდომათ, გამოსცეს ჩვენი მწერლების ნაწარმოებნი პატარა წიგნაკებათ: „სახალხო ბიბლიოთეკის“ სახელწოდებით.

პირველ რიგში გამოიცემა: **აკაკის**— „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, „ბაგრატ დიდი“, „გამზრდელი“ „ნაცარქექია“ და სხვ.

ვაჟა ფშაველა: „ბახტრიონი“, „ალუდა ქეთელაური“, „გველის მჭამელი“, „სტუმარ-მასპინძელი“ და სხვ.

ლომაური: „ალი“ და „ქაჯანა. წიგნაკები ღირს თითო აბაზი. დასახელებულ წიგნაკებიდან ნაწილი უკვე გამოსულია.

ამგვარივე წიგნაკების სახით გამოცემული იქნება „თანამედროვე მწერლები“.

◆

თვალსაჩინო ინსტიტუტი

დამთავრდა თვალსაჩინო სასწავლო ნივთების დამამზადებელი ინსტიტუტის რეორგანიზაცია. ინსტიტუტს ჩამოშორდა ყველა ის დარგები, (მაგ. ავეჯეულობის დამზადება და სხვ.) რომლებიც არ იყვნენ ინსტიტუტის მიზნებთან უშუალოდ დაკავშირებული. ინსტიტუტს დარჩა მხოლოდ პედაგოგიური საგნების დამზადების სფერო (როგორიცაა ფიზიკური და ქიმიური კაბინეტების მოწყობა და სხვა სასკოლო საგნების დამზადება). რეორგანიზაციასთან დაკავშირებით, განზრახულია ინსტიტუტის ფართო სამრეწველო ნიადაგზე დაყენება, რათა მან შეს ძლოს არა მარტო თბილისის და მისი მაზრის არამედ მთელი რესპუბლიკის სკოლების მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამ მიზნით ალმასკომის პრეზიდიუმიდან გამოყოფილი იქნა 41.000 რომლითაც ინსტიტუტის სახელოსნოები მოწყობილი იქნება საჭირო მანქანა-იარაღებით და ნედლი მასალით.

◆

რკინის გზეზე

ორთქლმავალის გაფუჭება

6 ენკენისთვეს სანდარა-შულავერის შუა მე-47 კილომეტრზე გაფუჭდა ორთქლმავალი მატ. № 407-ს. მატარებლის შემადგენლობა ჩაიყვანეს შულავერში ორ ნაწილად იქ არსებულ მუშა მატარებლის ორთქლმავლით.

ამ შემთხვევის გამო, მოძრაობა ხაზზე შესწყდა 1 საათით და 40 წუთით და მატ. № 61 დაკავებული იქნა სანდარაში 1 საათით და 32 წუთით.

გაფუჭებული ორთქლმავალი დააბრუნეს უკან თავის საყუდში და მის ნაცვლად თბილისიდან გაგზავნილ იქნა სხვა.

8 ცისტერნის გადავარდნა

6 ენკენისთვეს საღამოს 12 საათზე და 10 წუთზე სადგურ რუსთაველში მესამე ხაზიდან მატ. № 330-ს გამოსვლის დროს, მის შემადგენლობიდან ლიანდაგს ასცდა ყველა რვა კანადური ცისტერნა.

ამ შემთხვევამ გამოიწვია ხაზის დაკეტვა. დამხმარე მატარებელი გაგზავნილ იქნა თბილისიდან 2 საათზე.

ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა; სადგურ გარდაბანში დაკავებულ იქნა მატ. № 13.

მოძრაობა აღდგენილ იქნა საღამოს 9 საათზე და 50 წუთზე.

— **„თავისუფალი გზა“.** თბილისის რკინისგზის დეპოს კულტკომისია უშვებს კედლის გაზეთს **„თავისუფალი გზა“**-ს სახელწოდებით.

— **შეშა-მუშებისათვის.** ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირი აწარმოებს მოლაპარაკებას რკინისგზის სამმართველოსთან, რათა მუშებს შეშა ნისიათ მიეცეს.

◆

სასამართლო

დ. შელიას საქმე.

გუშინ საქართველოს უზენაეს სასამართლოში ამხ. **ბედიას** თავმჯდომარეობით და პროკურორ **გაბუნიას** მონაწილეობით გაირჩა საკასაციო საჩივარი დიმიტრი შელიას საქმეზე.

შელიას დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ 28.000 მანეთის გაფლანგვისათვის მისჯილი ჰქონდა უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

შელიამ აღნიშნული თანხა გაფლანგა ლაის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის გამგეთ ყოფნის დროს.

4 საათის თათბირის შემდეგ, სასამართლომ დაადგინა—დიმიტრი შელიას საკასაციო საჩივარი დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს განაჩენზე დატოვებულ იქნას უშედეგოთ და მასზე მისჯილი უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა დამტკიცებულ იქნას.

კოოპერატიული ფულის გაფლანგვა

დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ **სიმონ ტყეშელაშვილს** მიუსაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით.

ტყეშელაშვილს ბრალი ედებოდა 1.344 მან. 94 კაპ. მითვისებასა და გაფლანგვაში ზედამაღლაკის (ქუთაისის მაზრა) მუშკოოპის ნოქრათ ყოფნის დროს.

მსჯავრდადებულმა საკასაციო საჩივარი შეიტანა უზენაეს სასამართლოში.

მეცნიერება და ტეხნიკა

სითბოს ახალი წყარო

იმ საკითხების შორის, რომელიც მეცნიერების ყურადღებას იპყრობენ, აღსანიშნავია ატომების დაშლა. თუ მეცნიერებამ ამ ამოცანის გადაჭრა მოახერხა, განთავისუფლებული იქნება აურაცხელი ენერგია, რომელსაც ნივთიერება შეიცავს. მეცნიერების მუშაკთა აზრით, ატომის დაშლა, თეორეტიულად, სავსებით შესაძლებელია. ატომის დაშლა შეიძლება მძლავრი ელექტრონული დენის საშუალებით. მაგრამ პრაქტიკულად ამოცანის ბოლომდი მიყვანას ხელს უშლის წმინდა გარეგნული მიზეზები: ელექტრონული ენერგიის მარაგის სიმცირე. დაახლოებითი გამოანგარიშებით, ატომის დასაშლელად საჭიროა 5 მილიონი ვოლტის ძინის დენი. ახლა არსებული წესებით კი შესაძლებელია, მაქსიმუმი, ერთი მილიონი ვოლტ. ძინის მიღება. ასეთი ძინის პირობებში შედეგი უმნიშვნელო იქნება ატომის დაშლის პროცესი არ იქნება განუწყვეტელი.

ერთი გერმანელ ინჟინერის მიერ სითბოს განუსაზღვრელი რაოდენობის მისაღებათ გამოგონებული მოწყობილობა გვაახლოებს ჩვენ ატომის დაშლის იდეის განხორციელებასთან. გერმანელ ინჟინერის მიერ შემუშავებული წესი ემყარება ტიტანისა და მის მონათესავე ელემენტების თვისებაზე—1.700 გრ. გახურების შემდეგ თავისთავად ვანაგრძონ დაშლის პროცესი, რომლის დროს სითბოს დიდ რაოდენობას გამოჰყოფენ.

რატომ შეჩერდა გამომგონებელი სწორედ ტიტანზე?

იმიტომ, რომ ტიტანი დედამიწის მაგვარ ქერქში გაცილებით ხშირად გვხვდება, ვიდრე ისეთი ელემენტები, როგორიცაა არის რკინა, ნახშირი, ფოსფორი, გოგირდი, აზოტი. ტიტანი რკინის მადანის განუყრელი თანამგზავრია.

ამ წესის გამოყენება მრეწველობის საჭიროებისათვის მდგომარეობს იმაში, რომ ტიტანის მადანის განსაზღვრულ რაოდენობას ახურებენ 1.700 გრადუსამდე (ცელსიუსით) ელექტრონის ფეჩში. ამავე ფეჩში ვენტილიატორი (V) იდენება ჰაერის, რომელიც ხურდება და მილით (T) გადადის ორთქლის ქვაბში (C), შემდეგ კი ჩვეულებრივი ტიპის ორთქლის მანქანებში ან ტურბინებში. სათბობი მასალის მაგიერობას ასრულებს ტიტანის ატომების დაშლა.

იურიდიული რჩევა დარიგება

ამინაზღაურდება თუ არა ზარალი?

კითხვა

ვცხოვრობ სოფელ ხარაგოულში (შორაპნის მაზრა), ვსახლობ შარა-გზის პირას. ამ გზის გასწვრივ, დაახლოვებით ასი საჟენის მანძილზე, მდებარეობს ჩემი ადგილი (ბოსტანი, ვენახი და საყანე). მამული გზის მხრიდან შემოფარგლული იყო მწკრივათ გაშენებულ რგულებით, რომლებზედაც გავლებული მქონდა ეკლიანი მავთული. ეს ღობე იცავდა როგორც ვენახს და ყანას, ისე ეზოს, ბაღს და საერთოდ მთელ მეურნეობას გზის მხრიდან.

თემის ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაადგინა—შეკეთების მიზნით გზა გაეფართოებია 3—4 არშინით ჩემი ადგილის ხარჯზე. გზა, რამდენიმე წელიწადია, არ შეკეთებულა და იმყოფება გვერდზე ჩამომდინარე ღელის მუდმივ მოქმედების ქვეშ. ამის გამო გზის ნაპირი ირეცხება და გზა ვიწროვდება.

დადგენილების ასრულებას შეუდგენ წინასწარ გაუფრთხილებლათ. თხოვნა, რომ ერთი კვირა ედროებიათ, რათა საკუთარი ძალით სალობავი სათანადო ადგილას გადაგვეტანა, უარყოფილი იქნა, და გზის მუშების მიერ იქნა აჩეხილი რგულები, ვენახი, დაწყვეტილი ეკლიანი მავთული და რამდენიმე დღის განმავლობაში მეურნეობა გზის მხრიდან კარ გაღებული დარჩა.

კანონიერია ასეთი მოქმედება, თუ არა; უნდა მოეცათ თუ არა ვადა და გავრცელდება თუ არა ამ შემთხვევაში მიწის კოდექსის პირველი ნაწილის მე-20 მუხლი?

პ. გ. დევდარიანი.

პასუხი

როცა მიწის მოსარგებლეებს არსებულ წესისამებრ ჩამოერთმევა სახელმწიფო ან საზოგადო მიწის ისეთი ნაწილი, ურომლისოდაც გაძნელდება, ან მიზანშეუწონელი გახდება დარჩენილი მიწის სარგებლობა, ასეთ შემთხვევაში მიწის მოსარგებლეს (ამ შემთხვევაში თქვენ) უნდა მიეცეს სხვა ბადალი მიწა და აუნაზღაურდეს (მიყენებული) ზარალი.

(იხ. მიწის კოდექსი მუხ. 20).

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 39

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სისხლის სამ. კოდ. 30 მუხ. რედაქციის შეცვლისა, ამავე კოდექსის 28 და 30 მუხლისათვის შენიშვნების დამატებისა და სამხედრო დანაშაულთა დებულების ზოგიერთ მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ.

თანახმად სსრკ ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს 196 წლის თებერვლის 19-ის დადგენილებისა — სამხედრო დანაშაულთა დებულების 1 მუხ. შევსების შესახებ და იმავე წლის მარტის 5-ის დადგენილებისა სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითად საფუძველთა მე-18 და 19 მუხლისა, აგრეთვე სამხედრო დანაშაულთა დებულების მე-4,6 და 11 მუხ. შევსებისა და შეცვლის შესახებ,--სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახ. კომისართა საბჭო ადგენენ:

I

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდ. 30 მუხლის რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 30 იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთელად გადაუწყვეტელ უნდა იქნეს ვადით არა უმეტეს ერთი წლისა. მისი მოხდის წესი განისაზღვრება შრომა-გასწორების კოდექსით.

II

სისხლის სამართლის კოდ. 28 და 30 მუხლს დაემატოს შემდეგი შენიშვნები:

მუხ. 28 **შენიშვნა 2.** მუშათა და გლეხთა წითელ არმიის კადრის სამერიგეო და უფროსი სამეთაურო შედგენილობის სამხედრო მსახური, რომელსაც სათანადო სასამართლომ სამხედრო ან საერთო სისხლის სამართლის დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთა გადაუწყვიტა ვადით, არა უმეტეს ერთი წლისა, სასტიკი იზოლიაციისა და უფლების შეზღუდვის შეუფარდებლად,—უნდა გაიგზავნოს საშტრაფო ნაწილში.

უკეთუ საშტრაფო ნაწილში ყოფნის ვადა ორ თვეს არ აღემატება, იგი მოიხდება იმ წესით, რაც დადგენილია სადისციპლინო წესით დატუსაღებისათვის.

მუხ. 30. **შენიშვნა 3.** მუშათა და წითელ-არმიის კადრის სამერიგეო და უმცროსი სამეთაურო შედგენილობის სამხედრო მსახურისათვის შესაფარდებელი იძულებითი მუშაობა თავისუფლების აღუკვეთელად შეიცვლება თავისუფლების აღკვეთად იმ ვადით, რაც შესაფარდებელი იძულებითი მუშაობის ვადის ერთ მესამედს უდრის.

III

სამხედრო დანაშაულთა დებულების (საქართველოს სსრ სისხლის სამ. კოდ. დანართი) 1 მუხლს დაემატოს შენიშვნა და შეიცვალოს მე-4,6 და 11 მუხლის რედაქცია.

მუხ. 1. **შენიშვნა.** სამხედრო დანაშაულად ჩაითვლება აგრეთვე ისეთი დანაშაული, რასაც ჩაიდენს გზათა სახ. კომისარიატის განსაკუთრებული შეიარაღებული რაზმის (რეზერვის) სამწყობრო შედგენილობის პირი და რაც მიმართული იქნება სამსახურის ასრულებისათვის დადგენილი წესის წინააღმდეგ.

მუხ. 4. შეურაცხყოფა , ძალადობითი მოქმედებით სამხედრო მსახურის მიერ თავისი უფროსისა, როდესაც ეს უკანასკნელი სამსახურის მოვალეობას ასრულებდა, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიებად თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა სასტიკი იზოლიაციით.

უკეთუ შეურაცხყოფა მიყენებულ იქნა მხოლოდ სიტყვით ან არაძალადობითი მოქმედებით, შეფარდებულ უნდა იქნეს თავისუფლების აღკვეთა ექვს თვემდე; ხოლო უკეთუ დანაშაული ჩადენილია შემამსუბუქებელ გარემოებაში, დამნაშავეს უნდა შეეფარდოს სადისციპლინო წესდება. იგივე ქმედობა, ჩადენილი იმავე პირობებში, უფროსის მიერ თავისი ხელქვეითი სამხედრო მსახურის მიმართ, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიების შეფარდებას იმავე საფუძველზე.

მუხ. 6. გაქცევა პირველად: ა) უკეთუ ეს ჩადენილია შემამსუბუქებელ გარემოებაში, ან უკეთუ დამნაშავე პოლიტიკურად ნაკლებადაა შეგნებული, გამოიწვევს სოციალურ ღონისძიებად თავისუფლების აღკვეთას 3 თვემდე; ბ) შემამსუბუქებელ გარემოებათა გარეშე—თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე.

მუხ. 11. სამხედრო მსახურის მიერ საყარაულო სამსახურის წესდებისა და ამ წესდების განსავითარებლათ კანონიერად გამოცემული განკუთრებული ბრძანებისა და განკარგულების დარღვევა, უკეთუ ამ დარღვევას არავითარი მავნე შედეგი არ მოჰყოლია, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიებად თავისუფლების აღკვეთას ექვს თვემდე; ხოლო უკეთუ ეს ჩადენილია შემამსუბუქებელგარემოებაში, შეფარდებულ უნდა იქნეს სადისციპლინო წესდება.

იგივე ქმედობა, ივივე პირობებში, მაგრამ ისეთ ყარაულში ჩადენილი, რომელიც ჰგუშაგობს ტუსაღებს, ფულის საცავსა და ყუთებს, იარაღის, სასროლი მასალის და ასაფეთქებელი ნივთიერებათა საწყობს, აგრეთვე ისეთ ყარაულში, რომელსაც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი თუ სამხედრო მნიშვნელობა აქვს, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიებად თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე.

იგივე ქმედობა, უკეთუ მას მოჰყვა ერთ-ერთი იმ მავნე შედეგთაგანი, რომლის ასაცილებლადაც ეს ყარაული იყო დაწესებული, გამოიწვევს სოციალური დაცვის ღონისძიებად: მშვიდობიანობის დროს—თავისუფლების აღკვეთას არა ნაკლებ ერთი წლისა სასტიკი იზოლიაციით; ხოლო ომიანობის დროს ან ბრძოლის პირობებში—სოციალური დაცვის უმაღლეს ღონისძიებას, რაც შემამსუბუქებელ გარემოებაში შეიძლება შემცირებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთამდე არა ნაკლებ სამი წლისა სასტიკი იზოლიაციით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ს. თოდრია.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რათა ერთიან პარტიულ დღეს, პარასკევს 10 სექტემბერს უჯრედების სხდომებზე დასმულ იქნეს შემდეგი საკითხები.

1) საკავშირო კომუნისტ. პარტიის (ბ) ცენტ. კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის რეზოლიუციის დამუშავება საბჭოთა ახალი არჩევნების შედეგების შესახებ.

2) საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის ცირკულიარის განხილვა, უჯრედთა ბიუროების გადარჩევის შესახებ.

პირველი საკითხის გარშემო მომხსენებლებმა, რეზოლიუციის გარდა, უნდა გაეცნონ ამხ. მოლოტოვის მოხსენებას, რომელიც „პრავდა“-ში იყო გამოქვეყნებული ა.-წ. 20 აგვისტოდან № 190 (3419).

ოთხშაბათს, 8 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე აგიტ-პროპ მუშაკის ცენტრალურ კლუბში შესდგება თათბირი თვითგანვითარების საკითხების შესახებ.

სავალდებულოა დასწრება შემდეგი ამხანაგებისა; საყვარელიძე, რაჟდენ მელაძე, ძიძიგური, იმედაძე, კალნიცკი, აროიანი, ბეჟანოვი, დარიბოვი, ვანეციანი, სირაძე, ფუნტაკოვი, მარგოლინი და შემდეგი კლუბების გამგენი:

ცენტრალურ მუშათა კლუბის, პლეხანოვის სახელობის კლუბის და ავლაბრის მუშათა კლუბისა.

— ფიზკულტურის საკითხების შესახებ საagitაციო - საპროპაგანდო კოლეგიის მიერ გამოყოფილ კომისიის სხდომა შესდგება 9 სექტემბერს, დილის 8 საათზე ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

სავალდებულოა ტისტელეცის, კუჩაძის, კიდაიშის, ქაცარავას, მხითაროვას და ბახტაძის დასწრება.

— ხუთშაბათს, 9 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში შესდგება **რემედასის თბილისის კომიტეტის ფრაქციის სხდომა.**

რემედასის თბილისის კომიტეტის წევრების —პარტიის წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

— საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **პროპაგანდისტთა კურსების** მორიგი მეცადინეობა შესდგება ხუთშაბათს, 9 სექტემბერს საღამოს 6 საათზე. 1) ქართული ჯგუფი — აგიტ.-პროპ. მუშაკის ცენტრალურ კაბინეტში., 2) სომხური ჯგუფი—მე-3 რაიონის პარტიულ კლუბში., 3) რუსული ჯგუფის მეცადინეობა არ შესდგება.

—**რემედასის მე-2-რე რაიკომი** იუწყება, რომ დღეს, ოთხშაბათს, 8 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში (პლეხანოვის პროპ. 96) მოწვეულია **რემედასის რაიკომის სხდომა.**

ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების დაუგვიანებლათ დასწრება სავალდებულოა: პერცევი, გენიალიძე, მაკარჩუკი, შახვერდოვი, სტრუჩალინი, ტოროზოვი.

— საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის მე-2-რე რაიკომის საagitაციო - საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ დღეს, ოთხშაბათს, ა.-წ. 8 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია, რაიონის საagitაციო - საპროპაგანდო კომისიის და უჯრედების აგიტ-პროპტორგანიზატორების თათბირი.

ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

— საქართველოს ახალგაზრდა ლენინ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის პროპაგანდისტთა კურსების მორიგი მეცადინეობა შესდგება დღეს, 8 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე; ქართული ჯგუფი აგიტ-პროპ. მუშაკის კომიტეტში (კიროჩნაია 7), რუსული ჯგუფის განათლების მუშაკთა სახლში (კალოუბნის № 3.)

— საქართველოს კომუნისტ. პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მე-2-ე რაიკომი** იუწყება, რომ ხუთშაბათს, 9 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბის შენობაში შესდგება **რაიონულ კომიტეტის გაფართოებული პლენუმი,** მე-2-რე რაიონის უჯრედთა ბიუროების მდივნების, საორგანიზაციო ჯგუფების და საუჯრედო კომისიების წევრების თანდასწრებით.

რაიკომის ყველა წევრების და კანდიდატების, მდივნების, უჯრედების ბიუროს წევრების, საორგანიზაციო ჯგუფების და საუჯრედო კომისიების წევრების დასწრება სავალდებულოა.

— საკავშირო კომუნისტურ პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის ივლისის პლენუმის რეზოლიუციის დასამუშავებლად საქართველოს კომუნისტ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის უჯრედების სხდომებზე, საქართველოს კომ. პარტ. თბილისის კომიტეტის მიერ რაიონებში მომხსენებლებათ მიმაგრებული არიან შემდეგი ამხანაგები:

1 რაიონი: კახიანი, ქართველიშვილი, ივანოვი კონსტან. ვირაპი, მათიკაშვილი, გუმედინი, ქავთარაძე გიორგი, ჯუღელი.

2. რაიონი: ყურულიშვილი, ლოლობერიძე ლ., აკოფოვი სტ., გრიშენკო, პოლოსოვი, სოსიანი, ერისთოვი, გუსეინოვი, მაშკევიჩი, რახმანი.

3. რაიონი: ნაზარეტიანი, სუხრანკულოვი, ჩხენკელი, ოკუჯავა ნ., ლისოვსკი, საყვარელიძე პ., შირვანსკი, ავაქოვი ნ.

4. რაიონი: მახარაძე ფ. ელიავა, ასრიბეკოვი, სტელმახი, შეფტელი, გობეჩია, კარკლინი, ალნიაშვილი, მელნიკოვი, მელნიკოვი, ქაცარავა, კალატოზოვი, ოსეპიანი, სნეგირევი.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომის** მე-7 ქალთა და გლეხ - ქალთა განყოფილება იუწყება, რომ ხუთშაბათს, 9 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ქალაქის რაიკომის შენობაში **შესდგება ქალთა ორგანიზატორების თათბირი** ქალთა კომისიების უჯრედების წავრებთან ერთად ლენინურ კომკავშირის მეოთხე რაიონის უჯრედების ახალ გაზრდა ქალთა ორგანიზატორების თანადასწრებით.

დღის წესრიგი: ქალაქის მილიციისა და სახ. კომ. საბჭოს უჯრედების ქალთა კომისიების თავმჯდომარეების მოხსენებანი; მიმდინარე საკითხები.

ყველა ზემოხსენებული ამხანაგის დასწრება სავალდებულოა.

— ს. კ. პ. **ლენრაიკომის** საag. საპროპ. განყ. იტყობინება, რომ დღეს, ოთხშაბათს 8 სექტემბერს, საღ. 5 საათზე მე-6 უბნის კლუბში მოწვეულია **ლენინის რაიონის მუშკორების კრება** რედკოლეგიების და უჯრედების აგიტპროპებთან ერთად.

ინსტრუქტორების მოხსენებები კედლის გაზეთების მუშაობის შესახებ.

— საქ. კომ. პარტიის თბილ. ორგ. მე-2-რე **რაიკომის** საორგ. განმ. განყ. განმეორებით წინადადებას აძლევს ამხ. სულაქველიძე კონსტანტინეს („ახალგ.“ რედაქტორს) რათა გამოცხადდეს ორი დღის განმავლობაში რაიკომის საორგ. განყოფილებაში.

სრულიად საქართველოს სამთა-ძადნო კავშირთან არსებულ ინჟინერტეხნიკოსთა სექციის ცენტრალური ბიურო ღრმა მწუხარებით აცხადებს სექციის წევრის ინჟინერ

გიორგი იოსების ძე ბოჭორიშვილის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. 3575

სამთა-ძადნო კავშირის ცენტრალური გამგეობა და მასთან არსებული ინჟენერ ტეხნიკოსთა ცენტრალური ბიურო ღრმა მწუხარებით აუწყებენ, რომ 5 ამა სექტემბერს ტრაღიკულად გარდაიცვალა ტყიბულის მაღაროების მოუღალავი მუშაკი სამთო ინჟენერი

გიორგი იოსების ძე ბოჭორიშვილი

3577

მწუხარებიდან გულქოკლულნი: მეუღლე დიმიტრი აზაუროვი შვილით კოზმანი, დები ნადო ვაჩნაძისა და მარიამ დავიდოვისა, ძმები მიხეილ, ილია და იოსებ ვაჩნაძეები ოჯახითურთ და მული ბარბალე ციტაიშვილისა ქმრით და შვილებით აცხადებენ, რომ ორშაბათს, 6 სექტემბერს დილით გარდაიცვალა ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მათთვის დაუვიწყარი

ანნა ივანეს ასული აზაუროვისა

ცხედარს გამოასვენებენ 9 სექტემბერს ხუთშაბათს, გერმანელთა საავადმყოფოდან დღის 4 საათზე, დაკრძალვა იმავე დღეს ვერის წმ. ნიკოლოზის ახალ სასაფლაოზე. 3581

საზაფხულო

აპოლო

(ბაღი „არტო“, პლეხ. № 105).

საზაფხულო

ეთერი

(სახელმწ. ოპერის ბაღში)

ნ. 1745 0—6

ამერიკულ სურათების პრემიერა

„სიყვარულის გამარჯვება“

(დრო ფულია)

კინოს ბილეთის მყიდველი, ბაღში შესვლისთვის არ იხდის.

პირველათ ეკრანაზე ამერიკ. წარმოების ახალი სურათი

„ცხოვრების შესახვედრათ“

(პოლიციის კლანჭებში)

ბეტტი კომპსონის და მეი მაკის (ცნობილ სურათის „მისი რეპუტაცია“-ს გმირი ქალის) მონაწილეობით.

2 ოთახი

სასახლის ქუჩაზე, (160 კვ. არ.) მოხერხებულია კერძო ბინისათვის და დაწესებულებებისათვის—მინდა

გადავცვალო

2 ოთახზე 1-ლ ან მე-2 რაიონში. იკითხეთ „კომუნისტის“ კანტორაში, რუსთველის 34.

3549 3—2 ზ. გ—ასთან.

წყლებით სამკურნალო

(ხაზინის ქ. № 1)

ახლად შეკეთებულია და მუშაობს ყოველდღე, დილის 6 საათიდან საღამოს 7 საათამდი.

წყლის მკურნალობის ყველა მეთოდები ტარდება გამოცდილი ექიმი-სპეციალისტის ხელმძღვანელობით'

ავადმყოფობანი: ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მოშლა, ნიკრისის ქარები, რევმატიზმი, ნევრასტენია, ნევრალგია, ნევრიტები, გულის და სახსრების ავადმყოფობა

პირველად მოსულ ავადმყოფთა მიღება დილის 8—10 საათამდე.

25—3 ნ. 1650

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“

(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34

0—1

სათვალეების მორგება

უფასოდ

ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დღ ის 1—4-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63. 25—1

კონტრაგენტების საყურადღებოდ

გაზ. „კომუნისტი“-ს

მთავარი კანტორა

აცხადებს ყველა კონტრაგენტების საყურადღებოდ, რომ 5 სექტემბრისათვის აუცილებლივ უნდა დაბრუნებულ იყოს დარჩენილი, გაუყიდავი სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, ჩვენ მიერ დასასყიდათ გადაგზავნილი.

თუ აღნიშნულ ვადამდე გადმოგზავნილი არ იქნება გაუყიდავი ლიტერატურა იგი ჩაითვლება გაყიდულათ და შემდეგ უკან აღარ მიიღება კანტორის მიერ.

7—1 უფ. გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორისაგან

„კომუნისტ“-ზე და „ახალ სოფელ“-ზე პროვინციაში ხელისმოწერა მიიღება

შემდეგ გაერთიანებულ განყოფილებებში:

1. **ხაშურში**—განყ. გამგე **მათე გოგუაძესთან**—მთელი გორის მაზრისთვის.
2. **ჭიათურაში**—განყ. გამგე **გ. გოგელიასთან**—მთელი შორაპნის მაზრისთვის.
3. **ქუთაისში**—განყ. გამგე **მ. ტყაბლაძესთან**—ქუთაისის და ახლო მდებარე რაიონებ.
4. **ხონში**—განყ. გამგე **ჩემიასთან**—ქ. ხონი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
5. **სამტრედიაში**—განყ. გამგე **ლ. გოგელიასთან**—სამტრედია და ახლო მდებ. რაიონ.
6. **სენაკში**—განყ. გამგე. **ესებუასთან**—ქ. სენაკი და ახლო მდებარე რაიონებისათვის.
7. **აბაშაში**—განყ. გამგე **მიქაძესთან**—დ. აბაშა და ახლო მდებარე რაიონისათვის.
8. **ფოთში**—განყ. გამგე **მგალობლიშვილთან**—ქ. ფოთი და ახლო მდებ. რაიონისათ.
9. **ბათომში**—„კომუნისტი“-ს კანტორაში **გოგეშვილთან**—მთელი აჭარისტანისთვის.
10. **ოზურგეთში**—განყ. გამგე **ეპიფ. ცეცხლაძესთან**—მთელი ოზურგეთის მაზრისათ.
11. **თელავში**—განყ. გამგე **რევაზოვთან**—მთელი თელავის მაზრისათვის.
12. **სიღნაღში**—განყ. გამგე **ა. მდივანოვთან**—სიღნაღის მაზრისათვის.
13. **ზუგდიდში**—**კილასონიასთან.**
14. **სოხუმში**—„კომუნისტი“-ს კანტორაში **ცხაკაიასთან**—მთელი აფხაზეთისათვის.
15. **ველისციხის და გურჯაანის რაიონში**—განყ. გამგე **ეხტატე შიშნიაშვილთან.**

0—1 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა

ქ. თბილისის საბინაო საქმეთა სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი კონსტანტინე ვართანოვი

ამით აცხადებს, რომ შაბათს 11 სექტემბერს, დილის 9 საათზე ადგილობრივ, პლეხანოვის პრ. № 103 პირველ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება მარიამ და ვლადიმერ სიხარულიძეების მოძრავი ქონება, რაც შესდგება სახლის ავეჯეულობისაგან, შეფასებული 300 მან. აღწერილი 30 ოქტომბერს 1925 წ., თანახმათ აღმ. საქ. ოლქის სასამართლოს გ. წ. 28 ოქტომბრის № 23894 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. გაიყიდება აღწერილ ქონების ნაწილი აღწ. სიის № 5, ერთი პლიუშის „კუშეტკა“ პრუჟინით; № 6 „დივანი“ და 4 ნახევარკრესლო, № 8 14 ცალი სხვადასხვა სკამები № 29, ორი რკინის საწოლი № 44, კაკლის გარდეობის შკაფი სარკის კარებით № 45, კედლის საათი, № 69, ემალის ვანნა და № 70 ერთი სპილენძის ქვაბი დასაკმაყოფილებლათ ალექსი გროდეცკისა ჯამით 253 მან. და 75 კაპ. თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს ა. წ. 4 ივნისის გაცემულ № 1897 აღმასრულებელ ფურცლისა. 3569

თორტიზის კოოპერატივის სალიკვიდაციო კომისია

ამით აცხადებს, რომ თორტიზის კოოპერატივის მთელი უძრავ-მოძრავი ქონების

საჯარო შეჯიბრებით

გაყიდვა დანიშნულია:

1) სოფ. თორტიზაში და რეხაში გაიყიდება სხვადასხვა შენობები, 2 ცხენები „ლინეიკით“ და წვრიმალი ქონება—შაბათს 11 ამა სექტემბერს შუადღის სრულ 12 საათზე და 2) სოფ. ზელდულეთში გაიყიდება წისქვილი, შენობა და სხვადასხვა წვრიმალი ქონება—კვირას 12 ამა სექტემბერს შუადღის სრულ 12 საათზე.

შეჯიბრება დაიწყება შეძლეულ ფასიდან.

3572 2—1. სალიკვ. კომისია

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.

მიღება 9—11 დილ. 6—8 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116.

სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.

348 25—1

ექიმი **შუხმანი**

სიფილისი, ვენერიული სნეულებანი და მათი შედეგები.

მიღება დილის 7—8 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. ქ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ.№ 89

25—

ექიმი

გ-ტ ი. მირიანაშვილი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.

მიღება დილ. 8—10 საათამდე. საღ. 7—8 საათამდე.

ორჯონიკიძის ქ. (ყ. ანდრეევის), 74. ე-6 საბჭოთა (ყ. ვაგზლისა) აფთიაქის ახლოს. 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**

ხიეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი“).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადამყოფობის მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 3548 25—1

ექიმი

მეგრაბიანცი

ფილტვების, ჭლექის და გულის სნეულებანი

ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში

სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება ყოველდღე დილ. 9—1 და საღ. 6—8 საათ.

ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., № 23, 25—1

ექიმი **მ. ა. ლუკოვეცკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე. 2 საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.

ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—7 ნახ. საათ., საღამოს 5-დან—8 საათამდე. ქალების მიღება 12—2 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16

ექიმი **მ. ო. ზანდუკელი**

დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ნერვიულ ავადმყოფობის, ელექტრონით და სხივებით მკურნალობა. ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათამდე

ლენინის ქ. (ოლღის) № 49.

ტელეფ. № 4—82. 3574

გ. ნ. ონანოვი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა

ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.

განყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3

დავკარგე ა.ლ.კ. კავშირის მოწმობა № 9219, გრიგოლ ნესტორის-ძე მაკარიძეს სახელზე, ჩ. გ. უ.

დავკარგე პირადობის უვადო მოწმობა, მოცემული მე-8 სამილიციო რაიონიდან № 477 და თვითმშრომელთა კავშირის მიერ მოცემული საწევრო წიგნაკი № 4077, ბესარიონ ალექსისძე ჩაჩანიძის სახელზე, ჩ. გ. 3570

დავკარგე უვადო პირადობის მოწმობა, სამხედრო საალრიცხვო ბარათი და 3 თამასუქი 1 50 მანეთისა. ხელმოწერილი ნიკოლოზ გაბრიელისძე როინაშვილის მიერ ირაკლი ევგენისძე მახატელის სახელზე, ჩ. გ. 3564

დავკარგე შეღავათიანი მოწმობა, მოცემული სოციალ-უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ, გაცემული ალექსანდრე კაკაბაძის სახელზე, № 688 ჩ. გ. 3567

დავკარგე პირადობის მოწმობა № 14313 და სასურსათო ბილეთი № 0819839, გაცემული რკინის გზის საავადმყოფოდან აკვილინე ბუხნიკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3568

დავკარგე პირადობის მოწმობა და პროფკავშირის წიგნაკი № 5950 ანა ალექსანდრეს ასული შიხაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3566

დავკარგე ოჯახის გაყოფის განაჩენები, მოცემული ბაკურციხის სახალხო სასამართლოდან, დები ელენე და იულიტა ჩარუევების სახელზე, ჩ. გ. 3571

დავკარგე პირადობის მოწმობა გიორგი სვიმონისძე ხაბაზიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3565

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 4432 აგანნა ბაჯიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3562

დავკარგე ჯვრის წერის ქაღალდი და მეტრიკული ამონაწერი ალექსი ზაქარიასძე ლეკიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3563

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 7855, მიღებული ოზურგეთის განათლების კავშირისაგან მასწავლებ. ვალერიან ბაქანიძეს სახელზე, ჩ. გ. 3578

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 3342 მეტრეველის სახელზე, ჩ. გ. 5379

სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. 68